ფეიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 მაისი **შაბათი** 2010

№ 118 (13 106) ფასი 60 თეთრი



დაუმარცხებელი ლოკომოტივილა დარჩა

15

# ვინ დაიპყრობს ევროპას?

## ესთეტი ლუისი თუ ჩამშლელი ჟოზე




ფინალის წინათქმა

» გვერდი 6-7



ბენიტესი და ჯერარდი ერთად ვეღარ იქნებიანო...

» გვერდი 8

# გიხაროდენ!

## ახალი ათვლა წარმატებით დაიწყო!

» გვერდი 13



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ნაკრები · საქართველო-კამერუნი · ამხანაგური მატჩი

# დამატებული კვასხვაძე და გამორიცხული ეტო'ო

ავსტრიაში, ზალცბურგთან ახლოს პატარა ქალაქ კარპუნში დაბინავებული საქართველოს ნაკრები მოსამზადებელ შეკრებას განაგრძობს. გუშინ დილით ეროვნულ გუნდს „ზესტაფონისა" და ახალგაზრდული ნაკრების მეკარე **როინ კვასხვაძე** დაემატა. ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ დირექტორ **ნიკა ჩხეიძის** თქმით, ხუთშაბათისგან განსხვავებით, **თემურ ქეცბაიამ** პარასკევს გუნდი ორჯერ ავარჯიშა. ორივე წვრთნაში 19 ფეხბურთელი მონაწილეობდა. ამის შემდეგ გუნდმა სასტუმროს მიაშურა. საღამოს კი ნაკრების თავკაცმა გუნდს თეორიული მეცადინეობა ჩაუტარა.

ერთი სიტყვით, ჩვენს ბანაკში სიმშვიდე და საქმიანი ვითარებაა. ახლა მეტოქეზეც ვთქვათ. „მოუთვინიერებელი ლომები" ავსტრიაში უკვე ჩაფრინდნენ. კამერუნელები ლინცის ახლოს, ქალაქ კლაგენფურტში დაბანაკდნენ. შეგახსენებთ, რომ კამერუნელთა ფრანგმა მწვრთნელმა **პოლ ლე გენმა** ავსტრიული შეკრებისთვის ნაკრებში 30 ფეხბურთელი გამოიძახა, მაგრამ, როგორც ირკვევა, ერთი, თანაც გუნდის ლიდერი, გაათავისუფლა. კამერუნელებს ავსტრიაში ორი ამხანაგური მატჩი აქვთ - 25 მაისს საქართველოსთან, 29-ში კი სლოვაკეთთან. ამ თამაშების შემდეგ ლე გენი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე გასამგზავრებელ საბოლოო 23-კაციან სიას დაასახელებს.

მუნდიალის დაწყებამდე, კამერუნის ნაკრები დასკვნით ამხანაგურ მატჩს 1 ივნისს, პორტუგალიასთან გამართავს. მოგეხსენებათ, დღეს მადრიდში, „სანტიაგო ბერნაბეუზე", „ინტერის" კამერუნელი ფორვარდი **სამუელ ეტო'ო** ჩემპიონთა ლიგის ფინალში მიუნხენის „ბაიერნის" წინააღმდეგ ითამაშებს. პოპულარული ფრანგული გამოცემის leparisien.fr-ის ცნობით, კამერუნელთა თავკაცმა პოლ ლე გენმა ეტო'ოს ერთკვირიანი შვებულება მისცა. ის გუნდს 29 მაისს, სლოვაკეთთან მატჩის შემდეგ შეუერთდება.

**დავით ცაბაძე**

სპარტაკი

# მურთაზ შელია: თავს ვიტყუებთ, ერთი მილიონი ლარი საკმარისი არ არის

## შესაძლოა, სპარტაკს სტადიონი და ბაზა აუშენონ

**ცხინვალის „სპარტაკის" ვიცე-პრეზიდენტი მურთაზ შელია გუნდის საზაფხულო გეგმებს გვიმხელს და ქართული ფეხბურთის მომავალზე საკუთარ მოსაზრებებს გვიზიარებს.**

**- ბატონო მურთაზ, სეზონი დასრულდა და შეგიძლიათ კონკრეტული სიახლეები გაგვიმხილოთ - ცხინვალის „სპარტაკში" რა ცვლილებები მოხდება?**

- გუნდი დატოვეს გიორგი დემეტრაძემ და ლადო ბურდულმა. მათ ზამთარში გვთხოვეს, რომ ფორმის აღსადგენად მოსულიყვნენ და თავადაც გვსურდა, თასზე დაგვხმარებოდნენ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი მეგობრები არიან და გვინდოდა, ქართული ფეხბურთისთვის სარგებლობა მოეტანათ. მაშინვე ვიცოდით, რომ სეზონის დასრულებისთანავე წავიდოდნენ. მადლობა მინდა ვუთხრა მათ იმისთვის, რომ ახალგაზრდები აიყოლიეს და სამაგალითო მონდომებით ვარჯიშობდნენ. ახალი სეზონისთვის მზადება ძველის ბოლო ტურიდან იწყება. ფეხბურთელების ნაწილი წავა, ბევრი ახალი მოვა. ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორი იქნება „სპარტაკი" ახალი სეზონიდან. სავარაუდოდ, აქცენტს ახალგაზრდებზე გავაკეთებთ. ალბათ, ბევრი ფეხბურთელი დაგვტოვებს. ზოგს კონტრაქტი უმთავრდება, ზოგიერთს თავად გავუშვებთ... მოკლედ, გვინდა, ახალგაზრდებს დავეყრდნოთ.

**- შეკრებას როდის დაიწყებთ?**

- ეს ჯერ კიდევ არ დაგვიზუსტებია, მაგრამ სავარაუდოდ, ორი შეკრება გვექნება - ერთი საქართველოში და ერთიც უცხოეთში, ალბათ, ესტონეთში.

**- ესტონეთში?**

- დიახ, იქ ერთი ჩემი მეგობარი კაცი ცხოვრობს და ძალიან კარგ პირობებში ვარჯიშსა და საკონტროლო შეხვედრების ორგანიზებას შეგვპირდა. მთავარია, საამისო ფინანსური საშუალება გაგვიჩნდეს.

**- ახალი სეზონიდან „სპარტაკი" ძველებურად დაფინანსდება?**

- იმედი გვაქვს, გვპირდებიან და ვნახოთ...

**- ცხინვალის „სპარტაკს" მთლიანად სახელმწიფო აფინანსებს. ასეთი გუნდების აყვანა ქართულ კომპანიებს შესთავაზეს. რომელიმემ პარტნიორობა ხომ არ შემოგთავაზათ?**

- კლუბთან დაკავშირებით საკმაოდ მძიმე ვითარებაა, საკუთარი არც სტადიონი გაგვაჩნია, არც ბაზა და არც არანაირი ინფრასტრუქტურა. გორში „ქართლის" სტადიონს ვქირაობთ. ვილაცა რომ დააინტერესო, ეს ყველაფერი საკუთრებაში უნდა გქონდეს. ასე რომ, ჯერ „სპარტაკის" აყვანა, სახელმწიფოს გარდა, არავის უცდია. კიდევ კარგი, გუნდს დიმა სანაკოევის მსგავსი მზრუნველი ჰყავს, თორემ გუნდს კი არ გაუჭირდებოდა, ვერც იარსებებდა. რადგან კლუბის განსახელმწიფოებრიობაა საჭირო, ამის გამო, სახელმწიფოს დაფინანსებაზე უარი უნდა ვთქვათ? ასე მხოლოდ ჩვენ კი არა, ძალიან ბევრ კლუბს გაუჭირდება. თუმცა ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომ „ქართლის" სტადიონის გვერდით მდებარე საკმაოდ დიდი ტერიტორია საკუთრებაში „სპარტაკს" გადაეცეს, სადაც სტადიონი და ბაზა მოეწყობა. დიმიტრი სანაკოევი მთავრობას ამის თაობაზე უკვე ელაპარაკა და წინასწარი თანხმობა მიღებულია. თუკი ასე მოხდა, მაშინ „სპარტაკი" ბიზნესისთვის საინტერესო გუნდი გახდება.

**- სეზონს „სპარტაკისთვის" წარმატებულად თვლით?**

- მიუხედავად იმისა, რომ ევროსაგზური ვერ მოვიპოვეთ, მაინც კმაყოფილი ვარ. „სპარტაკის" მუდმივი პრობლემა ჩვენ წელს მაინც გადავჭერით. კარგად იცით, რომ გუნდს უმაღლეს ლიგაში მუდმივად გასავარდნად ჰქონდა საქმე - შარშან, შარშანწინ. გუნდს საბჭოთა კავშირის პერიოდშიც არ ულხინდა და მიმდინარე სეზონში ეს საფრთხე თავიდან ავიცილეთ, მეხუთე ადგილზე გავედით და თასის ფინალში გასვლამდე ცოტა დაგვაკლდა. მე მგონი, წარსულის გათვალისწინებით, ცუდი შედეგი არაა.

**- ეს მართლაც პროგრესია, მაგრამ სამომავლოდ რა მიზნები გაქვთ?**

- პირდაპირ გეტყვით - თუ კარგი დაფინანსება გვექნება, სამეულისთვის ბრძოლა შესაძლებლად მიმაჩნია. საამისოდ, სასურველ ფეხბურთელებს უცხოეთიდან ჩამოვიყვანთ.

**- ...და არა - ქართული კლუბებიდან?**

- სიამოვნებით, მაგრამ სიმართლეს თვალი გავუსწოროთ, საქართველოში ვერ ვხედავ ისეთ ფეხბურთელებს, რომლებიც ჩვენს გუნდს გააძლიერებენ. საერთოდ, ქართული ფეხბურთის პრობლემები სერიოზულ მიდგომასა და პოლიტიკას საჭიროებს. ვფიქრობ, ამ ეტაპზე გამოსავალი ისევ სახელმწიფოს მზრუნველობაა და არა - ფეხბურთიდან მისი ხელოვნური განდევნა. ქართული ბიზნესი დღეს ძლიერი არაა, ფეხზე დგება და სადაა იმდენი კომპანია, ქართული ფეხბურთი კრიზისიდან რომ გამოიყვანოს? ამიტომ, მიმაჩნია, რომ სახელმწიფოს როლი არ უნდა შესუსტდეს მანამ, სანამ კერძო ბიზნესი არ მოღონიერდება და ქართული ფეხბურთით არ დაინტერესდება. სხვაგვარად, რაც გვაქვს, ამასაც დავანგრევთ. ახლა თავს ვიტყუებთ, ერთი მილიონი ლარი ძლიერი კლუბის ჩამოსაყალიბებლად საკმარისი არაა.

**- თქვენი აზრით, რამდენია მეტ-ნაკლებად საკმარისი მინიმუმი?**

- მინიმუმ სამიდან ხუთ მილიონ ლარამდე. ამაზე ნაკლები მხოლოდ შედარებით ნორმალურ პირობებში ვარჯიშისთვისაც არაა საკმარისი, ძლიერი მოთამაშეების ჩამოყვანასა და გადაბირებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. აიღეთ უკრაინის ჩემპიონატი, ყველაზე მდიდარი კლუბის, დონეცკის „შახტარის" ბიუჯეტი 75-80 მილიონ ევროს აღწევს, კიევის „დინამოსი" - სადღაც 50 მილიონამდე, ულარიბესი უმაღლესლიგელის ბიუჯეტი კი 5 მილიონი დოლარია! მათი პირველობის გამორჩეულ ფეხბურთელებს 1-2 მილიონს უხდიან, ხელფასის მინიმალური ზღვარი კი წელიწადში 150 ათასი დოლარია! ამხელა თანხა წლიურად ჩვენს ბევრ კლუბს არ გააჩნია. სანამ მათი ყველაზე ღარიბი კლუბის ბიუჯეტი მაინც არ ექნებათ ჩვენს ლიდერებს, მანამდე ძლიერ ჩემპიონატზე ლაპარაკი მხოლოდ ფუჭი ოცნებაა. ერთი წელია საკლუბო ფეხბურთში ჩავერთე და პრობლემები თვალნათლად დავინახე. არადა, ვხედავ, ქართულ ფეხბურთს დიდი პოტენციალი გააჩნია, მაგრამ უფულოდ ვერ განვითარდება და შესაძლებლობებს ვერ გამოავლენს.

**- ეს ფული არ არის და გამოსავალიც აქედან გამომდინარე უნდა ვიპოვოთ.**

- მაშინ ჩვენ აქცენტი ფეხბურთელების გაზრდასა და მათ ძლიერ ლიგებში გაყიდვაზე უნდა ავიღოთ, შემდეგ ფეხბურთელები ეროვნულ ნაკრებს მაინც რომ გამოადგნენ. ეს ბევრ ქვეყანაში აპრობირებული და დანერგილი მეთოდია.

**- სხვათა შორის, ასე მუშაობენ ირლანდიაში...**

- ...და იმ ირლანდიაშიც კი კლუბების ბიუჯეტი 10 მილიონ ევროს მაინც აღწევს და გუნდის ჩემპიონთა ლიგაში გაყვანას მაინც ვერ ახერხებენ. ასე რომ, ძლიერ ჩემპიონატს დიდი ფული სჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ოლიმპი



ლეგიონერების ჩამოყვანა კლუბებს ფინანსურად აღარ აწყობთ

# ფეხბურთელის განბაჟება რაღაა?!

საქართველოს ჩემპიონ „ოლიმპის" სამომავლო ტრანსფერები გულშემატკივარს, წესით, უნდა აინტერესებდეს. აქამდე, კლუბში მავნე ტრადიცია იყო დამკვიდრებული - ყოველი ნახევარი სეზონის შემდეგ გუნდი, ფაქტობრივად, თავიდან ყალიბდებოდა. ასეთი არასტაბილური შემადგენლობით, ბუნებრივია, ევროსარბიელზე გუნდი ვერაფერს მიაღწევდა და ვერც აღწევდა.

ცნობილი ამბავია და სადავოც არაა - გუნდი მინიმუმ ორი წლის განმავლობაში ყალიბდება, საკუთარი პოტენციალი მესამე სეზონში მაინც რომ აჩვენოს. ასეთი ფუფუნება „ოლიმპში" სანატრელია და არა მხოლოდ „ოლიმპში". ჩვენი კლუბების მწირი ფინანსებიდან და ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონიდან გამომდინარე, საუკეთესო ფეხბურთელები უცხოეთში გარბიან.

სწორედ ამ ფაქტორებს ასახელებს „ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტი **ზურაბ ჯაფარიძე** შემადგენლობის არასტაბილურობის მიზეზად.

*„ჩვენ ჯერ ისიც არ ვიცით, ახალი სეზონიდან ვის დავიმატებთ, ვინ დაგვტოვებს და საერთოდ - შევძლებთ თუ არა სასურველი ფეხბურთელების მოწვევას. ბუნებრივია, გაძლიერება გვსურს, მაგრამ კონკრეტულ გეგმებზე ლაპარაკი ჯერ არასერიოზული იქნება. ახლა ყოველდღიურად ვმუშაობთ და რამდენიმე მოთამაშეს ველაპარაკებით. ვნახოთ, რა გამოვა აქედან"*, - ამბობს ჯაფარიძე.

რაც შეეხება ტრანსფერებს. ზამთარში რუსთაველებმა ნიგერიელი **ემანუილ ელოხი** დაიმატეს. 19 წლის ტანმაღალი და ჯანმაგარი მცველი მწვრთნელსა და ხელმძღვანელობას თავიდან კი მოსწონდათ, მაგრამ მეორე ეტაპზე მან მხოლოდ ორი მატჩი ჩაატარა. როგორც თავად ელოხმა გვითხრა, ახალ კონტრაქტზე არავინ დალაპარაკებია და აქედან გამომდინარე, დაასკვნა, რომ გუნდს აღარ სჭირდება. სავარაუდოდ, კლუბს დავტოვებო - ამბობს ნიგერიელი.

ასევე დიდი შანსია, „ოლიმპი" დატოვოს ცენტრალურმა მცველმა **ნოდარ მაჭავარიანმაც**, რომელსაც მეორე ეტაპზე სათამაშო პრაქტიკა ძალიან დააკლდა. იყო ინფორმაცია, თითქოს, „ოლიმპის" თავკაცებს „ვიტ ჯორჯიიდან" რუსთაველი მეკარე **გია ბედიაშვილის** გადაბირება სურდათ, რაც **გია ჭანტურიას** შესაძლო წასვლით აიხსნებოდა.

სატრანსფერო პერიოდში ცვლილებები და სიახლეები ბუნებრივია, მაგრამ მთავარია, გაძლიერების მცდელობაში კვლავ ნახევარი გუნდი არ შეიცვალოს. შეუთამაშებელი გუნდი წარუმატებლობის წინა პირობაა. ბუნებრივია, რუსთაველები ამაზე ჩვენზე მეტად ფიქრობენ. ქვეყნის პირველი გუნდისადმი გულშემატკივრის მოთხოვნა განსაკუთრებით მკაცრია - საქართველო ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ღირსეულად უნდა წარსდგეს.

ბუნებრივია, გუნდის გაძლიერების პროცესი ფეხბურთელების უცხოეთიდან ჩამოყვანასაც გულისხმობს. თუმცა ლეგიონერების შესახებ ფეხბურთის ფედერაციის ბოლო გადაწყვეტილებამ (კლუბმა თითოეულ ლეგიონერზე 15 ათასი ლარი უნდა გადაიხადოს) წამყვანი კლუბები გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. „ოლიმპის" თავკაცები მიიჩნევენ, რომ ეს მცდარი გადაწყვეტილებაა, რომლის შედეგადაც საქართველოში ლეგიონერების რაოდენობა კატასტროფულად შემცირდება, რაც, თავის მხრივ, კლუბებს შემადგენლობების დაკომპლექტებაში ხელს შეუშლის.

„ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტი ჯაფარიძე რიტორიკულ კითხვას სვამს, თან მწვავე თემას იუმორით უყურებს: *„15 ათას ლარს ლეგიონერის განაცხადში შესაყვანად კი არა, ტრანსფერში ვერ ვიხდით და რომელი ქართული კლუბი შეწვდება ამხელა ხარჯს? აზერბაიჯანის მაგალითი რომ მოჰყავთ, იქ კლუბების ბიუჯეტი 30 მილიონ დოლარს აღწევს, ჩვენთან კი ყველაზე მდიდარი კლუბის წლიური ბიუჯეტი 3 მილიონ ლარს არ აღემატება. ჩვენ კიდევ შეზღუდვა გვინდოდა?! გამიგია, მანქანის ჩამოყვანაში გადავიხადოთ განბაჟების თანხა, მაგრამ ფედერაციამ, ფაქტობრივად, ფეხბურთელების განბაჟება მოგვთხოვა - ეს ვის გაუგია? საინტერესოა, როგორ განაბაჟებენ მათ - წონის თუ სიმაღლის მიხედვით?"*

დაბოლოს, ერთი ინფორმაციაც, რომელიც ქვემოქართლურ კლუბს ეხება - 25 მაისს რუსთავის მერიის წინ „ოლიმპის" ჩემპიონობისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებები დაიგეგმა...

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# დადებითი ემოციებით...

...2009 წლის პირველი აგვისტოდან 2001 წლის ოც მაისამდე საკმაოდ დიდი დრო, - შარშანდელი ზაფხულიდან წლევანდელი გაზაფხულის ბოლომდე გრძელდებოდა საქართველოს XXI ჩემპიონატი. ერთი შეხედვით, გათამაშების საბოლოო ცხრილში „განსაკუთრებულს“ ვერაფერს ვხედავთ: სეზონის დაწყებამდე ფავორიტებად რომელ გუნდებსაც მივიჩნევდით, პირველი-მეორე-მესამე-მეოთხე ადგილები სწორედ იმათ გაინაწილეს; ამ ათი თვის განმავლობაში რამდენიმე მართლაც გამორჩეული შეხვედრაც ვნახეთ, ასევე რამდენიმე ცალკეული ფეხბურთელის გაბრწყინებაც გველოდა და... იმედგაცრუებაც.

რა თქმა უნდა, XXI ჩემპიონატს არც სკანდალური სიტუაციები აკლდა, სამსაჯო ლაფსუსებიც იყო და გულშემატკივრების მხრიდან აგრესიაც, „უდროო დროს“ მოედანზე... მეორე ბურთის შემოგდებაც და მეტოქე გუნდების ფეხბურთელთა შორის ხელჩართული ჩხუბიც, კონკრეტული გუნდებისთვის ქულების ჩამორთმევაც და მერე, ისევ... აღდგენაც; თუმცა, საერთო ჯამში, მაინც დადებითი ჭარბობდა და, რაც მთავარია, ჩემპიონატი კანონზომიერად დასრულდა: მარათონულ ტურნირში იმ გუნდმა გაიმარჯვა, ყველაზე მეტად რომ იმსახურებდა!

...ჩემპიონატი კი დასრულდა, მაგრამ ვიდრე თასის ფინალი არ ჩატარდება, სეზონს ვერ შევაჯამებთ. მანამდე კი, ჩემპიონატის ბოლო ტურის მიმოხილვას შემოგთავაზებთ, ვისთვის აბსოლუტურად ფორმალურ ხასიათს რომ ატარებდა, ვისთვის კი, პირიქით - თავის გამოჩენის მშვენიერი შანსი რომ გამოდგა...

**საბოლოო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 36 | 25 | 7 | 4 | 69-26 | 79 |
| 2. დინამო | 36 | 22 | 8 | 6 | 62-19 | 74 |
| 3. ზესტაფონი | 36 | 19 | 10 | 7 | 58-33 | 67 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 36 | 17 | 13 | 6 | 48-31 | 64 |
| 5. სპარტაკი | 36 | 11 | 10 | 15 | 44-58 | 43 |
| 6. სიონი | 36 | 8 | 14 | 14 | 27-43 | 38 |
| 7. სამტრედია | 36 | 10 | 7 | 19 | 43-68 | 37 |
| 8. ბაია | 36 | 7 | 11 | 18 | 29-48 | 32 |
| 9. ლოკომოტივი | 36 | 5 | 11 | 20 | 19-50 | 26 |
| 10. გაგრა | 36 | 5 | 9 | 22 | 30-59 | 24 |

შენიშვნა: *ოლიმპს დაკლებული აქვს 3 ქულა; ზესტაფონი-ოლიმპის მატჩში ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება 0:3

## ბრძოლა... IX ადგილისათვის

ბოლო ტურის წინათქმაში ავღნიშნეთ, რომ ჩემპიონატის დასკვნით შეხვედრებს სატურნირო ცხრილში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ უნდა მოეხდინა. ამიტომაც ვუწოდეთ „უმოტივაციო ტური“, არადა, თურმე, ვცდებოდით! ჰო, აქამდე გვეგონა, რომ ჩემპიონატში განსაკუთრებული მნიშვნელობა მხოლოდ იმ ადგილებს ჰქონდა, ევროტურნირებზე ასპარეზობის უფლებას რომ იძლეოდა. შედარებით ნაკლები მასშტაბის, მაგრამ მაინც „ფასეული“ იყო „გადამრჩენელი“, ანუ, მერვე ადგილის დაკავება - პირველ ლიგაში დაქვეითებისგან რომ იხსნიდა გუნდს. ჰოდა, სწორედ ბოლო ტურში „აღმოვაჩინეთ“, რომ თურმე, IX ადგილის დაკავებასაც უდიდესი... სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონია!

არადა, ყველამ კარგად იცის, რომ IX და X ადგილზე გასული გუნდები მომავალი სეზონიდან პირველ ლიგაში იასპარეზებენ; მაგრამ შორს რომ არ წავიდეთ, წინა ჩემპიონატი გავიხსენოთ: უმაღლეს ლიგაში ადგილშენარჩუნებულ გუნდს („მესხეთს“) ლიცენზირებასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა და ამ ყველაფრით იმ გუნდმა იხეირა, სამი გავარდნილიდან ყველაზე მაღალ ადგილზე რომ იმყოფებოდა („გაგრამ“); ეგ კი არა, მეორე გავარდნილი გუნდიც („სპარტაკი“)... უძლიერესთა შორის დარჩა - ამ შემთხვევაში, უკვე პირველი ლიგის ერთ-ერთმა გამარჯვებულმა („ამერმა“) საკუთარი სურვილით თქვა უარი უმაღლეს ლიგაზე.

მოკლედ, ამ სეზონის ორივე უიღბლოს - „ლოკომოტივსა“ და „გაგრას“ მცირე იმედი მაინც აქვთ დარჩენილი. ამიტომაც იყო, რომ ორივე აუტსაიდერისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ბოლო ტურს. ერთი შეხედვით, „ლოკომოტივი“ უკეთეს სიტუაციაში იმყოფებოდა: მეცხრე ადგილისათვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტს „გაგრას“ ორი ქულით უსწრებდა. თანაც, მეტოქედ ისეთი გუნდი ჰყავდა, სატურნირო თვალსაზრისით ბოლო ტურის მატჩი არაფერს რომ უწყვეტდა. ეგაც რომ არ იყოს, „ვიტ ჯორჯიას“ ექვს დღეში თასის ფინალი ელოდება და, აქედან გამომდინარე, ბევრი ფიქრობდა, რომ „ვეტერინარები“ წამყვანი ფეხბურთელების ტრავმებისგან თავის აცილების მიზნით ბევრად მოტივირებულ მეტოქეს გადახალისებული შემადგენლობით დაუპირისპირდებოდნენ.

დაახლოებით ასეთივე მეტოქე ჰყავდა „გაგრასაც“ - ბევრის აზრით, ბოლნისის „სიონის“ მწვრთნელ-ფეხბურთელებისთვის ხომ სულ ერთი იქნებოდა ჩემპიონატს მეექვსე ადგილზე დაამთავრებდნენ, მეშვიდეზე თუ მერვეზე; არადა, თურმე, სულ ერთი ნამდვილად არ ყოფილა...

## სამართლიანი თამაშის პრინციპები

ფიფა-უეფა წლებია, ყველა ქვეყნის ყველა გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებს უკიჟინებს - ფეარ პლეის („სამართლიანი თამაში“) პრინციპები არასდროს დაგავიწყდეთო. ჰოდა, ყველა ქვეყნის ასევე ყველა გუნდის მწვრთნელ-ფეხბურთელებიც... შეძლებისდაგვარად ცდილობენ ამ პრინციპების დაცვას. მაგრამ, როცა სეზონის ბოლოა, ათთვიანი მარათონული ტურნირის შემდეგ „კუთვნილ და დამსახურებულ“ შვებულებაზე ფიქრობ, თანაც, რაც მთავარია, ქულები არაფერში გჭირდება, ცოტა არ იყოს, ძნელიც არის სატურნირო თვალსაზრისით მოტივირებულ მეტოქესთან სრული კონცენტრირება მოახდინო.

საბედნიეროდ, ჩვენთანაც სცოდნიათ „სამართლიანი თამაშის“ პრინციპების დაცვა: „ვიტ ჯორჯიამაც“ არ დათმო შეხვედრა „ლოკომოტივთან“ და არც „სიონმა“ - „გაგრასთან“! არც ის ვარაუდი გამართლდა, თითქოსდა, „ვიტ ჯორჯია“ უმნიშვნელოვანესი სათასო მატჩის წინ ძირითად შემადგენლობას დაასვენებდა - „ვეტერინართა“ მთავარი მწვრთნელი **გელა გომელაური** მხოლოდ ორ წამყვან ფეხბურთელს (**გიორგი დათუნაიშვილი, ლაშა ჯაფარიძე**) „მოუფრთხილდა“, დანარჩენები კი „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ გამოიყვანა.

ჰო, გუშინაც ვწერდით, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ თავიდანვე აქტიური თამაში მოახვია ბევრად მოტივირებულ მეტოქეს და პირველი ტაიმის მიწურულს გატანილი ორი გოლით, ფაქტობრივად, მატჩის ბედიც გადაწყვიტა; განსაკუთრებით აქტიურად კი მასპინძელთა შორის **ჯაბა ლიპარტია** და **ირაკლი კლიმიაშვილი** გამოიყურებოდნენ: „ვიტ ჯორჯიას“ ორივე შემტევი სეზონის ბოლოსკენ მშვენიერ ფორმაში იმყოფება. მართალია, მეორე ტაიმში „ლოკომოტივი“ საგრძნობლად გააქტიურდა, მაგრამ საიმედოდ მოასპარეზე **გრიგოლ ბედიაშვილის** კარის აღება ვერც ერთხელ მოახერხა. ეგ კი არა, მატჩის მიწურულს სტუმრებმა მესამე გოლიც გაუშვეს: ტრავმის გამო თამაშს და გოლსმონატრებულმა **ვახტანგ კვარაცხელიამ** ამ შეხვედრას წერტილი დაუსვა.

თუმცა ამ წაგებას „ლოკომოტივის“ მწვრთნელ-ფეხბურთელები დიდად არ დაუმწუხრებია - ბოლნისის „სიონმა“ თავისთვის ყოვლად უმოტივაციო შეხვედრაში ორი უპასუხო გოლი გაუტანა ბოლო დროს წაუგებლად მოასპარეზე „გაგრას“. ამ გამარჯვებით კი, „სიონმა“ სატურნირო ცხრილში IV ადგილი დაიკავა და ამ ტურამდე მასზე წინ მყოფი „სამტრედია“ ჩამოიტოვა.

ამას გარდა, **ხვიჩა ქასრაშვილის** გუნდმა ის მართლაც, „უცნაური“ ბალანსი დაარღვია - „სიონი“ ხომ ერთადერთი გუნდი იყო უმაღლეს ლიგაში, საკუთარ მოედანზე უფრო ცუდად რომ ასპარეზობდა. „გაგრასთან“ გამარჯვებით კი „სიონის“ საშინაო და საგარეო ქულათა მაჩვენებელი... გათანაბრდა! აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „გაგრასთან“ მატჩში „სიონი“, ფაქტობრივად ოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდა და განსაკუთრებით გუნდის ერთ-ერთი უდავო ლიდერის **ალექსანდრე გოგობერიშვილის** სასარგებლო თამაში გვინდა აღვნიშნოთ: სტუმართა კარში ორივე გოლი ამ გამოცდილი ნახევარმცველის ზუსტი პასების შემდეგ გავიდა. თანაც, **ლევან მელქაძისგან** გოლის გატანა „ჩვეულებრივ ამბად“ თუ უნდა მივიჩნიოთ, აი, 18 წლის **ჯაბა უგულავამ** კი თავისი სადებიუტო სეზონი ასევე პირველი გოლით დაასრულა.

საერთოდ, კი, ჩემპიონატის ბოლო ტურს... „დებიუტანტების ტური“ უნდა ვუწოდოთ: ხუთივე მატჩში ოცზე მეტმა ფეხბურთელმა უმაღლეს ლიგაში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა, ზოგმა კი სადებიუტო გოლი გაიტანა. თუმცა, დებიუტანტების „თემაზე“ ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი ჩვენი არჩევანის შესახებაც: ჩემპიონატის დასკვნითი ტურის მწვრთნელებად გელა გომელაური და ხვიჩა ქასრაშვილი მივიჩნიეთ!

## დებიუტანტებისა და მასპინძლების ტური

ზუსტად ერთი წლის წინ, XX ჩემპიონატის დასკვნით ტურში თბილისის „დინამომ“ მოედანზე გადახალისებული შემადგენლობა გამოიყვანა და მეტოქეს („ბორჯომს“) საშინელი დღე აყარა - 12:0 მოუგო! „დინამოს“ მაშინაც თასის ფინალური მატჩი ელოდებოდა და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** ძირითადი შემადგენლობის ოთხ-ხუთ ფეხბურთელთან ერთად რამდენიმე დებიუტანტსაც მისცა თავის გამოჩენის საშუალება. თითქმის იგივე განმეორდა ახლაც, ოღონდ, ამჯერად კახა კაჭარავამ მეტოქე „სამტრედიას“, ფაქტობრივად, დუბლშემადგენლობა დაუპირისპირა! მეკარე **ბექა შეყრილაძისა** და ნახევარმცველ **ნიკა ფირცხალავას** გარდა, „დინამოს“ შემადგენლობაში 18-19 წლის ბიჭები თამაშობდნენ, მაგრამ ყოველივე ამას ხელი არ შეუშლიათ, მოწინააღმდეგე დიდი ანგარიშით რომ დაემარცხებინათ.

ჩინებულად გაისარჯა დინამოელთა მარჯვენა გარემარბი **ირაკლი ლექვთაძე** - „დუბლს“ (ჩემპიონატში სადებიუტო გოლებია) ერთი საგოლე პასიც რომ მიუმატა; ისე როგორც 2009 წლის სეზონის ბოლო ტურის მატჩში, ახლაც „დუბლი“ შეასრულა „დინამოს“ ახალგაზრდა ცენტრფორვარდმა **ირაკლი სიხარულიძემ**; მოკლედ, „დინამოს“ ჩინებული რეზერვი ჰყავს და ახლა ისღა დაგვრჩენია, ამ შეხვედრაში მოასპარეზე ხუთ დინამოელს (**გიორგი ზვიადაძე, გიგა წენგუაშვილი, საბა ხაზალია, გუჯა ავსაჯანიშვილი, გიორგი ოთარაშვილი, გიორგი იჩქითი**) უმაღლეს ლიგაში დებიუტი მივულოცოთ.

...ალბათ, მიმოხილვის დასაწყისშივე უნდა გვეთქვა ბოლო ტურის კიდევ ერთი უცნაურობა - ხუთივე შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა! არადა, ასეთი რამ ჩემპიონატის დასაწყისიდან დღემდე მხოლოდ ორჯერ იყო (III და XV ტურში). ისიც მისასალმებელი ფაქტი იყო, რომ ერთობ შედეგიანი ტური გამოდგა - ხუთივე მატჩში 19 გოლი გავიდა (მხოლოდ ერთხელ, XI ტურში იყო უკეთესი მაჩვენებელი - 23 გოლი). თანაც, ზემოთ ნახსენები ირაკლი სიხარულიძის მსგავსად ამ ტურში „დუბლი“ კიდევ რომ ფეხბურთელმა შეასრულა: **თემურ შონიამ** („სპარტაკი“) და **ალექსი ბენაშვილმა** („ზესტაფონი“).

სხვათა შორის, „ზესტაფონი“-“ბაიას“ შეხვედრაშიც მეტად აქტუალური იყო დებიუტანტების თემა: საქართველოს ნაკრებში გამოძახებული **თორნიკე აფციაურის, ნიკა გელაშვილისა** და **ჯაბა დვალის** არყოფნაში, **გია გეგუჩაძემ** თავის გამოჩენის შანსი ახალგაზრდა ფეხბურთელებს მისცა და იმათაც მწვრთნელის ნდობა გაამართლეს. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ შეცვლაზე შემოსული ფეხბურთელების **ნიკოლოზ ჩიხლაძისა** და **გიორგი ჭანკოტაძის** წარმატება: პირველმა მათგანმა სეზონში უკვე მესამე გოლი გაიტანა, მეორემ კი - სადებიუტო! რამდენიმე დებიუტანტი ვიხილეთ „სპარტაკი“-“ოლიმპის“ შეხვედრაშიც: მასპინძელთაგან უმაღლეს ლიგაში პირველი მატჩები ჩაატარა **ერეკლე ხაჭვანმა** და **გიორგი ალავიძემ**, ხოლო სტუმართაგან - **ვახტანგ ლობჟანიძემ** და **ბესიკ ამაშუკელმა**.

თუმცა ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ „სპარტაკმა“ მხოლოდ მეცხრე ცდაზე შეძლო და პირველად დაამარცხა რუსთავის „ოლიმპი“. ოღონდ, ისიც უნდა ვთქვათ, ჩემპიონის რანგში მოასპარეზე „ოლიმპის“ შემადგენლობა გადახალისებულ-ექსპერიმენტული იყო...

**გია ტუხაშვილი**



დინამო-სამტრედია 4:1

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო (www.sport.gov.ge)

XXXVI ტურის სიმბოლური ნაკრები



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

U 19

ვლადიმერ გუცაევის მიერ განწვრთნილმა 19-წლამდელთა ნაკრებმა 14-17 აპრილს პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირი სამარცხვინოდ დაიწყო - რუსეთთან 0:3 წააგო, მერე მასპინძლებთან განადგურდა (0:6) და მხოლოდ ბოლო შეხვედრა მოიგო (3:1) ბულგარეთის საკმაოდ ძლიერ ნაკრებთან.

თავის დროზე ახალგაზრდულ ნაკრებში გუცაევის მუშაობას თუ გავიხსენებთ, გამოვა, რომ სადებიუტო მატჩში დიდი ანგარიშით წაგება მის გუნდს კარგად აქვს დაცდილი: ახალგაზრდულ ნაკრებთა ევროპის 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში იტალიასთან 0:6 რომ წააგო, შემდეგ ამ გუნდმა ისეთი ტემპი აკრიფა, იგივე იტალია (ბუფონი, ფიორე, კოკო, ამბროზინი რომ თამაშობდნენ) რუსთავში 2:0 დაამარცხა, ინგლისს გასვლაზე ფრედ (0:0) ეთამაშა და ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა. დღემდე უფროსთა ნაკრებში მსგავსი შედეგი არც ერთ გუნდს არ უჩვენებია...

და აი, თითქოს წარსულს იმეორებსო, პორტუგალიის შემდეგ გუცაევის 19-წლამდელებმა მაისში ბელარუსის 18-წლამდელებთან ორჯერ დამაჯერებელი ანგარიშით - 2:0 და 6:0 მოიგეს. მინსკში განსაკუთრებით კარგად „გაგრას“ ნახევარმცველმა თორნიკე ოქრიაშვილმა ითამაშა, რომელმაც მეორე მატჩში სამი გოლი გაიტანა და ორი საგოლე გადაცემაც გააკეთა. დაგვეთანხმებით, სანაკრებო მატჩებისთვის უნიკალური შედეგია. „გაგრა“ უმაღლესი ლიგიდან გავარდა და საინტერესოა, სად გააგრძელებს კარიერას 17 წლის ნიჭიერი ფეხბურთელი...

# სად ითამაშებს ოქრიაშვილი?



თორნიკე ოქრიაშვილი

**- 19-წლამდელთა ნაკრებმა სრულიად განსხვავებული შედეგები აჩვენა პორტუგალიასა და ბელარუსში. რა შეიცვალა ამ ორ ტურნეს შორის?**

- პორტუგალიაში მოუმზადებელი და შეუთამაშებელი შემადგენლობით წავედით. წაგებაც ამის შედეგი იყო. ბელარუსში კი ერთმანეთის უკეთ გვესმოდა და საკმაოდ კარგი ფეხბურთიც ვაჩვენეთ.

**- ბელარუსთან მეორე მოგებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანე. ეტყობა, სტიმული გქონდა...**

- მართლაც განსაკუთრებული განწყობა მქონდა, რადგან ნაკრებში თამაში დიდი სტიმულია. გოლებიც კარგია და საგოლე გადაცემებიც, მაგრამ ყველაზე მეტად იმან გამახარა, რომ მართლა კარგად ვითამაშე..

**- ასეთ დროს ფეხბურთელის სტიმული უცხოელი სელექციონერი და იმაზე ფიქრია, იქნებ, ვინმემ შენიშნოს...**

- ესეცაა და კარგმა სტადიონმა და მოედანმაც მშვენიერი განწყობა შემიქმნა. რომ იცოდეთ, რა მოედანზე ვითამაშეთ, ჩვენი მოედნების შემდეგ იქ გამოსვლა სიამოვნება იყო. ჩემზე იმანაც იმოქმედა, რომ ნაკრებში ძალიან მინდოდა გოლის გატანა და ეს მოვახერხე კიდეც. სხვათა შორის, თავდასხმაში ვითამაშე.

**- საყრდენი რომ ხარ?!**

- კი, მაგრამ წინ დამაყენეს და გამიმართლა...

**- ისე, „გაგრაშიც“ განსხვავებულ პოზიციებზე გითამაშია და ველარ გავიგე, რომელია შენი პოზიცია?**

- პლეიმეიკერობა, უფრო სწორად - დამხმარე თავდამსხმელის როლი.

**- ბელარუსები ათლეტურები არიან და არ გაგიჭირდათ?**

- არანაირად არ გაგვჭირვებია. მაინც 18-წლამდელები იყვნენ და ჩვენს ასაკში ერთი წელიც ბევრს ნიშნავს.

**- ერთი თვის წინ ვიცოდით, რომ „ანდერლეხტი“ გიწვევდა, ახლა შევიტყვეთ, რომ რუსული და უკრაინული კლუბებიც დაინტერესდნენ. კონკრეტული შემოთავაზება თუ გაქვს?**

- ყველაფერი დაახლოებით სამ კვირაში გადაწყდება. ვიცი, რომ მუშაობა მიდის...

**- „მარიუპოლი“ ისევ აქტიურობს?**

- დიახ, მაგრამ იქ წასვლის სურვილი არ მაქვს, უფრო დასავლეთ ევროპაში მსურს თამაში. მთავარია, წინადადება ძლიერი კლუბიდან იყოს და სიამოვნებით გადავიდოდი.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

# ზაზა ჯანაშია

# ლოკომოტივის კაპიტანი ასათიანი უნდა იყოს



## საქართველოს ნაკრების ყოფილ ფორვარდს განსაკუთრებით ტკბილად რუსეთის ნაკრების კარში გატანილი გოლი ახსენდება...

**იმის მიუხედავად, რომ ფეხბურთელის კარიერა დიდი ხნის წინ დაამთავრა, რუსულ პრესას ზაზა ჯანაშია არ დავიწყებია. „სპორტს.რუ“-ზე მასთან ვრცელი და საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ჯანაშიამ არა ჟურნალისტების, არამედ მკითხველების შეკითხვებს უპასუხა.**

**- გამარჯობა, ზაზა, როგორ ხართ?**

- ძალიან კარგად, ბრწყინვალედ.

**- როგორია თქვენი ამჟამინდელი წონა?**

- ნეტავ რატომ აწუხებს ყველას ეს საკითხი? ჩემი საბრძოლო წონაა 85-86 კილოგრამი. ასე ვთამაშობდი ფეხბურთს და ახლაც ამ წონის გახლავართ.

**- თქვენი აზრით, რა დრო დასჭირდება იური სიომინს მოსკოვის „ლოკომოტივის“ ძველ დონეზე დასაბრუნებლად? ან ეს საერთოდ შესაძლებელია?**

- ამას აუცილებლად შეძლებს, ოღონდ დროა საჭირო. ოღონდ არ ვიცი, რამდენი. მე რომ ვთამაშობდი, „ლოკომოტივი“ მეგობრული გუნდი იყო. ამის გარეშე არაფერი გამოვა.

**- თქვენი საფირმო კულბიტი ბოლოს როდის შეასრულეთ?**

- ვეტერანების მატჩზე, მაგრამ რამე რომ იყოს, ახლაც არ გამიჭირდება (იცინის). მეგობრებთან ერთად ფეხბურთს ხშირად ვთამაშობ და საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ.

**- ბავშვებიდან, რომლებსაც ახლა ავარჯიშებთ, რომელიმეს აქვს დიდი ფეხბურთის თამაშის შანსი?**

- რა თქმა უნდა. ჩემი 5-6 მოსწავლე სახელგანთქმული ფეხბურთელი გამოვა.

**- ხომ არ აჯობებდა, „ლოკომოტივის“ მთავარ გუნდში თავდამსხმელთა მწვრთნელად აგიყვანონ? ეგებ სიჩოვს გოლების გატანა ასწავლოთ.**

- ამ თანამდებობაზე რა გითხრათ და ისე, გუნდის ბაზაზე ხშირად დავდივარ და ბიჭებს ვესაუბრები.

**- კალინინგრადის „ბალტიკაში“ გატარებულ პერიოდს როგორ გაიხსენებდით?**

- შესანიშნავი დრო იყო. ქალაქი ძალიან მომეწონა, იქ სახლის ყიდვაც კი მინდოდა. ხალხი უდიდეს პატივს მცემდა.

**- სამხრეთ აფრიკის მსოფლიო ჩემპიონატზე ვის უგულშემატკივრებთ?**

- ყველაზე მეტად ინგლისსა და ესპანეთს.

**- თქვენი კარიერის უმნიშვნელოვანეს გოლად რომელს მიიჩნევთ?**

- „ლაციოს“ კარში გატანილ ბურთს. ლამაზიც იყო და ძალიან მნიშვნელოვანიც.

**- ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვის მხარეს ხართ?**

- „ინტერის“. არ მიყვარს გერმანული ფეხბურთი, გერმანელებმა ფეხბურთის თამაში არ იციან.

**- რატომ გქონდათ პრობლემები საქართველოს ნაკრებში?**

- ამაზე ვერაფერს გიპასუხებთ, მხოლოდ ერთი ვიცი, რომ ნაკრებში ყოველთვის თავდადებულად და შედეგიანად ვთამაშობდი და ქართველ გულშემატკივრებს ძალიან ვუყვარდი. განსაკუთრებით ტკბილად რუსეთის ნაკრების კარში გატანილი გოლი მახსენდება.

**- ჯანო ანანიძეზე რას ფიქრობთ?**

- კარგი ბიჭია, მაგრამ ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და დრო სჭირდება.

**- ანანიძის გარდა, კიდევ რომელ ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს გამოყოფდით?**

- ვერავის. სამწუხაროდ, საქართველოს არ ჰყავს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა.

**- ოჯახში როგორ გაქვთ საქმე? მომავალ სპორტსმენებს ხომ არ ზრდით?**

- ვზრდი. ორი ვაჟი მყავს, 7 და 2 წლის, ორივე ფეხბურთელი გამოვა. უფროსი ბიჭი ფორვარდის პოზიციაზე ძალიან კარგად თამაშობს.

**- მესიზე რას იტყვით?**

- ახალი რა უნდა ვთქვა? უდიდესი ფეხბურთელია, ასეთები იშვიათად იბადებიან.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ „ლოკომოტივის“ საშინელი თამაშიდან გამომდინარე, გუნდს ახლაც გამოადგებოდით?**

- როცა თამაშს ვუყურებ, მეც მოედანზე მინდა ყოფნა, მაგრამ რაღა დროს ჩემი თამაშია.

**- ქალებში ყველაზე მეტად რას აფასებთ?**

- დამთმობ ხასიათს, სინაზეს, ურთიერთგაგებას. დანარჩენი კი ტექნიკის საქმეა.

**- ვინ უნდა იყოს „ლოკომოტივის“ კაპიტანი?**

- მალხაზ ასათიანი, მაგრამ ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ იგი ჩემი თანამემამულეა. მას კაპიტნისთვის საჭირო ყველა თვისება აქვს - ჭკვიანი ფეხბურთელიცაა და თანაგუნდელებისთვის მითითებების მიცემაც ეხერხება.

**- ფეხბურთის გარდა, რომელი სპორტი გიყვართ?**

- ჰოკეი. რა თქმა უნდა, რუსეთის ნაკრებს ვგულშემატკივრობ. ჰოკეი ძალიან მიყვარს, მაგრამ არასოდეს მითამაშია. მითხარით, რომელიმე ქართველი დგას ციგურებზე? ალბათ, მარტო გიორგი გელაშვილი.

**- რომელი ღვინო გიყვართ?**

- მარტო ქართული, განსაკუთრებით „ხვანჭკარა“.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**



# თეთრაძის დებიუტი და მარცვალაძის ბენეფისი

გუშინ რუსეთის პირველი დივიზიონის მე-11 ტურში **ომარ თეთრაძის** დებიუტი შედგა ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას“ თავკაცის პოსტზე. დებიუტი ბრწყინვალე გამოდგა, მასპინძლებმა 3:0 მოუგეს „ირტიშს“. ორი გოლი კი საქართველოს ნაკრების ფორვარდის, **ოთარ მარცვალაძის** ანგარიშზეა. მარცვალაძე ეროვნულ გუნდში იყო გამოძახებული, მაგრამ სავიზო პრობლემის გამო მან რუსეთი ვერ დატოვა (რადგან შემდეგ უკან დაბრუნება გაუჭირდებოდა). თეთრაძემ სასტარტო შემადგენლობაში **ედიკ საჯაია** (90 წუთი) და მარცვალაძე დააყენა. ოთარმა 45-ე წუთზე გახსნა ანგარიში. პირველი გოლი ტაიმის მიწურულს მან 28 მეტრიდან შორეული დარტყმით გაიტანა.

მეორე ტაიმის მე-2 წუთზე კი სხვაობა ორამდე გაზარდა - ოთარმა ბურთი მარცხენა ფლანგზე მიილოს საჯარიმომდე მივიდა და იქიდან შორეულ კუთხეში გაიტანა. ორ წუთში „ვოლგამ“ მესამე გოლი გაიტანა, მარცვალაძის პასით **ოლეგ კოჟანოვმა** ცარიელ კარში შეაგდო. ქართველი ფორვარდი თანამემამულემ მე-60 წუთზე შეცვალა. მარცვალაძეს 9 თამაშში უკვე 5 გოლი დაუგროვდა. „ვოლგა“ 13 ქულით მეათე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსფერო



## სპარტაკი და კიდევ სამი

გროზნოს „ტერეკი", ყაზანის „რუბინი", მოსკოვის „დინამო" - ეს იმ კლუბების ჩამონათვალია, რომელთაც ნალჩიკის „სპარტაკისა" და საქართველოს ნაკრების მცველ **ალექსანდრე ამისულაშვილის** გადაბირება სურთ. ცნობისთვის, ამისულაშვილს კლუბთან 1 აგვისტოს ეწურება საკონტრაქტო ვადა. თუმცა ჩვენებური ნალჩიკელებსაც არ ეთმობათ და მას ახალ 2-წლიან კონტრაქტს სთავაზობენ გაუმჯობესებული პირობებით. გარდა ამისა, თავად ნალჩიკელთა კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ალექსანდრ ზარუცკიმ** მედიასთან საუბარში აღნიშნა, რომ ამისულაშვილს კიდევ ორი ვარიანტი აქვს ევროპიდან, მათ შორის ერთ-ერთი გერმანული კლუბია.

ერთი სიტყვით, ამისულაშვილს მთხოვნელები არ აკლია. რუსული პრემიერლიგიდან მისით 3 კლუბია დაინტერესებული, მეოთხეს - ნალჩიკელებს, კი არ ეთმობათ. გუშინ ჩვენებურის კიდევ ერთი მსურველის ვინაობა გაცხადდა - სამარის „კრილია". ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამისულაშვილის გადაბირება რუსული პრემიერლიგის (16 გუნდი) მეოთხედზე მეტს (5 გუნდს) უნდა. ეს ცნობა პოპულარულმა რუსულმა „სპორტ ექსპრესმა" გაავრცელა. „კრილია", რომელიც 11 ტურში დაგროვილი 8 ქულით მე-14 ადგილზეა, ბოლო ორ გუნდს მხოლოდ ქულით უსწრებს. სამარელებს დაცვაში რომ უჭირთ, ამაზე ბურთების ბალანსიც მეტყველებს - მინუს 10 ( 8 გოლი გაიტანეს და 18 მიიღეს). „კრილიას" მთავარმა მწვრთნელმა **იური გაზაევმა** კლუბის მესვეურებს ამისულაშვილის გადაბირებისთვის მუშაობა დაავალა. ვნახოთ, რა გამოუვათ ამ საქმიდან სამარელებს.

ინტერვიუ

### გიორგი ბახტაძე

# ჩვენც შეგვიძლია შვეიცარიის დამარცხება

## ბახტაძე ნაკრებში სათამაშოდ მზადაა

**30 მაისის** შვეიცარიასთან მატჩისთვის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული მეკარე გიორგი ბახტაძე ცოტა ხნის წინ ტრავმირებული იყო. „დიორი ეტოს" 21 წლის ქართველ მეკარეს რამდენიმე თვეში ეწურება საკონტრაქტო ვადა და მის მიმართ ინტერესიც არის... გიორგი ბახტაძეს უნგრეთში დავუკავშირდით, სანაკრებო და საკლუბო თემების გარდა, შოთა არველაძის უნგრულ ვიზიტზეც ვკითხეთ.

**- გიორგი, როგორც გავიგეთ, დაშავებული იყავით და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვერ ვარჯიშობდით. ახლა როგორ გრძნობთ თავს?**

- დიახ, ტრავმირებული ვიყავი, მაგრამ სერიოზული არაფერი მჭირდა. კუნთი მქონდა დაზიანებული, კლუბის ექიმმა გამსინჯა და რამდენიმე დღით ვარჯიშისგან თავის არიდება მირჩია. ერთი სიტყვით, ჩემი პაუზა დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე 2 კვირაზე მეტია, რაც გუნდთთან ერთად სრული დატვირთვით ვვარჯიშობ და კონდიციების აღდგენაც მოვასწარი. ასე რომ, არანაირი პრობლემა არ მაქვს. სრულად მწყობრში ვარ და სანაკრებო შეკრებასაც სხვებთან ერთად დავიწყებ.

**- შვეიცარიასთან 30 მაისს მეტად პრინციპული მატჩი გველის...**

- დიახ, ეს მართლაც გადამწყვეტი მატჩი იქნება ჩვენი გუნდისთვის. ჯერ კიდევ გვაქვს ჯგუფიდან გამსვლელი საგზურის მოპოვების შანსი და ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. ვიცი, იოლი თამაში ნამდვილად არ გველის, მაგრამ თბილისში გვაქვს ეს მატჩი და „საშინაო კედლების" ფაქტორი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. მჯერა, გულშემატკივრის მხარდაჭერა არ მოგვაკლდება. ჩვენც ყველანაირად უნდა შევეცადოთ მორიგი სამი ქულა მოვიპოვოთ და ჩვენი ქომაგები გავახაროთ.

**- მეტოქეზე რა წარმოდგენის ხართ?**

- შვეიცარიის ნაკრები ჯგუფის ლიდერია და ეს შემთხვევითი სრულად არ არის. ამ გუნდს მხოლოდ ერთი ნაგება აქვს, რამდენადაც მახსოვს, სომხეთმა შეძლო შვეიცარიელთა შინ დამარცხება და ვფიქრობ, ეს ჩვენც შეგვიძლია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ თბილისში ჩვენთან თამაშამდე შვეიცარიელებს შინ მეორე ადგილზე მყოფ თურქეთთან დაძაბული მატჩი აქვთ... თუმცა ჩვენ ამის იმედად არ უნდა ვიყოთ. შეგვიძლია შვეიცარიასთან სასურველ შედეგს მივაღწიოთ და ამისათვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ.

**- თქვენზე ბევრი კარგი ინფორმაცია მოდის, ამ ბოლო ხანებში სისტემატურად გიძახებენ ახალგაზრდულ ნაკრებში. ზამთარში, ანთალიური შეკრებისას გამორჩეულად გითამაშიათ ავსტრიელთა წინააღმდეგ...**

- დიახ, ვენის „რაპიდთან" იყო ეს მატჩი. იმ შეხვედრაში არაერთხელ მომიწია თავგანწირულად თამაშმა... „რაპიდის" მთავარ გუნდს ვეთამაშეთ და უმთავრესად ჩვენს ნახევარზე იყო თამაში. რამდენიმეჯერ რთული ბურთის მოგერიება მომიხდა, მეკარე ვარ და ჩემი მოვალეობაც ეს არის. ძალიან გამიხარდა, რომ მატჩის შემდეგ შემაქეს და მწვრთნელები ჩემით კმაყოფილები დარჩნენ. მხოლოდ მე კი არა, იმ შეხვედრაში ჩვენმა გუნდმა ბოლომდე იბრძოლა...

**- თუმცა ოფიციალურ მატჩებში არ გიწევთ 21-წლამდელთა ნაკრებში თამაში. ახალგაზრდულის მეკარე როინ კვასხვაძეს თემურ ქეცბაიამ ეროვნულში უხმო. ოთარ გაბელია რომ გენდოთ, ფსიქოლოგიურად და სათამაშო ფორმით რამდენად მზად ხართ სასტარტოში სათამაშოდ?**

- მე და როინ კვასხვაძე ერთად ვიყავით 17-წლამდელთა ნაკრებში. ის კარგი მეკარეა და მჯერა, კიდევ მოუმატებს, წარმატებებს ვუსურვებ. რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, ნაკრებში თამაში ჩემთვის პრიორიტეტია და სწორედ ეს მიზანი მაქვს. მინდა, ჯერ ახალგაზრდულ ნაკრებში დავმკვიდრდე და მერე ეროვნულზე ვიფიქრო. ვგრძნობ, რომ საამისო პოტენციალი მაქვს და ეს მხოლოდ ამბიცია არ არის. ჩემს ახლანდელ მზადყოფნას რაც შეეხება კარგ ფორმაში ვარ და ფსიქოლოგიურადაც შემზადებული ვარ სასტარტოში სათამაშოდ. ასე რომ, თუ მწვრთნელები მენდობიან, ჩემს ამ სიტყვებს საქმით დავამტკიცებ.

**- ახლა საკლუბო თემაზე გადავიდეთ. 19-წლამდელთა გუნდიდან ზემოთ აინაცვლეთ, „დიორ ეტოში" კარგად მიდის თქვენი საქმეები...**

- ღმერთის წყალობით, ჩემი საქმეები მართლაც კარგად მიდის, მთავარ გუნდში მეორე მეკარეობაზეც ჩამომიგდეს სიტყვა, მაგრამ... „დიორ ეტოს" მთავარი კიპერი, სერბი საშა სტეფანოვიჩი გამოცდილი კიპერია და მთავარ გუნდში თამაში არ მომიწევდა. უმჯობესი იყო დუბლებში ვყოფილიყავი და სტაბილურად მქონოდა სათამაშო პრაქტიკა. მთავარ გუნდში სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ასე სჯობდა, ჯერ მხოლოდ 21 წლის ვარ და ამიტომაც დუბლებში თამაში ვარჩიე.

**- მაინც რამდენი მატჩი ჩაატარეთ „დიორ ეტოს" სარეზერვო გუნდში და მშრალად რამდენ შეხვედრაში იდექით კარში?**



- 12 მატჩი ჩავატარე, აქედან 4 შეხვედრაში „მშრალად ვიდექი" კარში. ბოლო მატჩები ტრავმის გამო გამიცდა. დუბლებში დაძაბული პირველობაა, მოგებებიც გვაქვს და წაგებებიც. „დიორ ეტოს" დუბლები ახლა მე-7 ადგილზე ვართ... მწვრთნელები და კლუბის ხელმძღვანელობა ჩემით კმაყოფილია. მთავარ გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. „დიორ ეტოს" მთავარი მეკარე საკმაოდ გამოცდილია, უმცროს მეგობრად მიმიჩნევს და მისგან ბევრს ვსწავლობ.

**- ერთი ხანობა პირეოსის „ოლიმპიაკოსში" იყავით.ახლა „დიორ ეტოში" ხართ. რამდენად გაიზარდეთ როგორც მეკარე, მაინც რა კომპონენტები დახვეწეთ?**

- ამ სეზონით კმაყოფილი ვარ. აშკარად ვგრძნობ, რომ ფიზიკური კონდიციებიც ავიმაღლე და სათამაშო კომპონენტებიც დავხვეწე. თუმცა ამით არ დავკმაყოფილდები და პროგრესს გავაგრძელებ.

**- კლუბთან რამდენიმე თვეში გეწურებათ საკონტრაქტო ვადა. თქვენით სხვა გუნდები არიან დაინტერესებული. რას აპირებთ?**

- „დიორ ეტოსთან" შემოდგომაზე მიმთავრდება კონტრაქტი. კლუბის ხელმძღვანელობას ჩემი დატოვება უნდა და ამაზე კონკრეტული საუბარი მალე გვექნება. შესაძლოა ჩემ მიმართ მართლაც არის ინტერესი, მაგრამ „დიორ ეტოში" კარგად ვგრძნობ თავს და კლუბის შეცვლაზე ჯერ არ ვფიქრობ.

**- თქვენს კლუბში არაერთი ქართველია. მათზე რას გვეტყოდით?**

- რატი ალექსიძე ყველაზე გამოცდილია და გუნდის საკვანძო ფიგურაა. ის მთელ უნგრულ ლიგაში ცნობილი ფიგურაა. გიორგი განუგრავას ბევრი გაუცდა, მაგრამ ახლა კარგ ფორმაშია და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. იგივე შემიძლია ვთქვა ლაშა თოთაძესა და ვახტანგ ფანცხავაზეც. მცველი დავით ლორთქიფანიძე ტრავმებმა შეაწუხეს, მაგრამ უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს. თემურ შარაშენიძე ჩვენს გუნდში ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა ფორვარდად მიიჩნევა და მისი დიდად ეიმედებათ. კლუბის პრეზიდენტის მრჩეველ ლაშა ოდილაძეზეც გეტყვით, მას არა მარტო ჩვენს კლუბში, არამედ მთლიანად უნგრულ ფეხბურთში აფასებენ. მის სიტყვას ყველა პატივს სცემს.

**- დაბოლოს, ახლახან შოთა არველაძე და გოგა გახოკიძე იყვნენ უნგრეთში და „დიორ ეტოს" მატჩებს დაესწრნენ. შოთა უკვე „ქაისერისფორის" მთავარი მწვრთნელია და თავისი გუნდისთვის ხომ არ შეიგულა ვინმე?**

- კი, სამი დღით იყვნენ ჩამოსულები, ჩვენი მთავარი და სარეზერვო გუნდის მატჩებს დაესწრნენ. თუმცა სხვას ვერაფერს გეტყვით.

ინფრასტრუქტურა

# ლამაზი ორშაბათის მოლოდინში

მაისის დასაწყისში ქუთაისის „ტორპედოს" სტადიონზე ვწერდით. მაშინ გაცნობეთ, რომ სავარდო და სამაისო ქალაქში, განახლებული არენა 26 მაისს ვეტერან ფეხბურთელთა მატჩით გაიხსნებოდა. თუმცა ვითარება შეიცვალა და ამ თემაზე კიდევ ერთხელ გვიწევს დაწერა.



მოგეხსენებათ, 26 მაისს საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ფინალია და ეს დღე მთლიანად ამ საფეხბურთო ზეიმს მიეძღვნება. ქუთაისის განახლებული არენის პრეზენტაცია კი მანამდე შედგება. როგორც გავიგეთ, 24 მაისს 20 საათზე ქუთაისში „ტორპედოს" სტადიონს საზეიმო ვითარებაში ქვეყნის პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** გახსნის. ცერემონიალს იმერეთის გუბერნატორი, ქუთაისის მერი, ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელები დაესწრებიან. ახალ გახსნილ არენაზე კი ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" ვეტერან ფეხბურთელთა მატჩი გაიმართება, რომელშიც **ალექსანდრე ჩივაძე, ოთარ გაბელია, თენგიზ სულაქველიძე, თამაზ კოსტავა, დავით მუჯირი, ნოდარ ხიზანიშვილი, შოთა ხინჩაგაშვილი, მერაბ მეგრელაძე, ზურაბ იონანიძე** და ქართული ფეხბურთის სხვა ვარსკვლავები მიიღებენ მონაწილეობას.

მოგეხსენებათ, ქუთაისის მთავარი არენა სავალალო ვითარებაში იყო და მისი რეაბილიტაცია ქვეყნის პირველი პირის პირადი ინიციატივითა და პატრონაჟით უმოკლეს ვადაში ჩატარდა. გარემონტდა ადმინისტრაციული კორპუსი, ტრიბუნები, გასახდელები, საშხაპეები, პრესლოჟა... დამონტაჟდა 14 ათასი პლასტმასის ინდივიდუალური სკამი, თანამედროვე ტაბლო, განათების სისტემა... ამჟამად სტადიონის დასავლეთ ტრიბუნაზე გადახურვის სამუშაოები მიმდინარეობს. გადახურვა 1 500-ზე მეტ სკამს დაიტევს.

ასე რომ, პირველი ლიგის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო 2008" უმაღლეს ლიგას განახლებული, უეფას სტანდარტების შესაბამისი არენით უბრუნდება. ჩვენი ინფორმაციით, ქუთაისის არენაზე ჩვენი სხვადასხვა ასაკის ნაკრები გუნდებიც გამართავენ საერთაშორისო მატჩებს.

გვერდი მოამზადა **დავით ცაბაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვინ დაიპყრობს ევროპას?

## ბაიერნი

### ჯგუფური ეტაპი

**მაქაბი-ბაიერნი 0:3**
გოლები: 0:1 ვან ბუიტენი (64), 0:2 თ. მიულერი (85), 0:3 თ. მიულერი (88)

**ბაიერნი-იუვენტუსი 0:0**

**ბორდო-ბაიერნი 2:1**
გოლები: 0:1 კიანი (6-საკ. კარში), 1:1 კიანი (29), 2:1 პლანუსი (41)

**ბაიერნი-ბორდო 0:2**
გოლები: 0:1 გურკუფი (37), 0:2 შამახი (90)

**ბაიერნი-მაქაბი 1:0**
გოლი: 1:0 ოლიჩი (62)

**იუვენტუსი-ბაიერნი 1:4**
გოლები: 1:0 ტრეზეგე (19), 1:1 ბუტი (30-პენ), 1:2 ოლიჩი (52), 1:3 გომესი (83), 1:4 ტიმოშჩუკი (92)

### 1/8 ფინალი

**ბაიერნი-ფიორენტინა 2:1**
გოლები: 1:0 რობენი (45-პენ), 1:1 კროლდრუპი (50), 2:1 კლოზე (89)

**ფიორენტინა-ბაიერნი 3:2**
გოლები: 1:0 ვარგასი (28), 2:0 იოვეტიჩი (54), 2:1 ვან ბომელი (60), 3:1 იოვეტიჩი (64), 3:2 რობენი (65)

### 1/4 ფინალი

**ბაიერნი-მანჩესტერი 2:1**
გოლები: 0:1 რუნი (2), 1:1 რიბერი (76), 2:1 ოლიჩი (92)

**მანჩესტერი-ბაიერნი 3:2**
გოლები: 1:0 გიბსონი (3), 2:0 ნანი (7), 3:0 ნანი (41), 3:1 ოლიჩი (43), 3:2 რობენი (74)

### 1/2 ფინალი

**ბაიერნი-ლიონი 1:0**
გოლი: 1:0 რობენი (69)

**ლიონი-ბაიერნი 0:3**
გოლები: 0:1 ოლიჩი (26), 0:2 ოლიჩი (67), 0:3 ოლიჩი (78)

## ინტერი

### ჯგუფური ეტაპი

**ინტერი-ბარსელონა 0:0**

**რუბინი-ინტერი 1:1**
გოლები: 1:0 დომინგესი (11), 1:1 სტანკოვიჩი (27)

**ინტერი-დინამო (კ) 2:2**
გოლები: 0:1 მიხალიკი (5), 1:1 სტანკოვიჩი (35), 1:2 ლუსიო (40-საკ. კარში), 2:2 სამუელი (47)

**დინამო (კ)-ინტერი 1:2**
გოლები: 1:0 შევჩენკო (21), 1:1 დ. მილიტო (86), 1:2 სნეიდერი (89)

**ბარსელონა-ინტერი 2:0**
გოლები: 1:0 პიკე (10), 2:0 პედრო (26)

**ინტერი-რუბინი 2:0**
გოლები: 1:0 ეტო'ო (31), 2:0 ბალოტელი (64)

### 1/8 ფინალი

**ინტერი-ჩელსი 2:1**
გოლები: 1:0 დ. მილიტო (3), 1:1 კალუ (51), 2:1 კამბიასო (55)

**ჩელსი-ინტერი 0:1**
გოლი: 0:1 ეტო'ო (79)

### 1/4 ფინალი

**ინტერი-ცსკა 1:0**
გოლი: 1:0 დ. მილიტო (65)

**ცსკა-ინტერი 0:1**
გოლი: 0:1 სნეიდერი (6)

### 1/2 ფინალი

**ინტერი-ბარსელონა 3:1**
გოლები: 0:1 პედრო (19), 1:1 სნეიდერი (30), 2:1 მაიკონი (48), 3:1 დ. მილიტო (61)

**ბარსელონა-ინტერი 1:0**
გოლი: 1:0 პიკე (84)

---

**ბაიერნი** (4-2-2-1-1)
ბუტი
ლამი
ვან ბუიტენი
დემიკელისი
ბადშტუბერი
ვან ბომელი
შვაინშტაიგერი
რობენი
ალთინთოფი
მიულერი
ოლიჩი

მადრიდი. სანტიაგო ბერნაბეუ
22 მაისი
VS
22:45



**ინტერი** (4-2-3-1)
ჟულიო სეზარი
მაიკონი
ლუსიო
სამუელი
ქანეტი
კამბიასო
სტანკოვიჩი
სნეიდერი
ეტო'ო
პანდევი
მილიტო

---

**ჩემპიონთა ლიგის** ფინალი ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა. ეს არის ევროპული საკლუბო ფეხბურთის ნომერ პირველი მოვლენა და ალბათ არ გადავაჭარბებთ, თუ მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის უმთავრეს მოვლენადაც მოვნათლავთ. მაგრამ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ჩემპიონთა ლიგის ფინალს მაინც ოდნავ ზერელედ ვუყურებთ ხოლმე, სულ ოდნავ, ძალიან ცოტათი ზერელედ. ალბათ მიხვდით: მსოფლიოს ჩემპიონატის გამო. როცა ვიცით, რომ წინ უდიდესი საფეხბურთო ზეიმი, მისი უდიდებულესობა მუნდიალი გველის, ჩემპიონთა ლიგის ფინალს აღარ ვხვდებით ისეთი განცდით, რომ ამით სეზონი მთავრდება და დიდი საფეხბურთო ბატალიების ლოდინი აგვისტო-სექტემბრამდე მოგვიწევს. ასე რომ, წელს ის შემთხვევაა, როცა ფინალით, რომელიც მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუზე" იმართება, მაქსიმალურად უნდა ვისიამოვნოთ. ამრიგად, 90, მაქსიმუმ 120 წუთი მარადისობამდე: ვინ შევა ისტორიაში: „ბაიერნი" თუ „ინტერი"?

### ვან გაალი: ჩვენს უკან მთელი გერმანიაა!

გერმანიის ყველა დროის საუკეთესო კლუბი, რეკორდმაისტერი მიუნხენის „ბაიერნი" იტალიის ერთ-ერთი საუკეთესოს, მილანის „ინტერის" წინააღმდეგ - ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის ფინალში საქმე არა მარტო ჩემპიონთა ლიგის თასს, ანუ, ევროპაში გაბატონებას, არამედ კიდევ ძალიან ბევრ რამეს ეხება, პირველ რიგში კი პრესტიჟს. თვითონ განსაჯეთ: თუ ფინალი „ბაიერნმა" მოიგო, ან თუნდაც თერთმეტმეტრიანების სერიამდე მიატანა, გერმანული ბუნდესლიგა იტალიურ სერია A-ს ჩემპიონთა ლიგაში მეოთხე ადგილს წაართმევს. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, 2011-2012 სეზონიდან, ჩემპიონთა ლიგაში გერმანიას ოთხი, იტალიას კი სამი კლუბი ეყოლება. აქამდე კი, მოგეხსენებათ, პირიქით იყო. სწორედ ამიტომ მოუწოდებენ ბავარიელები მთელ გერმანიას, დაივიწყეთ ყველანაირი მტრობა და ჩვენ გვიქომაგეთო. სწორედ ამიტომ არის მიუნხენელთა მთავარი მწვრთნელი **ლუის ვან გაალი** აბსოლუტურად დარწმუნებული იმაში, რომ დღეს ბრემენის „ვერდერის", „ჰამბურგის", დორტმუნდის „ბორუსიას", გელზენკირხენის „შალკეს", „ლევერკუზენის", „შტუტგარტის" და საერთოდ ყველა გერმანული კლუბის გულშემატკივრები ბავარიულ გრანდს უქომაგებენ.

ამ ყველაფერთან ერთად, საქმე ეხება ევროპაში აბსოლუტურ გაბატონებას: „ბაიერნმაც" და „ინტერმაც" დუბლები შეასრულეს. რეკორდმაისტერი გერმანიის ჩემპიონი გახდა და გერმანიის თასიც მოიგო, „ნერაძური" კი იტალიის ჩემპიონი გახდა და თასსაც დაეუფლა. დღეს ორივე გუნდი ჰეთ-თრიკისთვის იბრძვის. შესაბამისად, დღევანდელი მატჩი ორივე გუნდისთვის ჯერარნახულად მნიშვნელოვანია. ორივე გუნდის ფეხბურთელებს აქვთ შანსი, გახდნენ უკვდავები.

„ბაიერნი" მადრიდში ხუთშაბათს ჩავიდა. გუშინ კი, მთავარმა მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა, კაპიტანმა **მარკ ვან ბომელმა** და ვიცე-კაპიტანმა **ბასტიან შვაინშტაიგერმა** ისტორიული მატჩის წინ პრესკონფერენცია გამართეს.

*„ჩვენს უკან მთელი გერმანიაა, - ასე დაიწყო საუბარი ვან გაალმა, - დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია ის, რომ მიუნხენში, „ალიანს არენაზე" 70 000 ქომაგი მივა და რა თქმა უნდა, ჩვენ გვიქომაგებს. იმედი მაქვს, რომ ამ შესანიშნავი ფანების გაბედნიერებას შევძლებთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამისათვის ყველაფერს გავაკეთებთ."*

შვაინშტაიგერი „ბაიერნისგან" განსაკუთრებულ თამაშს ითხოვს და ელის: *„ერთი კვირის წინ, ბერლინში შესანიშნავად ვითამაშეთ და გერმანიის თასი ავწიეთ. ვფიქრობ, ეს შაბათი ჩვენთვის გაცილებით მაგარი იქნება. თითოეული ჩვენთაგანი ძალიან კარგად აცნობიერებს იმას, რომ ისტორიული შანსი გვაქვს. ყველა ფეხბურთელი უაღრესად მოტივირებული და კონცენტრირებულია. არც კი ვიცი, რამ უნდა შეგვიშალოს ხელი ამ თამაშის მოგებაში. ეს არის შანსი, რომელიც ხელიდან არაფრისდიდებით არ უნდა გავუშვათ."*

კაპიტანი ვან ბომელი პრესკონფერენციაზე შედარებით მოკრძალებული განცხადებებით წარსდგა. მისი აზრით, რომელიმე გუნდის ფავორიტობაზე საუბარი ზედმეტია. ვან ბომელმა აღნიშნა, რომ ამ თამაშის მოგება ურთულესი ამოცანაა, მაგრამ: *„ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ მოვიგოთ. მატჩი ისეთი იქნება, როგორის ბედსაც ძალიან მცირე და ერთი შეხედვით უმნიშვნელოვანესი დეტალები წყვეტს ხოლმე. ეს შეიძლება იყოს ერთი ფოლი ან სულაც უბრალოდ აუტი, - თქვა ვან ბომელმა, - თუ რომელიმე გუნდი ანგარიშს გახსნის, მოწინააღმდეგისთვის თამაშის შემოტრიალება ძალიან ძნელი იქნება. სწორედ ამიტომ, პირადად მე უფრო ჩაკეტილ თამაშს ველი. მთავარი ის არის, რომ ჩვენ, „ბაიერნის" ფეხბურთელები ისტორიული ფინალისთვის მენტალურად აბსოლუტურად მზად ვართ."*

ვან გაალი არ მალავს, რომ მისი გუნდი შემტევ, სანახაობრივ ფეხბურთს ითამაშებს. *„ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია ყოველთვის ეწინააღმდეგება დაცვით ფეხბურთს. დიახ, ჩვენ შევუტევთ, რადგან ფეხბურთში შეტევა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დაცვა. ბურთი ჩვენ უნდა ვაკონტროლოთ, პუბლიკა ჩვენ უნდა მოვხიბლოთ. დაცვაზე კი მოურინიომ იზრუნოს,"* - ასეთია „ბაიერნის" დამრიგებლის ბოლო სიტყვა.

### მოურინიო: რეალის ფანებო, მიქომაგეთ!

საიდუმლოს აღარ წარმოადგენს და თითქმის გადაწყვეტილია, რომ **ჟოზე მოურინიო** მომავალი სეზონიდან მადრიდის „რეალს" გაწვრთნის. გადაწყვეტილება ოფიციალურად ჯერ არ მიუღია და როგორც ცნობილია, ფინალიდან სამ დღეში გაახმაურებს, რას აპირებს - „ინტერში" რჩება, თუ მადრიდში მიდის. მაგრამ ფინალამდე ჟოზემ „რეალის" გულშემატკივრებს და ზოგადად მთელ მადრიდს მოუწოდა, „ინტერს" უქომაგეთო.

*„იმედი მაქვს, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" მოსული „რეალის" გულშემატკივრები, მე და ჩემს გუნდს გვიქომაგებენ. პირდაპირ ვამბობ: „რეალის" გაწვრთნა მინდა და მალე გავწვრთნი კიდეც. მწვრთნელმა, რომელსაც მადრიდის „რეალი" არასდროს გაუწვრთნია, უნდა ჩათვალოს, რომ კარიერაში არაფრისთვის მიუღწევია. მილანის „ინტერს" მე მხოლოდ „რეალის" გამო თუ დავტოვებ!"* - აი, ასეთი სიტყვებით დაიწყო მოურინიომ თავისი პრესკონფერენცია. არა გვგონია, რომ „ინტერის" ქომაგები ამ სიტყვებით აღფრთოვანებულიყვნენ, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ახლა „ნერაძურის" არცერთი ქომაგი არ ფიქრობს იმაზე, თუ რა მოხდება ფინალიდან სამი დღის შემდეგ. უნდა ვთქვათ ისიც, რომ მოურინიოს დარჩენისა თვით **მასიმო მორატისაც** არ სჯერა.

*„ფაქტია, რომ ურთულესი მატჩი გველის. „ბაიერნმა" ამ სეზონში ბევრჯერ დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. მაგრამ ვფიქრობ, ჩვენც არ ვართ ვინმეზე ნაკლებნი. მინდა, „ინტერს" ჩემპიონთა ლიგა მოვაგებინო. ჩემი გუნდი ამას ნამდვილად იმსახურებს,"* - აცხადებს მოურინიო.

### ბაიერნი რიბერის, ინტერი კი მოტას გარეშე

„ბაიერნმა" **ფრანკ რიბერის** დისკვალიფიკაცია ორჯერ გაასაჩივრა, მაგრამ უშედეგოდ - დღეს ფრანგ დრიბლიორს მოედანზე ვერ ვნახავთ. თავის მხრივ, „ინტერსაც" ჰყავს დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი: საუბარია საყრდენ ნახევარმცველ **ტიაგო მოტაზე**. ეს უკანასკნელი „ბარსელონასთან" შეხვედრაში მოედნიდან გააძევეს.

ვან გაალი და მოურინიო თავიანთ ტაქტიკურ სქემებს ალბათ არ უღალატებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ რეკორდმაისტერი 4-2-2-1-1 განლაგებით, ხოლო „ინტერი" კი 4-2-3-1 სქემით ითამაშებს. „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში რიბერის **ჰამით ალთინთოფი** შეცვლის, რომლისთვისაც დღევანდელი ფინალი „ცხოვრების მატჩია". თურქმა ნახევარმცველმა ნახევარფინალის საპასუხო მატჩში ძალიან კარგად იასპარეზა და ვან გაალს იმედი აქვს, რომ არც ფინალში შეირცხვენს თავს. „ინტერის" ძირითად შემადგენლობაში კი, მოტას ნაცვლად სავარაუდოდ **დეიან სტანკოვიჩს** ვიხილავთ.

რაც ვან გაალისთვის ყველაზე მთავარია, მას მწყობრში ჰყავს **არიენ რობენი**. ამ უკანასკნელის შეჩერებას კი, მოურინიო ალბათ უბერებელ **ხავიერ ძანეტის** დაავალებს და ძალიან საინტერესოა, როგორ გაართმევს თავს 35 წლის ძანეტი რობენთან ორთაბრძოლებს. ფაქტია, რომ არგენტინელს ასაკი ოდნავადაც არ ეტყობა. ამრიგად, ძანეტისა და რობენის დუელი ამ მატჩის ერთ-ერთი მთავარი ინტრიგაა.

სხვამხრივ, სერიოზულ საკადრო ცვლილებებს არცერთ გუნდში არ უნდა ველოდოთ. ჰო, „ინტერს" **დავიდე სანტონი** ჰყავს ტრავმირებული და კითხვის ნიშნის ქვეშაა **ივან კორდობას** ასპარეზობაც, მაგრამ ეს ფეხბურთელები სასტარტო შემადგენლობაში არც განიხილებოდნენ.

### დაპირისპირებების ისტორია

„ბაიერნი" და „ინტერი" აქამდე ერთმანეთს ოთხჯერ დაუპირისპირდნენ. ბალანსი გერმანული გრანდის სასარგებლოა: „ბაიერნმა" ორჯერ მოიგო, ერთი მატჩი ფრედ დამთავრდა, ერთი კი იტალიელებმა მოიგეს. „ნერაძური" და რეკორდმაისტერი ერთმანეთის წინააღმდეგ ბოლოს 2006/07 წლების სეზონში, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე წარსდგნენ: „სან სიროზე" „ბაიერნმა" 2:0 მოიგო (გოლები: **პისარო, პოდოლსკი**), მიუნხენში გამართული მატჩი კი ფრედ 1:1 დასრულდა (გოლები: **მაკაი, ვიეირა**).

### რობენი და სნეიდერი

ერთი წლის წინ **ვესლი სნეიდერი** და **არიენ რობენი** მადრიდის „რეალის" ფეხბურთელები იყვნენ და მიუხედავად იმისა, რომ ცუდად არ თამაშობდნენ, ფლორენტინო პერესმა ორივე მათგანი დაითხოვა. რობენმა „ბაიერნს" მიაშურა, სნეიდერმა კი „ინტერს" და ორივე მათგანი გაბედნიერდა. ასე რომ, ვესლი და არიენი მადრიდში სიამაყის გრძნობით განმსჭვალულები ბრუნდებიან. რობენი მიუნხენური გრანდის ლიდერია, სნეიდერი კი მილანურისა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ინტერის" მცველი **ლუსიო** „ბაიერნის" წინააღმდეგ განსაკუთრებით მოტივირებული იქნება. როგორც იცით, ერთი წლის წინ ვან გაალმა ბრაზილიელ მცველზე თქვა, არაფერში მჭირდებაო და ლუსიომ სწორედ ამის გამო დატოვა მიუნხენი. ახლა კი „ინტერის" დაცვის ბურჯია და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ვან გაალს ბევრი რამ დაუმტკიცოს, პირველ რიგში კი ის, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტი მისი შეფასებისას სასტიკად შეცდა.

გოტფრიდ **ლენცი**





ეროვნული ბიბლიოთეკა





# ესთეტი ლუისი თუ ჩამშლელი ჟოზე?

**ლუის ვან გაალი თუ ჟოზე მოურინიო? ჟოზე მოურინიო, თუ ლუის ვან გაალი? მიუნხენის „ბაიერნისა“ და მილანის „ინტერის“ ფინალური დაპირისპირება პირველ რიგში მწვრთნელების დუელია და ექსპერტების აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ჩემპიონთა ლიგას ის გუნდი მოიგებს, რომლის დამრიგებელიც დღეს მეორე გუნდის დამრიგებელს აჯობებს. ვან გაალიცა და მოურინიოც პოლარიზებული, უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, კარდინალური და რადიკალური მწვრთნელები არიან. რაც ყველაზე საინტერესოა, შეგირდები ჟოზესაც ალმერთებენ და ლუისსაც. მოურინიომ სწორედ ვან გაალისგან ისწავლა გუნდის მართვა, მაგრამ განვრთნის სტილით და საფეხბურთო ფილოსოფიით მენტორისგან დიდად განსხვავდება. მოდი, ერთად გავაანალიზოთ ჰოლანდიელი და პორტუგალიელი სპეციალისტების პლუსები და მინუსები.**

მოურინიომ ევროპაში უკვე ძალიან გაითქვა სახელი. არა მარტო იმის გამო, რომ „პორტუს“ ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა, მერე „ჩელსი“ ინგლისში აბატონა, ახლა კი „ინტერშიც“ სერიოზული წარმატებები აქვს, არამედ იმიტომაც, რომ ჟოზე ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური და ასე ვთქვათ, ცეცხლოვანი ტიპაჟია. ერთნი მას აროგანტად და თავგასულ ადამიანად მოიხსენიებენ, მეორენი კი ქარიზმატულ და გამაოგნებელ პიროვნებად. თვითონ ჟოზე კი საკუთარ თავს განსაკუთრებულს (The Specian One) უწოდებს. მას შეიძლება ბევრმა დასდოს ბრალი მსახიობობაში, მაგრამ ფაქტია, რომ პორტუგალიელმა იცის, როგორ უნდა განვრთნას გუნდი, როგორ უნდა მოექცეს ფეხბურთელებს და რაც მთავარია, როგორ უნდა მიაღწიოს წარმატებას. მან ბევრი რამ სწორედ ვან გაალისგან ისწავლა - კაცისგან, რომელმაც „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელის რანგში გამართულ პირველივე პრესკონფერენციაზე საკუთარ თავს აროგანტი, თავდაჯერებული და დომინანტი უწოდა. თუმცა ვან გაალმა მაშინ იქვე დასძინა, მე თბილი და ოჯახურიც ვარო. ვან გაალი საფეხბურთო დოგმატიკოსია, რომელიც გუნდს ყოველთვის თავისი წარმოდგენების მიხედვით აშენებს, სხვას არავის უსმენს, აკეთებს იმას, რაც თვითონ უნდა და ეყრდნობა ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა - „დისციპლინა, კომუნიკაცია და გუნდური სულისკვეთება“. მოურინიომ გუნდის მართვისა და მისი წარმოჩენის სტილი სწორედ ვან გაალისგან აიღო, მაგრამ იდეები, ტაქტიკა-სტრატეგია და საფეხბურთო ფილოსოფიის უდიდესი ნაწილი თავისი, ინდივიდუალური ჩამოუყალიბდა.

## დისციპლინა

*„ფეხბურთი არის სპორტის გუნდური სახეობა, რომელშიც ყოველი ფეხბურთელი თავის თანაგუნდელზეა დამოკიდებული. როდესაც ერთი ფეხბურთელი მაინც არ ასრულებს თავის მოვალეობებს, ეს მთელ გუნდზე უარყოფითად აისახება. ეს იმას ნიშნავს, რომ დავალებები თითოეულმა ფეხბურთელმა უნდა შეასრულოს, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ გუნდში დისციპლინაა დამყარებული,“* - ასეთია ვან გაალის ფილოსოფია, რომელშიც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა პუნქტუალურობა და წესრიგი.

თვითონ განსაჯეთ: პირველივე მოსამზადებელ შეკრებაზე (ერთი წლის წინ), ვან გაალმა გუნდური სადილის დროს ჯერარნახულად უყვირა იტალიელ **ლუკა ტონის** და მიუთითა, წესიერად მოიქეციო. რას აშავებდა მსოფლიოს ჩემპიონი? ლუკა სადილის დროს ზედმეტად ბევრს მოძრაობდა და ასე ვთქვათ, ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა. ამას გარდა, ვან გაალი მთელი სეზონის განმავლობაში ძალიან ხშირად საკმაოდ მალე ცვლიდა გუნდის ლიდერ **არიენ რობენს**. მიზეზი: ჰოლანდიელი ნახევარმცველი მატჩის ბოლო 20 წუთში ხშირად ეგოისტურად იქცეოდა და გუნდიდან ამოვარდნილი იყო ხოლმე - ანუ, არღვევდა საერთო წესრიგს. შემოდგომაზე, როცა „ბაიერნს“ თამაშების მოგება ძალიან უჭირდა და ჩემპიონთა ლიგაში ჯგუფიდან გასვლა უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, **ფილიპ ლამმა** „ზუდდოიჩე ცაიტუნგისთვის“ მიცემულ, ფაქტობრივად ლეგენდარულ ინტერვიუში განაცხადა, ფეხბურთელებს ვან გაალის დავალებების შესრულება ძალიან გვიჭირს და მიმაჩნია, რომ ეს სერიოზული პრობლემააო. ლუისმა შეგირდის კრიტიკა ცივად მიიღო და არჩეულ კურსს მაინც არ გადაუხვია. მოგვიანებით კი, ლამი და მისი თანამოაზრე თანაგუნდელები მიხვდნენ, რომ ყველაფერი, რასაც ჰოლანდიელი სპეციალისტი ითხოვდა, გუნდის წარმატების გარანტია იყო. და თუკი რომელიმე ფეხბურთელი ვან გაალისეულ კანონებს ალღოს ვერ ან არ აუღებდა, გუნდიდან მოკვეთის საფრთხე ემუქრებოდა. ამიტომაც იყო, ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა **დენის ბერგკამპმა** ჟურნალ „11 ფროინდეს“ რომ უთხრა, ვან გაალს 11 რობოტი რომ მისცე, მაინც წარმატებულ კოლექტივს ჩამოაყალიბებსო.

შეგირდებისგან მოურინიოც მხოლოდ და მხოლოდ უსიტყვო მორჩილებას ითხოვს. მაგალითად, ჟოზემ არაერთხელ მოკვეთა გუნდიდან დაუოკებელი და დაუმორჩილებელი **მარიო ბალოტელი**. აღვირახსნილი თავდამსხმელი მოურინიომ „ჩელსისთან“ საპასუხო მატჩის განაცხადს მიღმაც დატოვა - არადა, ძალიან სჭირდებოდა. იტალიაში მწვრთნელებს ყველაზე მეტად აკრიტიკებენ ხოლმე. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მწვრთნელისთვის იტალიაში მუშაობა ყველაზე რთულია. გაუჭირდა მოურინიოსაც, რომელსაც ხშირად აკრიტიკებდნენ. მაგრამ ზუსტად ისე, როგორც ვან გაალს, მოურინიოსაც მთელი გუნდი მხარში ედგა. მაგალითად, სამუელ ეტო'ომ თქვა, ბალოტელიმ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოსო.

ამრიგად, დისციპლინა ორივე მწვრთნელისთვის ნომერ პირველი კრიტერიუმია. ჟოზეც და ლუისიც მიიჩნევენ, რომ გუნდმა თვითონ უნდა მოახდინოს რეაგირება, როცა დისციპლინა ირღვევა.

## კომუნიკაცია

ისევე, როგორც ნებისმიერ კომპანიაში, ვან გაალისა და მოურინიოს შემთხვევაშიც, კომუნიკაციის სტილი ორ ნაწილად, გარე და შიდა კომუნიკაციებად უნდა დავყოთ. საჯარო გამოსვლებისას, ორივე მწვრთნელი ავტორიტარული და დიქტატორული ჩანს, ორივე ამტკიცებს, რომ ყველაზე მეტი იცის. მაგრამ ვან გაალი აცხადებს, ვინც ჩემთან ერთად ყოველდღე მუშაობს, ამ ყველაფერს არაფრისდიდებით არ დაეთანხმებაო. სინამდვილეში ვან გაალი არ არის დიქტატორი. პირიქით: მას ძალიან უყვარს, როცა ეწინააღმდეგებიან - ოღონდ, მყარი არგუმენტებით! ისევე, როგორც მოურინიო, თავისი ფეხბურთელებისგან ვან გაალიც ელის ანალიტიკურ ანალიზს და არასდროს მოსწონს, როცა ყველაფერზე თავს უქნევენ. მოურინიოც და ვან გაალიც მიიჩნევენ, რომ ერთი კონკრეტული ფეხბურთელის შეცდომა მთელი გუნდის შეცდომაა.

ვან გაალს უნდა, რომ მისი ფეხბურთელები ერთმანეთს არა მარტო მოედანზე, არამედ მოედანს მიღმაც ეწყობოდნენ. ლუისმა გუნდური საუზმის, სადილისა და ვახშმის დროს თავისი წესები დაამკვიდრა: ჭამის დროს ფეხბურთელებს ეკრძალებათ მუსიკის მოსმენა და გაზეთების კითხვა. არც ერთ მათგანს არ შეუძლია დატოვოს მაგიდა მანამდე, სანამ ბოლო ფეხბურთელი არ დაამთავრებს ჭამას. თავიდან მოთამაშეებს ასეთი წესები არ მოსწონდათ და საერთო კვების დროს მოსაწყენი ატმოსფერო იქმნებოდა ხოლმე. ახლა კი სულ სხვა ვითარებაა: ჭამის დროს მთელი გუნდი ხალისობს, ყველა ერთმანეთში საუბრობს.

მოურინიოც ერთ-ერთი ყველაზე კომუნიკაბელური მწვრთნელია. ჟოზე ყურადღებით ისმენს თითოეული ფეხბურთელის მოსაზრებას ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. თამაშის დროს მოურინიო ძალიან ხშირად ეკითხება აზრს თავის ლიდერებს - **ხავიერ ძანეტის, ესტებან კამბიასოს** და უსმენს ნებისმიერ ფეხბურთელს, რომელიც ტაქტიკასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრების გამოხატვას მოისურვებს. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას, ორივე სპეციალისტი თვითონ იღებს. მოურინიოც და ვან გაალიც ამბობენ, რომ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ მათი პრეროგატივაა და პასუხისმგებლობაც მხოლოდ მათ ეკისრებათ.

## გუნდური სულისკვეთება

ვან გაალი ამბობს, დისციპლინისა და კომუნიკაციის ასეთი პრინციპით გუნდური სულისკვეთება მიიღწევაო. ლუისიც და ჟოზეც გუნდის მთავარ ამოცანად ერთსულოვნების მიღწევას მიიჩნევენ, ერთსულოვნებისა, სადაც ყველა მოთამაშე ერთმანეთს მხარში უდგას. სწორედ ასეთი მიდგომით მიაღწია ვან გაალმა იმას, რომ „აიაქსშიც“ და „ბარსელონაშიც“ მთელი გუნდი მხარში ედგა, არავინ უმხედრდებოდა. „პორტუს“ და „ჩელსის“ ფეხბურთელები კი დღემდე იმეორებენ, რომ მხოლოდ მოურინიოს დროს იყო მათ გუნდში გუნდურობის იდეალური შეგრძნება. შესაბამისად, წელს „ბაიერნის“ და „ინტერის“ უმთავრესი პლუსი სწორედ გუნდური სულისკვეთებაა.

მაგრამ ჟოზესა და ლუისისეულ გუნდურ სულისკვეთებაში სულაც არ იგულისხმება ის, რომ ყველა ფეხბურთელი ერთმანეთის ახლო მეგობარი უნდა იყოს. მთავარი ამოცანა არის ის, რომ თითოეულმა ფეხბურთელმა შეიგნოს, ყველაფერი გუნდის ინტერესების გამო რომ კეთდება.

*„ეს ყველაფერი იმიტომ კი არ კეთდება, ფეხბურთელებს ერთმანეთი უყვარდეთ, არამედ იმისათვის, რომ თითოეულმა მათგანმა ზუსტად იცოდეს, რა პლუსები თუ მინუსები აქვთ მის თანაგუნდელებს. საჭიროების შემთხვევაში, პლუსები გამოყენებულ უნდა იქნას, მინუსები კი უნდა აღმოიფხვრას,“* - ამბობს ვან გაალი.

ორივე სპეციალისტი აბსოლუტურად დარწმუნებულია იმაში, რომ თამაშს საუკეთესო ფეხბურთელი კი არ იგებს, ან ყველაზე ცუდი ფეხბურთელი აგებს, არამედ, იგებს გუნდი და აგებს გუნდი. ორივე სპეციალისტი ძალიან კარგად ფლობს თავისი გუნდის დაცვისა და მოტივირების ხელოვნებას. არც მოურინიო და არც ვან გაალი, თავიანთ შეგირდებს საჯაროდ არასდროს აკრიტიკებენ.

## საფეხბურთო ფილოსოფია

მოურინიო „ბარსელონაში“ ვან გაალის ასისტენტი იყო, მისგან ბევრი რამ ისწავლა და გადაიღო. ლუისი ამბობს, ჟოზე ჩემი გაზრდილიაო და მართალიცაა. მიუხედავად ამისა, დღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ერთმანეთს ორი განსხვავებული საფეხბურთო ფილოსოფიის მქონე სპეციალისტი დაუპირისპირდება.

*„ის ჩემთან ერთად მუშაობდა და ზუსტად იცის, როგორია ჩემი საფეხბურთო ფილოსოფია. მაგრამ მას თავისი ფილოსოფია ჩამოუყალიბდა - ფილოსოფია, რომელიც ყველა მოწინააღმდეგეს ანგრევს, კლავს, ფიტავს. ჩემი ფილოსოფია კი იმაში მდგომარეობს, რომ გუნდმა უნდა ითამაშოს თვალსასეირო, შემტევი ფეხბურთი და სწორედ ასეთი ფეხბურთით მიაღწიოს წარმატებას,“* - აცხადებს ვან გაალი.

ლუისი ესთეტია. მას სურს, რომ მისი გუნდი მუდმივად აკონტროლებდეს ბურთს და ტემპს, თამაშობდეს მიმზიდველ ფეხბურთს. მოურინიო კი ჩამშლელია, დამანგრეველი. მისი სტრატეგიის მთავარი წერტილი არა ბურთის ფლობა, არამედ სრულყოფილი, აგრესიული თამაშია - ბურთის წინააღმდეგ! შედეგად, მოურინიოს გუნდმა აუცილებლად უნდა გამოიყენოს მეტოქის მიერ დაშვებული შეცდომა. სწორედ ასეთი მიდგომით დაიფრინა ჟოზემ მეოთხედფინალიდან „ჩელსი“, ნახევარფინალიდან კი „ბარსა“.

მართალია, მოურინიო კატეგორიულად უარყოფს, რომ ის პირველ რიგში ჩამშლელია და არა შემქმნელი, მაგრამ სტატისტიკა ყველაფერზე კარგად მეტყველებს: „ინტერმა“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში ყველა ნახევარფინალისტზე ნაკლები გოლი გაიტანა (15), მიიღო ყველაზე მეტი ყვითელი ბარათი (29) და მილანელი ფეხბურთელები ყველა ნახევარფინალისტზე ხშირად ხვდებოდნენ თამაშგარე მდგომარეობაში (56).

ჯგუფური ეტაპის შემდეგ, „ბაიერნის“ ბურთის ფლობა საშუალოდ ერთ მატჩში 60 პროცენტს შეადგენს, „ინტერისა“ კი - 43-ს. მიუნხენელი ფეხბურთელები საშუალოდ ერთ თამაშში 552 პასს აკეთებდნენ და პასების 76-მა პროცენტმა ადრესატს მიაღწია. „ინტერის“ ფეხბურთელები კი 419 პასს აკეთებდნენ და აქედან ადრესატამდე 69 პროცენტმა მიაღწია.

რეკორდმაისტერის ლიდერ რობენს „ჩელსიში“ თამაშისას მოურინიო წვრთნიდა და ჰოლანდიელი ნახევარმცველი ჟოზესა და ვან გაალს შორის განსხვავებას ასე აღწერს: *„ვან გაალი და მოურინიო მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელები არიან. განსხვავება არის ის, რომ მოურინიო თავის გუნდებს უფრო დაცვით ფეხბურთს ათამაშებს, ვან გაალს კი ყოველთვის შემტევი ფეხბურთის თამაში სურს.“*

გოტფრიდ ლენცი

ლივერპული



სტივენ ჯერარდი და რაფა ბენიტესი ისევ ერთად იქნებიან?

# ჯერარდი გაქცევაზეა

ლივერპულში შიშობენ, რომ მათ კაპიტანს, **სტივენ ჯერარდს რაფა ბენიტესის** ხელმძღვანელობით ცხოვრება და თამაში ისე მობეზრდა, რომ როგორც კი შესაფერის წინადადებას მიიღებს, „ენფილდ როუდიდან" თავქუდმოგლეჯილი გაიქცევა. არადა, ჯერარდი და „ლივერპული" განუყრელი ცნებებია. ის 11 წელიწადია „ენფილდზე" თამაშობს, ოთხასზე მეტ შეხვედრაში აქვს მონაწილეობა მიღებული და მისი კაპიტნობით შარშან ამ დროს „წითლებს" პრემიერლიგის ნანატრ ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯი დააკლდათ. როგორც ინგლისურმა ტაბლოიდებმა შეიტყვეს, „ლივერპულის" ხელმძღვანელები მწვრთნელისა და კაპიტნის ურთიერთობით ფრიად შეშფოთებულები გახლავან და მომავალს შიშით უყურებენ.

ალსანიშნავია, რომ ბენიტესზე იმდენჯერ ითქვა სხვა გუნდში გადადისო და შემდეგ ეს ჭორი იმდენჯერ გადაითქვა, რომ მიმომხილველებს სერიოზული ეჭვი გაუჩნდათ: ის არსადაც არ წავა. ეს კი, თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ ჯერარდის უგუნებობა კიდევ უფრო გაიზრდება და საბოლოოდ მისი წასვლით დამთავრდება. ამბობენ, „ლივერპულში" ბევრს არ სჯერა, რომ მომდევნო სეზონს მწვრთნელი და კაპიტანი კვლავ ერთ გუნდში დაიწყებენო.

მოგეხსენებათ, „ლივერპული" ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას ადრევე გამოეთიშა, პრემიერლიგაში კი მხოლოდ და მხოლოდ მეშვიდე ადგილზე გავიდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად, რასაკვირველია, საჭიროა ფული, რათა გუნდი ამ ზაფხულს ახალი ფეხბურთელებით გაძლიერდეს, მაგრამ ამთავითვე ცნობილია, რომ ეს ფული საკმარისი რაოდენობით არ იქნება. სავარაუდოდ, „წითლები" ვერც მომავალ სეზონში შეძლებენ გაუწიონ კონკურენცია პრემიერლიგის დაწინაურებულ კლუბებს, რომლებიც ამ ზაფხულს სატრანსფერო ბაზარზე, ალბათ, გვარიანად დახარჯავენ. გადავხედოთ მდგომარეობას: „ჩელსი", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „არსენალი" პრემიერლიგის ზედა სამ ადგილზე ისე დამკვიდრდნენ, რომ მათი იქიდან ჩამოგდება შეუძლებელს ჰგავს. ამის შანსი უფრო **ჰარი რედნაპის** მოძლიერებულ „ტოტენჰემსა" და მდიდარ „მანჩესტერ სიტის" აქვს, ასეთი კონკურენციის პირობებში კი ჯერარდი ფიქრობს, რომ „ლივერპულს" დაწინაურების შანსი არ აქვს. როგორც ჯერარდის ნაცნობები ამბობენ, კაპიტანი ფიქრობს, რომ ბენიტესს რეალური შანსი ჰქონდა „ენფილდზე" დიდი გუნდი ჩამოეყალიბებინა, მაგრამ 2005 წელს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებით ჩაყრილ საუცხოო საფუძველზე მან ვერაფერი ააშენა.

ბენიტესმაც და „ლივერპულის" დირექტორატის წევრებმაც აქამდე იცოდნენ, რომ ფეხბურთელი, რომელიც მათგან წასვლას ფიქრობს და საამისოდ ყველა ღონესაც იხმარს, ესპანელი თავდამსხმელი **ფერნანდო ტორესია**, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ უმალ ჯერარდი გაიქცევა, ვიდრე „ელ ნინიო". 29 წლის ვარსკვლავი ვერ შეგუებია იმას, რომ მას პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული ერთხელაც არ მოუგია და თავის ასაკსაც რეალურად აფასებს. და სად შეიძლება წავიდეს სტივი ჯი? - უპირველეს ყოვლისა, ალბათ, მადრიდში, მით უფრო, თუ „რეალს" **ჟოზე მოურინიო** ჩაუდგება სათავეში. შეგახსენებთ, რომ მოურინიოს ჯერარდის თავის გუნდში ყოლა ყოველთვის უნდოდა. 2004 და 2005 წლებში „ლივერპულის" კაპიტანი „ჩელსიში" გადასვლასთან ძალიან ახლოს იყო და ტიტულების მოგების თვალსაზრისით ეს ტრანსფერი მისთვის მისწრება რომ იქნებოდა, ახლა უკვე დღესავით არის ნათელი. ინგლისურ კლუბთაგან დღეს ჯერარდის შესაძენად თავს, უპირველეს ყოვლისა, „მანჩესტერ სიტი" გამოიდებს, მაგრამ ისტლენდზე, რასაკვირველია, თავად ჯერარდი არ ისურვებს გადაბარგებას.

ახლა კი წარმოვიდგინოთ, რომ ჯერარდი „ლივერპულიდან" წავიდა. ნუთუ, ეს „წითლებს" მხოლოდ და მხოლოდ წაგებას მოუტანს? ფინანსურად, არა! ჯერარდის გაყიდვა „წითლებს" 25 მილიონ ფუნტს მაინც შემატებს, თუმცა ამ თანხით რამდენად მოგვარდება საქმეები, უცნობია. მიმომხილველები წერენ, რომ ბენიტესს მაინცდამაინც არც სხვა ფეხბურთელები ემადლიერებიან. გასულ სეზონში მერსისაიდელებმა ათი შეხვედრა წააგეს და როგორც

>> მე-9 გვერდზე

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

იტალია

სერია A-ს შეჯამება

# ინტერი ყველგან პირველია

## მთავარი იმედგაცრუება? რა თქმა უნდა, იუვენტუსი

**სერია A-ს 2009-2010 წლების გათამაშება ისტორიას ჩაბარდა. ჩემპიონი კვლავ „ინტერი" გახდა და მეთვრამეტედ მოიგო სკუდეტო. ამ მაჩვენებლით „ნერაძურიმ" თანაქალაქელს გადაასწრო და მხოლოდ „იუვენტუსს" ჩამორჩება. უკვე ისტორიად ქცეული სეზონი ყველაზე წარმატებული სწორედ მილანური გრანდისთვის აღმოჩნდა, თუმცა „სამპდორიას" გამორჩევაც შეიძლება, რომელმაც ასევე პროგრამა მაქსიმუმი შეასრულა. მეტიც, შესაძლოა გენუელები საერთოდ არ ფიქრობდნენ, თუ მეოთხე ადგილის დაკავება და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება შეეძლოთ. ყველაზე წარუმატებელი სეზონი, ბუნებრივია, სერია B-ში გავარდნილ გუნდებს ჰქონდათ, თუმცა მათ არც „იუვენტუსი" ჩამორჩა. ტურინელებმა იმდენი მოახერხეს, რომ მხოლოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდნენ და ჩემპიონთა ლიგის საგზურის გარეშე დარჩნენ. ქვემოთ, სათითაოდ ვისაუბროთ აწ უკვე განვლილ სეზონში მოასპარეზე ოცივე კლუბზე. აპენინელმა ჟურნალისტებმა გუნდები იტალიური ანბანის მიხედვით განალაგეს და ჩვენც აღარ დავარღვევთ თანმიმდევრობას:**

### ატალანტა (4.5 ბალი)

**ადგილი:** *მე-18*
**საუკეთესო ფეხბურთელი:** *სიმონე ტირიბოკი*
**სიურპრიზი:** *ჰაიმე ვალდესი*
**იმედგაცრუება:** *რობერტ აკვაფრესკა*

**ჰაიმე ვალდესის** და **სიმონე ტირიბოკის** გარჯა საკმარისი არ აღმოჩნდა. „ატალანტამ" კონკურენციას ვერ გაუძლო და სერია B-ში დაქვეითდა. ბერგამოელები ბოლო ტურებამდე ინარჩუნებდნენ ელიტარულ დივიზიონში ადგილის შენარჩუნების შანსს, მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში „ბოლონიას" ვერაფერი მოუხერხეს და სავალალო შედეგი მიიღეს. პრინციპში, „ატალანტასგან" მწვერვალების დაპყრობას არც არავინ ელოდა.

### ბარი (7)

**ადგილი:** *მე-10*
**საუკეთესო ფეხბურთელი:** *ვიტორ ბარეტო*
**სიურპრიზი:** *ლეონარდო ბონუჩი*
**იმედგაცრუება:** *ანტონიო ლანჯელა*

„ბარიმ" საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურა, რაც ნამდვილად არ არის გასაკვირი. პრაქტიკულად უცნობი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა გუნდმა მეათე ადგილი დაიკავა და მთლიანობაში, ძალიან კარგად წარმოჩინდა. შესანიშნავი სეზონი ჩაატარეს ახალგაზრდა მცველებმა: **ლეონარდო ბონუჩიმ** და **ანდრეა რანოკიამ**. თუმცა, ამ უკანასკნელმა ტრავმა მიიღო და მეორე წრეში ფაქტობრივად არ უთამაშია. რთული სათქმელია, როგორ იასპარეზებს „ბარი" მომავალ სეზონში, მაგრამ დღეს კარგის მეტი, არაფერი გვეთქმის.

### ბოლონია (6.5)

**ადგილი:** *მე-17*
**საუკეთესო ფეხბურთელი:** *მარკო დი ვაიო*
**სიურპრიზი:** *ადაილტონი*
**იმედგაცრუება:** *სტეფან აპია*

როდესაც ვეტერან ფორვარდ **მარკო დი ვაიოზე** ხარ დამოკიდებული, ძნელია მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა. „ბოლონიას" მესვეურები უკვე დიდი ხანია კლუბის გაყიდვას ლამობენ და ბუნებრივია, ტრანსფერებში არ იხარჯებიან. ასეთ პირობებში, მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რომ გუნდმა სერია A-ში ადგილის შენარჩუნება მოახერხა. სწორედ ამის გამო, „ბოლონიას" საშუალო კარგი შეფასება, 6.5 ბალი ერგო.

### კალიარი (6)

**ადგილი:** *მე-15*
**საუკეთესო ფეხბურთელი:** *ალესანდრო მატრი*
**სიურპრიზი:** *ანდრეა ლაძარი*
**იმედგაცრუება:** *ხოაკინ ლარივეი*

ვერც „კალიარი" დაიკვეხნის მაღალი კლასის შემსრულებელთა სიმრავლით და ადგილიც შესაბამისი დაიკავა. სარდინიელებს მეტს ვერავინ მოთხოვდა, აი პროგრამა მინიმუმი კი პირნათლად შეასრულეს. შესანიშნავად წარმოჩინდა **ალესანდრო მატრი** - საგულისხმოა, რომ თავიდან ნახევარმცველი გახლდათ, თუმცა იმდენად კარგად ითამაშა დამაგვირგვინებელ ფაზაში, რომ მეორე წრეში სულაც თავდასხმაში გადაიყვანეს. ვნახოთ, რა გუნდი ეყოლებათ კუნძულელებს მომდევნო სეზონში.

### კატანია (7)

**ადგილი:** *მე-13*
**საუკეთესო ფეხბურთელი:** *მაქსი ლოპესი*
**სიურპრიზი:** *კრისტიან ლამა*
**იმედგაცრუება:** *ჯენარო დელ ვეკიო*

საკუთარ მოედანზე „კატანია" განსაკუთრებულად საშიშია, რაც ამ სეზონშიც კარგად გამოჩნდა. სიცილიელებმა რამდენიმე პრინციპული თამაში მოიგეს და სერია A-ში ადგილის შენარჩუნება ჩემპიონატის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე გაინაღდეს. ამ ეტაპზე, უფრო მეტის ამბიცია არც გულშემატკივრებს აქვთ, რადგან კარგად იციან, რომ გუნდის შესაძლებლობები ერთობ მოკრძალებულია. აშკარად გამოირჩეოდა **მაქსი ლოპესი**, რომელიც შესანიშნავად ჩაეწერა ახალ გუნდში. აღვნიშნოთ, რომ „კატანია" ყველაზე არგენტინული გუნდია იტალიაში.

### კიევო (7)

**ადგილი:** *მე-16*
**საუკეთესო ფეხბურთელი:** *სერჯო პელისიერი*
**სიურპრიზი:** *მარიო იეპესი*
**იმედგაცრუება:** *პაბლო გრანოჩე*

„კიევოს" ჰქონდა იმის შანსი, რომ გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა სასკუდეტო მარათონში. ბოლო ტურებში, ვერონელები ჯერ „ინტერს" შეხვდნენ, შემდეგ კი „რომას" და ამ ორ პაექრობაში ერთი ქულაც რომ აელოთ, ან სკუდეტოს ეყოლებოდა სხვა მფლობელი, ანაც ბოლო ტური იქნებოდა ნაკლებად საინტერესო. ასე არ მოხდა და საერთოდაც, „კიევოზე" ბევრს ვერაფერს ვიტყვით. გამომდინარე გუნდის შესაძლებლობებიდან, ვერონელებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს და მაღალი შეფასებაც დაიმსახურეს. წინასწარი პროგნოზებით, სერია B-ში გავარდნის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი სწორედ „კიევო" გახლდათ, თუმცა რეალობა სხვაგვარი გამოდგა.

### ფიორენტინა (5)

**ადგილი:** *მე-11*
**საუკეთესო ფრეხბურთელი:** *ხუან მანუელ ვარგასი*
**სიურპრიზი:** *ხოუმა ბაბაქარი*
**იმედგაცრიება:** *კეირისონი*

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ცუდი სეზონი, რომელიც „ფიორენტინას" ბოლო წლებში ჰქონდა. ამ შემთხვევაში, მხოლოდ სერია A-ზე გვაქვს საუბარი და ჩემპიონთა ლიგის ბატალიებს არ ვგულისხმობთ. როგორც ჩანს, ორ ფრონტზე ბრძოლამ თავისი უარყოფითი შედეგები გამოიღო - მომავალ სეზონში ფლორენციელებს ევროასპარეზზე ვერ ვიხილავთ, რამაც შესაძლოა ფეხბურთელთა მოტივაციაზე ძალიან ცუდად იმოქმედოს. არ არის გამორიცხული, ტოსკანელებმა სულაც გაასხვისონ ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშე.

### ჯენოა (5 ბალი)

**ადგილი:** *მე-9*
**საუკეთესო ფეხბურთელი:** *მარკო როსი*
**სიურპრიზი:** *ალბერტო ზაპატერი*
**იმედგაცრუება:** *რობერტ აკვაფრესკა*

„ჯენოასგან" ნამდვილად მეტს მოველოდით, რადგან ბოლო წლებში გუნდი მუდმივად პროგრესირებდა. ლიგურიელებმა ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში არაერთი ფეხბურთელი შეიძინეს და საყოველთაო მოლოდინით, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის უნდა ებრძოლათ. ლიგაზე რა მოგახსენოთ და, აი ათეულში კი ნამდვილად მოხვდნენ. **ჯამპიერო გასპერინის** სამწყსომ მხოლოდ მეცხრე ადგილი დაიკავა და რა გასაკვირია, რომ დაბალი შეფასება ერგო. თუ დააკვირდით, „ატალანტას" მსგავსად, „ჯენოას" შემთხვევაშიც სეზონის იმედგაცრუება **რობერტ აკვაფრესკაა** - ახალგაზრდა ფორვარდმა საშვილიშვილოდ მოიჭრა თავი.

### ინტერი (9.5)

**ადგილი:** *პირველი*
**საუკეთესო ფეხბურთელი:** *დიეგო მილიტო*
**სიურპრიზი:** *ვესლი სნეიდერი*
**იმედგაცრუება:** *რიკარდო კვარეშმა*

ყველაზე მაღალი შეფასება, რალა თქმა უნდა, „ინტერს" ერგო. საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა ერთობ რთული გახლდათ, საბოლოოდ კი არჩევანი **დიეგო მილიტოზე** შეჩერდა. ნამდვილად ღირსეული კანდიდატია, თუმცა იგივე შეიძლებოდა გვეთქვა „ინტერის" არაერთ ფეხბურთელზე. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ „ნერაძურიმ" პირველ რიგში გუნდური თამაშით მიაღწია წარმატებებს. სხვა რა უნდა ვთქვათ, გუნდმა მთელი სეზონი სტაბილურად მაღალ დონეზე იასპარეზა და სკუდეტო სრულიად დამსახურებულად მოიპოვა.

>> მე-9 გვერდზე



მასიმო მორატი

## იტალია — სერია A შეჯამება

« მე-8 გვერდიდან


ალბერტო ძაკერონიმ იუვენტუსს ვერ უშველა

### იუვენტუსი (3)

***ადგილი:*** *მე-7*
***საუკეთესო ფეხბურთელი:*** *ჯორჯო კიელინი*
***სიურპრიზი:*** *მარტინ კასერესი*
***იმედგაცრუება:*** *დიეგო*

ყველაზე დაბალი შეფასება „იუვენტუსს" ერგო, რაც ასევე ლოგიკურია. თუ „ლივორნოს", „სიენასა" და „ატალანტას" დაქვეითებაში სენსაციურს ვერაფერს ვხედავთ, „იუვენტუსის" მეშვიდე ადგილზე გასვლა, მართლაც მოულოდნელობა გახლდათ. სეზონის წინ, ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ტურინელები ასე უსახურად ითამაშებდნენ და ჩემპიონთა ლიგის გარეშე დარჩებოდნენ. გუნდს ვერც **ალბერტო ძაკერონიმ** უშველა, პირიქით, გუნდმა რეგრესი განაგრძო და საქმე იქამდე მივიდა, რომ ფეხბურთელებს და კლუბის მესვეურებს გულშემატკივრები დაუპირისპირდნენ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ცუდი სეზონი კლუბის ისტორიაში.

### ლაციო (5)

***ადგილი:*** *მე-12*
***საუკეთესო ფეხბურთელი:*** *სერჯო ფლოკარი*
***სიურპრიზი:*** *ანდრე დიასი*
***იმედგაცრუება:*** *მაურო სარატე*

სეზონს „ლაციო" იტალიის თასის მფლობელის რანგში შეხვდა. არაერთხელ ითქვა, რომ აღნიშნული ტროფეი ახალი ცხოვრების დასაწყისი იქნებოდა. გულშემატკივრები იმედიანად იყვნენ აღსავსე, თუმცა მათი მოლოდინი არ გამართლდა. „ბიანკოჩელესტემ" მხოლოდ იმით დაგვამახსოვრა თავი, რომ „ინტერთან" განგებ დათმო შეხვედრა და თანაქალაქელს სკუდეტოსკენ მიმავალი გზა გადაუკეტა. ვერ დავიჩემებთ, „ლაციოს" მთელი ძალებით რომ ეთამაშა, „ინტერს" ქულებს აართმევდა-თქო, მაგრამ საკუთარი გუნდის კარში გატანილ გოლებზე მოზეიმე ტიფოზები მაინც ნამეტანი გახლდათ. ერთი სიტყვით, „არწივებმა" სეზონი ჩააგდეს.

### ლივორნო (4)

***ადგილი:*** *მე-20*
***საუკეთესო ფეხბურთელი:*** *ნიკო პულცეტი*
***სიურპრიზი:*** *ანტონიო კანდრევა*
***იმედგაცრუება:*** *კრისტიანო ლუკარელი*

„კომუნისტების" პრეზიდენტმა სეზონის წინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და განაცხადა, ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებააო. არ გეგონოთ ჰაერში დავფრინავდე, საამისო პოტენციალი ნამდვილად შეგვწევსო. **ალდო სპინელი** ზედმეტად ოპტიმისტი აღმოჩნდა, მისმა გუნდმა არა ევროპის უპრესტიჟულეს საკლუბო ტურნირში, არამედ სერია B-ში ამოყო თავი. ვერ გაამართლა იმედი **კრისტიანო ლუკარელიმ**, უხეიროდ ირბინა მთელი სეზონის განმავლობაში და შედეგიც შესაბამისი მიიღო. საერთოდ, „ლივორნოს" ყაიდის გუნდები ხშირად ერთ ფრეხბურთელზე არიან დამოკიდებულნი, იმ ერთმა კი ლიდერის როლი ვერ იტვირთა.

### მილანი (6.5)

***ადგილი:*** *მე-3*
***საუკეთესო ფეხბურთელი:*** *რონალდინიო*
***სიურპრიზი:*** *ტიაგო სილვა*
***იმედგაცრუება:*** *კლას-იან ჰუნტელაარი*

„მილანი" მსოფლიო ფეხბურთის აღიარებული გრანდია და მისგან ყოველთვის მაქსიმუმს ელიან. ამ გადმოსახედიდან, „როსონერის" ასპარეზობა წარუმატებლად უნდა შევაფასოთ, რადგან გუნდი უტიტულოდ დარჩა. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბოლო წლებში ლომბარდიელებს სერიოზული ჩავარდნა ჰქონდათ. აი ამ გადმოსახედიდან, სეზონი შეიძლება წინ გადადგმულ ნაბიჯადაც კი ჩაითვალოს. „როსონერის" ჰქონდა აღმასვლა და მოგებათა შთამბეჭდავი სერია. ერთი ხანობა, „ინტერის" მთავარი კონკურენტი გახლდათ სკუდეტოსთვის ბრძოლაში, თუმცა შემდეგ პოზიციები დათმო და მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურს დასჯერდა. ვისთვის როგორ და, მაგალითად ტურინელებისთვის, ესეც მიუღწეველი გამოდგა.

### ნაპოლი (7.5)

***ადგილი:*** *მე-6*
***საუკეთესო ფეხბურთელი:*** *პაოლო კანავარო*
***სიურპრიზი:*** *ჯანლუკა გრავა*
***იმედგაცრუება:*** *ლუკა ჩიგარინი*

სეზონის დასრულებისთანავე, კლუბის პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** ფეხბურთელებს მადლობა გადაუხადა: რაც შეეძლოთ, ყველაფერი გააკეთესო. იქვე, დაჰპირდა მათ, რომ კლუბში კიდევ უფრო სერიოზული ინვესტიციები ჩაიდება და პროგრესი აუცილებლად გაგრძელდება. „ნაპოლიმ" მართლაც კარგად იასპარეზა და თითქმის ბოლო ტურებამდე ინარჩუნებდა ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრის შანსს. ბრწყინვალედ წარმოჩინდა **პაოლო კანავარო**, ბევრი მის ეროვნულ ნაკრებში გამოძახებასაც ითხოვდა, თუმცა **მარჩელო ლიპი** შეუვალი გამოდგა. ნეაპოლელებს მაღალი შეფასება ერგოთ, მათ ეს ნამდვილად დაიმსახურეს.

### პალერმო (8)

***ადგილი:*** *მე-5*
***საუკეთესო ფრეხბურთელი:*** *ფაბრიციო მიკოლი*
***სიურპრიზი:*** *სალვატორე სირიგუ*
***იმედგაცრუება:*** *რუბინიო*

ნეაპოლელების არ იყოს, სიცილიელებსაც პროგრესირებადი გუნდი ჰყავთ და ეს ამ სეზონმაც დაადასტურა. „პალერმომ" შემტევი, ეფექტური და შედეგიანი ფეხბურთი ითამაშა, რაც სატურნირო ცხრილიდანაც კარგად ჩანს. **დელიო როსიმ** დიდი სამუშაო გასწია და მხოლოდ ერთი ნაბიჯი დააკლდა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად. ბრწყინვალე იყო **ფაბრიციო მიკოლი**, შესანიშნავი **ედისონ კავანი** და კიდევ უკეთესი **ხავიერ პასტორე**. არ დაგვავიწყდეს ახალგაზრდა ფორვარდი **აბელ ერნანდესი**, რომელიც ასევე ძალიან კარგად წარმოჩინდა. იგივე შეიძლება ითქვას კუნძულელთა კარის დარაჯ **სალვატორე სირიგუზე**.

### პარმა (7.5)

***ადგილი:*** *მე-8*
***საუკეთესო ფეხბურთელი:*** *დანიელე გალოპა*
***სიურპრიზი:*** *ჯონათან ბიაბიანი*
***იმედგაცრუება:*** *კრისტიან პანუჩი*

სეზონის პირველი ნახევარი ემილიელებმა მართლაც ფანტასტიკურად ჩაატარეს და კარგა ხანს, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მაძიებელთა შორის გახლდნენ. თუმცა, შემდეგ დათმეს პოზიციები და ერთი ხანობა, ცხრილის ქვედა ნაწილში დაეშვნენ. სეზონის დასკვნით ეტაპზე კვლავ პროგრესი განიცადეს და ათეულში შეაბიჯეს. აი ასე იარეს ზემოთ-ქვემოთ და საბოლოოდ, მერვე პოზიციაზე დამკვიდრდნენ. დღევანდელი გადასახედიდან, ძალიან რთულია იმის განჭვრეტა თუ რა იქნება მომავალში, განვლილ სეზონში კი არასტაბილურობის მიუხედავად, ემილიელები ქებას იმსახურებენ.

### რომა (9)

***ადგილი:*** *მე-2*
***საუკეთესო ფეხბურთელი:*** *მირკო ვუჩინიჩი*
***სიურპრიზი:*** *ჟულიო სერჟიო*
***იმედგაცრუება:*** *ჟულიო ბაპტიშტა*

სეზონის სტარტი აშკარად ჩააგდეს რომაელებმა, თუმცა შემდეგ მოუმატეს და ბოლოს ისეთი ტემპი აკრიფეს, კინაღამ სკუდეტოს დაეუფლნენ. საამისოდ მათ ძალიან ცოტა დააკლდათ და ამ ცოტაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ისე კი, ქების ღირსია „ჯალოროსი", ბოლომდე იბრძოლა, თითქოს არსაიდან ჩაერთო სასკუდეტო მარათონში და პირველობას ინტრიგა შემატა. რომ არა დედაქალაქელთა ასეთი თავგამოდება, სეზონი გაცილებით უინტერესო იქნებოდა. ბრწყინვალე გახლდათ **მირკო ვუჩინიჩი**, რომელმაც უნივერსალური თვისებები გამოავლინა და ხან გარემარბად ასპარეზობდა, ხანაც ცენტრფორვარდის პოზიციაზე.

### სამპდორია (9)

***ადგილი:*** *მე-9*
***საუკეთესო ფეხბურთელი:*** *ჯამპაოლო პაცინი*
***სიურპრიზი:*** *ანდრეა პოლი*
***იმედგაცრუება:*** *არავინ*

სეზონის მთავარი აღმოჩენა მაინც „სამპდორიაა". გენუელებს რომ ხელწამოსაკრავი გუნდი არ ჰყავდათ, კი ვიცოდით, მაგრამ მთლად ოთხეულში თუ მოხვდებოდნენ, ცოტას თუ წარმოედგინა. **ანტონიო კასანომ** და **ჯამპაოლო პაცინიმ** ბრწყინვალე სეზონი ჩაატარეს და განაპირობეს კიდეც გენუელთა ასეთი წარმატება. თუმცა, სხვების გარჯაც უნდა დავაფასოთ, თუნდაც **მარკო სტორარის**, რომელიც ზამთრის შესვენებისას გადაბარგდა „სამპაში" და ძალიან კარგად წარმოჩინდა. ბრავო **დელ ნერის**, რომელმაც მის ხელთ არსებული არც თუ დიდი რესურსიდან, შესანიშნავი გუნდი გააკეთა.

### სიენა (4.5)

***ადგილი:*** *მე-19*
***საუკეთესო ფეხბურთელი:*** *მასიმო მაკარონე*
***სიურპრიზი:*** *აბდელკადერ გეზალი*
***იმედგაცრუება:*** *მიკელე პაოლუჩი*

გავარდნილი გუნდებიდან ყველაზე მეტი სიმპათია სწორედ „სიენამ" დაიმსახურა. ტოსკანელებმა რამდენიმე შეხვედრაში დაგვამახსოვრეს თავი, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი კი „ჯუზეპე მეაცაზე" გამართული პაექრობაა. „სიენამ" დიდი ბრძოლა გაუმართა „ინტერს", მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა (4:3). კარგი სეზონი ჰქონდა **მასიმო მაკარონეს**, გოლების უმეტესობა სწორედ მან გაიტანა, ამასთან, ხშირად უწევდა სიღრმეში თამაში. მასზე დიდი მოთხოვნაა და მომავალი სეზონიდან, ნესით, გაცილებით უფრო ამბიციურ გუნდში უნდა გააგრძელოს ასპარეზობა.

### უდინეზე (5.5)

***ადგილი:*** *მე-14*
***საუკეთესო ფეხბურთელი:*** *ანტონიო დი ნატალე*
***სიურპრიზი:*** *ალექსის სანჩესი*
***იმედგაცრუება:*** *გაეტანო დაგოსტინო*

უკვე კარგა ხანია, რაც გუნდის უდავო ლიდერი **ანტონიო დი ნატალეა** - აი, ამ სეზონის შემდეგ კი ვფიქრობთ, „უდინეზე" სულაც ტოტოსთან ასოცირდება. 32 წლის ასაკში 29 გოლის გატანა მოახერხა და მართლაც ყველა გააოცა. თავად განსაჯეთ, ფრიულელთა გოლების ნახევარზე მეტი სწორედ ანტონიომ გაიტანა. „უდინეზეს" დაბალი შეფასება ერგო, რადგან მთლიანობაში, გუნდმა დიდი ვერაფერი ფეხბურთი ითამაშა. შედეგიც შესაბამისი მიიღო, მხოლოდ მეთოთხმეტე ადგილი. არადა, ფრიულელებს არაერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავთ და გაცილებით უკეთ შეეძლოთ თამაში.

**ლაშა ნიკლაური**

## ლივერპული

« მე-8 გვერდიდან

მოთამაშეები ერთმანეთში ამბობენ, რომ ეს ბენიტესის არეული ტაქტიკის ბრალია. ისიც თქვეს, მწვრთნელით თვით მისი თანამემამულე ტორესიც კი უკმაყოფილოაო - შეგახსენებთ, რომ „ენფილდზე" გატარებულ სამ წელიწადში ტორესმა დიდი სახელი დაიგდო, იგი პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. შესაბამისად, პრემიერლიგისავე კლუბები „ჩელსი" და „მანჩესტერ სიტი" მის შესაძენად ძალ-ღონეს არ იშურებენ.

თუმცა, დავუბრუნდეთ ბენიტესს, რომელზეც ამბობენ, რომ „ლივერპულის" აღმასრულებელ შეფთან **კრისტიან პარსლოუსთანაც** გაუფუჭდა ურთიერთობა. პარსლოუ, თურმე, ეჭვობს, რომ მწვრთნელი „ლივერპულში" თავის პოზიციებს „იუვენტუსში" გადასვლის თემით იმყარებდა - ასე ვთქვათ, „ბებერი ქალბატონი" ბლეფი იყო. გარდა ამისა, აღმასრულებელი შეფი უკმაყოფილოა, რომ მწვრთნელი გასული სეზონის განმავლობაში ყოველი მნიშვნელოვანი თამაშის წინ საგანგებოდ აკეთებდა ისეთ განცხადებებს, რომ წაგების შემთხვევაში ჯოხი მასზე არ გადატეხილიყო.

აქვე დავძენთ, რომ „ლივერპულმა" „იუვენტუსს" **ალბერტო აკვილანის** 9,5 მილიონ ფუნტად (13,5 მილიონ დოლარად) მიყიდვაზე უარი უთხრა. ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ „ლივერპულში" აკვილანი ძალიან სჭირდებათ, რასაკვირველია არა, მაგრამ მასში „იუვეს" შეთავაზებულზე ორჯერ მეტის მიღება სურთ - მოგეხსენებათ, 25 წლის ნახევარმცველში „წითლებმა" გასულ ზაფხულს „რომას" 20 მილიონი ფუნტი (28,5 მილიონი დოლარი) გადაუხადეს. აკვილანის აგენტმა **ფრანკო ძავალიამ** განაცხადა: *„ალბერტოს „იუვენტუსში" გადაყვანა იოლი საქმე არ არის. გასულ სეზონში, როდესაც ის ჯანმრთელად იყო და კოჭი არ აწუხებდა, ის მუდმივად ძირითადში იყო და ბენიტესთან არანაირი პრობლემა არ ჰქონდა. ეს იმას ნიშნავს, რომ „ლივერპული" მისით უკმაყოფილო არ არის და მხოლოდ დიდი ფულის სანაცვლოდ გაუშვებს. „ენფილდ როუდზე" აკვილანისთან დაკავშირებით სერიოზულ წინადადებას ელიან".*

„ლივერპულმა" სატრანსფერო ბაზარზე წასასვლელი ფული შეიძლება **ალბერტო რიერას** გაყიდვით იშოვოს. რიერა გერმანულ „შტუტგარტს" სურს. ხოლო რაც შეეხება კითხვას, თუ ვის ყიდულობს თავად „ლივერპული", პასუხი ასეთია: ჯერჯერობით, მეორე ლიგაში მე-14 ადგილზე გასული „ბრედფორდ სიტის" თავდამსხმელ **კალუმ პიკინგტონს**. თანხა ცნობილი არ არის, სამაგიეროდ, ცნობილია ასაკი - პიკინგტონი 14 წლისაა.

**ილია ბაბუნაშვილი**

## იუვენტუსი

# ბუფონი ინტერს უქომაგებს


ჯანლუიჯი ბუფონი

**ჯანლუიჯი ბუფონმა** კომენტარი „იუვენტუსში" არსებულ სიტუაციაზე, საკუთარ გეგმებზე, ჩემპიონთა ლიგის ფინალსა და მსოფლიო ჩემპიონატზე ისაუბრა. კლუბში მომხდარ ცვლილებებს „სკუადრა აძურას" მეკარე დადებითად აფასებს.

*„დელ ნერი და მაროტა იმის გარანტები არიან, რომ „იუვენტუსის" კრიზისი სულ მალე დასრულდება. სასწრაფოდ უნდა დავძლიოთ ეს შავბნელი პერიოდი. გასულმა სეზონმა ბევრი სიმწარე მოგვიტანა და ამგვარი რამ აღარ უნდა დაგვემართოს. „იუვენტუსში" კიდევ რამდენიმე წელიწადის გატარება მინდა და ბუნებრივია, ვოცნებობ, ძლიერი გუნდის წევრი ვიყო. ჩვენ დიდი კლუბის წევრები ვართ და ეს ყოველწამს უნდა გვახსოვდეს. ვფიქრობ, „იუვესთან" კონტრაქტს დაბრკოლებების გარეშე გავახანგრძლივებ და მის წარმატებებში საკუთარ წვლილსაც შევიტან", - ამბობს ბუფონი.*

*დღევანდელ ფინალში ჯიჯი „ინტერს" რომ ქომაგობს, ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს: „ბოლოს და ბოლოს, „ინტერი" იტალიური კლუბია და რაღა თქმა უნდა, მას დავუჭერ მხარს. იმის მიუხედავად, რომ მის შემადგენლობაში სულ რამდენიმე იტალიელი ფეხბურთელია, „ინტერს" მაინც იტალიური სული აქვს და სწორედ ეს შეუწყობს ხელს გამარჯვებაში".*

*„რაც შეეხება მსოფლიო ჩემპიონატს, - განაგრძობს ბუფონი, - ვფიქრობ, ტრადიციულად, არცთუ შთამბეჭდავ სტარტს ავიღებთ და თამაშს ეტაპობრივად გავაუმჯობესებთ. იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები ვართ, ბევრი ჩვენს შანსებს სკეპტიკურად უყურებს. ამის მიუხედავად, მჯერა, რომ სამხრეთ აფრიკაში კარგი შედეგის მიღწევა შეგვიძლია. ჩვენ შევძლებთ და ხალხს ისევე გავაოცებთ, როგორც ოთხი წლის წინ, გერმანიაში".*

**ლევან ჯანეზაშვილი**

## არგენტინა

# მარადონა ნანობს

**დიეგო მარადონა** ბოდიშს უხდის იმ ტელეოპერატორს, რომელსაც ავტომობილით დაეჯახა. ეს შემთხვევა არგენტინის ნაკრების შეკრებისას, ბუენოს აირესის ბაზასთან ახლოს მოხდა. *„მომხდარს ძალიან ვნანობ და დაზარალებულს ვუბოდიშებ. ვიმედოვნებ, იგი მალე გამოჯანმრთელდება. მე პროკურორს ჩვენება უკვე მივეცი, იმიტომ, რომ საკუთარ დანაშაულს სრულად ვაცნობიერებ",* - ამბობს არგენტინის ნაკრების თავკაცი.

ზემოთ ნახსენები ოპერატორი მძიმედ არ დაშავებულა, მაგრამ ექიმებმა მას სამდღიანი წოლითი რეჟიმი მაინც დაუნიშნეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**


დიეგო მარადონა

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავიდ ვილია პრეზენტაციაზე

ბარსელონა

# დავიდ ვილია: მოვედი საუკეთესო კლუბში!

## დღეიდან ელ გუახე 200 მილიონი ღირს

გუშინ, საქართველოს დროით 15 საათსა და 4 წუთზე, „ვალენსიას" ყოფილმა ფორვარდმა **დავიდ ვილიამ** „ბარსელონასთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით. ამიერიდან, თუკი რომელიმე კლუბი „ელ გუახეს" შეძენას მოინდომებს, 200 მილიონი ევრო (!) უნდა გადაიხადოს. „ელ გუახეს" ხელმოწერის ცერემონიალზე თან ახლდნენ პირადი აგენტი და ოჯახის წევრები. კატალონიური კლუბის მხრიდან კი პრეზიდენტი **ჟოან ლაპორტა**, ვიცე-პრეზიდენტები **ჟაუმე ფერერი, რაფაელ იუსტე** და **ალბერტ პერენი** დაესწრნენ, ისევე როგორც ტექნიკური მდივანი **ჩიკი ბეგირისტაინი** და კლუბის სხვა მოხელეები.

ხელმოწერის შემდეგ ლაპორტამ ერთი-ორი სიტყვით შეაქო კლუბი და მისი ახალწვეული, შემდეგ კი ყველამ ერთად ჯგუფური ფოტო გადაიღო. ამის შემდეგ ვილია „კამპ ნოუს" „პარიზის ოთახში" მედიას წარუდგა.

*„მე მოვედი მსოფლიოს საუკეთესო კლუბში, ამაზე დიდი ნაბიჯი კარიერაში არ არსებობს. ძალიან ამაყი და ბედნიერი ვარ აქ ყოფნით და ყურადღებით. რაც შეეხება „ბარსას" შეფასებას, ეს მხოლოდ ჩემი აზრი არაა, მსოფლიოს გულშემატკივართა უმეტესობა აღიარებს „ბლაუგრანას" უპირატესობას. მსურს, ბევრი ვიშრომო და ყველაფერი გავილო ახალი კლუბისათვის, რომ ოდნავ უკეთესი მაინც გავხადო. მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ჩემი ყოფილი გუნდის ხელმძღვანელობას, თანაგუნდელებსა და გულშემატკივრებს. განსაკუთრებით „ვალენსიას", სადაც ხუთი ბედნიერი სეზონი გავატარე. გოლის გატანა ჩემი მოვალეობაა, ეს არ არის იოლი საქმე, თუმცა, როცა გვერდში ჩავი, მესი, ბუსკეტსი და სხვები გყავს, გოლის გატანა გაცილებით იოლია ფორვარდისთვის. „ბარსელონას" ჩემი შეძენა ძალიან სურდა, მე შემიძლია დაგისახელოთ მილიონი დეტალი, რომელიც გუნდის ამ სურვილზე მეტყველებდა. ამიტომაც გადავწყვიტე გავხდე ბარსელონელი. ყველამ იცის, რომ ჩემი კერპი ქუინი და ლუის ენრიკე არიან. მსურს, მათსავით წარმატებული ვიყო „ბარსელონაში". როცა კარიერას დავასრულებ, მინდა, მათ გვერდში მომიხსენიონ"*, - განაცხადა „ბარსას" 40-მილიონიანმა შენაძენმა.

შემდეგ სიტყვით ჟოან ლაპორტა გამოვიდა: *„მინდა მადლობა ვუთხრა ჩიკი ბეგირისტაინს და რაულ სენლეჰის, რომ არა მათი შრომა, ეს ტრანსფერი არ შედგებოდა. კმაყოფილი ვარ „ვალენსიას" ბრწყინვალე პარტნიორული ურთიერთობით. დავიდის მამა კი დაგვეხმარა, რომ შვილს საბოლოოდ ჩვენს სასარგებლოდ გაეკეთებინა არჩევანი". „ის შესანიშნავად მოძრაობს ბურთით და უბურთოდ, თამაშობს ბრწყინვალედ შეტევის მარცხენა ფლანგზე და ცენტრში. ვილია ის ფეხბურთელია, რომელიც მეტ საგოლე შანსს შეგვიქმნის და „ბარსას" მეტ გოლს გაატანინებს. ჩვენ უკვე გვყავს ბრწყინვალე შეტევის ხაზი"*, - ეს უკვე ბეგირისტაინის სიტყვებია.

მედიასთან გასაუბრებას გულშემატკივრებთან შეხვედრა მოჰყვა, „კამპ ნოუს" უამრავი გულშემატკივარი მოაწყდა მხოლოდ იმისათვის, რომ ბურთით მოთამაშე დავიდ ვილია ეხილათ გუნდის ახალი, ოფიციალური მაისურით. „კამპ ნოუ" სანახევროდ გაივსო, მათ პრეზენტაცია გიგანტურ ეკრანზე ნახეს, შემდეგ კი მოედანზე თავად „ელ გუახე" გამოჩნდა, რომელსაც 7-ნომრიანი მაისურა ეცვა. სწორედ ასეთი მაისურით ითამაშებს „ბარსელონა" 2010-11 წლების საფეხბურთო სეზონში. „ბარსა ტვ" ამას პირდაპირ ეთერში გადასცემდა. ის რამდენიმე სიტყვით მიესალმა გულშემატკივრებს, შემდეგ კი ბურთები მისი ხელმოწერით ტრიბუნებში ისროლა, ბოლოს ვილიამ წრე დაარტყა „კამპ ნოუს" და აღფრთოვანებულ პუბლიკას დაემშვიდობა.

ამ ყველაფერს დილით ერთი აუცილებელი პროცედურა უძღვოდა - სამედიცინო შემოწმება. ჰოსპიტალში ის დილის 7 საათზე გამოცხადდა, მიუხედავად ამისა, ჰოსპიტალის შესასვლელი გულშემატკივრებს უკვე გადაკეტილი ჰქონდათ. ვილიამ სამი საათი გაატარა იქ და ჩაიტარა სხვადასხვა პროცედურა. „ბარსელონას" ექიმმა **რიკარდ პრუნიამ** განაცხადა, რომ ვილია ჯანმრთელია და მას ახლავე შეუძლია თამაში.

დავიდ ვილია „ბარსელონაში" 7-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. ბოლოს ამ ნომრით ისლანდიელი ფორვარდი **ეიდურ გუდიონსენი** თამაშობდა, რომელიც გასულ ზაფხულში წავიდა კატალონიური კლუბიდან. ბოლო სეზონში კი 7 ნომერი თავისუფალი იყო. მხოლოდ 1995-96 წლების სეზონიდან შემოვიდა წესი, როცა ფეხბურთელი სეზონის განმავლობაში მუდმივ ნომერს ირჩევს. პირველი შვიდიანი **ლუიშ ფიგუ** იყო, შემდეგ კი 7 ნომერი „ბარსაში" ეცვათ: **ალფონსო პერესს, ხავიერ სავიოლას, ჰენრიკ ლარსონსა** და ეიდურ გუდიონსენს. მუდმივნომრიან ეპოქამდე 7-იანი ხშირად ცმიათ „ბარსელონაში" **ალან სიმონსენს, ანდონი გოიკოეჩეას, კარლეს რექსაჩს, ლობო კარასკოსა** და სხვებს.

სხვათა შორის, ბეგირისტაინმა მხოლოდ ვილიას შესახებ არ ილაპარაკა. ესპანურ მედიაში ახლა მთავარი სასპეკულაციო თემა **სესკ ფაბრეგასის** შესაძლო ტრანსფერია „ბარსელონაში". ჩიკიმ დაადასტურა, რომ „არსენალთან" ამ თემაზე მუშაობა დაწყებულია: *„თავად ფეხბურთელის სურვილია ჩვენთან ითამაშოს, თუმცა ჩვენ პატივს ვცემთ „არსენალს" და მის კონტრაქტს სესკთან. ყველაფერი წესების დაცვით განხორციელდება, თუკი „არსენალი" მოისურვებს, შეთანხმებას აუცილებლად მივაღწევთ".* ბეგირისტაინმა ცხადად თქვა, რომ ამ ზაფხულს გუნდი არ გაყიდის არც ერთ ფეხბურთელს, თუკი ეს თავად მათი სურვილი არ იქნა. *„თავად ტიერი ანრის სურვილზეა დამოკიდებული, თუ მას სურს წასვლა, ჩვენ დავეხმარებით კიდეც. იგივე შემიძლია გავიმეორო რაფაელ მარკესზეც. რაც შეეხება ხმებს ზლატან იბრაჰიმოვიჩის წასვლის შესახებ - ჩემი აზრით, ვილია და ზლატანი იდეალურად შეთამაშდებიან. თავად იბრას უნდა უხაროდეს, შეტევის ხაზში შეჯიბრება უფრო გართულდა".*

დავიდ ვილიას დებიუტი „ბარსელონაში" სეულში შედგება, კატალონიური გრანდი კორეის დედაქალაქში კორეის ვარსკვლავთა გუნდთან ამხანაგურ შეხვედრას 4 აგვისტოს გამართავს.

გუშინ „ბარსელონაში" ახალი ფორმის პრეზენტაცია გაიმართა. საშინაო ფორმაზე მთავარი ცვლილება ყვითელი კანტი და წითელი ტრუსია (ლურჯის ნაცვლად). ზოლებიც უფრო სქელია, ვიდრე ტრადიციულ ფორმაში. საგარეო ფორმა მწვანეა და მხოლოდ მკერდზეა „ბლაუგრანა" ფერები გამოხატული. მაისურს ამშვენებს წარწერა: „მეტი, ვიდრე გუნდი"...

სატრანსპორტო კომპანია
შპს "ნორს-ისთ ლაინი"

NEAL

- საკონტეინერო გადაზიდვები მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან საქართველოში და პირიქით
- ტვირთების საავტომობილო გადაზიდვები თბილისიდან დასავლეთ საქართველოს მიმართულებით
- საკონტეინერო პარკით მომსახურება




ფოთიდან

| ტვირთის დასახელება | თბილისი | ბაქო | ერევანი |
|---|---|---|---|
| კონტეინერი | 950 | 2800 | 1900 |
| ღია პლატფორმის ტვირთი | 1150 | 3000 | 2100 |

ფაქსი +995(32)38-42-47
+995(90)25-25-25
www.neal.ge
ელ-ფოსტა: info@neal.ge

მსუბუქი ავტომობილის გადაყვანა ფოთი-თბილისი 280 ლარი

თბილისიდან

| ტვირთის დასახელება | ხაშური | ქუთაისი | ზუგდიდი | ბათუმი | ფოთი |
|---|---|---|---|---|---|
| 20 ტონა ტვირთი ყუთებში ან ტომრებში | 400 | 500 | 650 | 700 | 600 |
| 20 ტონა ღია პლატფორმის ტვირთი | 1000 | 1100 | 1200 | 1250 | 1150 |
| 1 ევროპალეტი | 75 | 80 | - | 95 | 85 |
| გზავნილი 15-კგ-მდე | - | 25 | - | 25 | 25 |
| გზავნილი(წერილი) 0.2-კგ-მდე | - | 8 | - | 8 | 8 |
| გზავნილი(წერილი) 0.2 კგ-მდე კორპორატიული კლიენტებისთვის | - | 5 | - | 5 | 5 |

რეალი

# ბუტრაგენიო: პელეგრინი? ალბათ, არა...



ემილიო ბუტრაგენიო

მადრიდის „რეალის" დირექტორმა **ემილიო ბურტაგენიომ** თითქმის დაადასტურა, რომ მომავალ სეზონში გუნდს **მანუელ პელეგრინი** აღარ გაწვრთნის. AS-თან ინტერვიუში დირექტორმა დადებითი კუთხით ისაუბრა მწვრთნელზე, თუმცა აღნიშნა, რომ პელეგრინის მომავალი მომავალ კვირაში გაირკვევა.

*„პელეგრინის კარგად მესმის. მან ძალიან კარგ პროფესიონალად და ადამიანად წარმოაჩინა თავი, მე მომწონს მისი მუშაობის სტილი. ის ჯერ კიდევ გუნდის მწვრთნელია, ამიტომ ჩემი მხრიდან უხერხული იქნება მის შემცვლელზე საუბარი, კლუბი დიდ პატივს სცემს პელეგრინის. კარგი სეზონი გამოგვივიდა, პრიმერა 96 ქულით და 102 გატანილი გოლით დავასრულეთ, ეს ის რიცხვებია, რომლის გამეორებასაც შემდეგ სეზონშიც ვისურვებდი - 38-დან 31 მატჩი მოვიგეთ, საოცარია. სამწუხაროდ, „ბარსელონა" კიდევ უფრო უკეთეს გუნდად წარმოჩნდა. ეს სეზონი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ისტორიაში. სხვა ტურნირებში კი ცუდად ვიასპარეზეთ. ჩვენთვის შოკი იყო ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან გავარდნა. ეს „რეალის" გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა. ახლა მთავარია, წყნარად მივიღოთ გადაწყვეტილება, რომ შემდეგ სეზონში გუნდმა ტიტულებიც მოიგოს. დირექტორთა საბჭო შემდეგ კვირაში იკრიბება სპორტული საკითხების გადასაჭრელად. რა თქმა უნდა, გაძლიერება არ გვაწყენს, მაგრამ ჯერ მთავარი - მწვრთნელის საკითხი უნდა გადავწყვიტოთ"*, - განაცხადა „რეალის" ლეგენდარულმა ფორვარდმა.

ახლა გაგაცნობთ რამდენიმე ინფორმაციას (ჭორია, თუ მართალი მოგვიანებით გავიგებთ), რომელიც „სამეფო კლუბის" სავარაუდო ტრანსფერებს შეეხება: „მარკა" მიიჩნევს, რომ **გუტი** კარიერას სანკტ პეტერბურგის „ზენიტში" გააგრძელებს. AS-ი ავრცელებს ცნობას, რომ „ჩელსი" მზადაა **კაკას** სანაცვლოდ ასტრონომიული თანხა გადაიხადოს. ამავე გაზეთის მტკიცებით, ესპანეთის ნაკრების ახალწვეული **ხავი მარტინესი** მომავალ სეზონს „რეალში" გაატარებს. 21 წლის მარტინესს 2014 წლამდე აქვს „ბილბაოსთან" კონტრაქტი, მისი გამოსასყიდი თანხა კი ხელშეკრულების მიხედვით, 30 მილიონი ევროა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფული გაქვს ?



„მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელის სერ ალექს ფერგიუსონის განცხადება, რომ ამ ზაფხულზე ახალ ფეხბურთელს არ იყიდის, გულშემატკივრებში დიდ ეჭვს აღძრავს", - ამბობს გაზეთ „სანის" მთავარი სპორტული მიმომხილველი **სტივენ ჰოვარდი**, რომელიც ეჭვობს, რომ ფერგიუსონის განცხადება პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ კლუბი შემოსავალ-გასავალს ძველებურად ველარ აკონტროლებს. მართალია, მანჩესტერელთა ბანაკი დაჟინებით იმეორებს, რომ მეპატრონეების, ამერიკელი მილიარდერების - **გლეიზერების** ოჯახი თითოეულ მოგებულ პენის კლუბშივე ტოვებს, მაგრამ ის, რაც ხდება, საპირისპიროზე მეტყველებს.

ჰოვარდი წერს, რომ ყველაზე ხშირად „იუნაიტედის" ფანები სვამენ კითხვას: რა ბედი ეწია იმ 80 მილიონს, რომელიც შარშან ზაფხულს „რეალმა" **კრიშტიანო რონალდოში** გადაიხადა? პასუხი „ოლდ ტრეფორდის" ოფისიდან ამ დღეებში გახმაურდა: ეს ფული აორთქლდა... თუმცა, ვინაიდან ჩვენში სიტყვა აორთქლდა უპირველეს ყოვლისა აღიქმება, როგორც ვიღაცამ შინ წაიღო, დავაზუსტოთ: ამ თანხით გლეიზერებმა უზარმაზარი ვალის ნაწილი დაფარეს, რათა... ხელახალი კრედიტი აეღოთ.

დიახ, გლეიზერები და ვალი მეტად თავისებური თემაა, რომელთან დაკავშირებით ძალიან საინტერესოა ერთი რამ: როგორ მოახერხეს „იუნაიტედის" პატრონებმა თავის ისეთი სქემაში შეყოფა, რომელიც ვალის დაფარვის მომენტისთვის ანუ 2017 წლისთვის გადასახდელად მილიარდ ფუნტზე მეტს დააგროვებს?

„მე და თქვენ დიდი კრედიტი რომ გვქონდეს გამოსატანი, ისე მოვიქცეოდით, რომ ვალი ცოტ-ცოტა მთელი ცხოვრების განმავლობაში გვეხადა, გლეიზერებმა კი ყველაფრის ერთბაშად, ბოლოში გადახდას მოაწერეს ხელი. ეს იმას ნიშნავს, რომ უზარმაზარი პროცენტის - 14,25-ის გათვალისწინებით, მათ მიერ 2006 წელს აღებული 138 მილიონი ფუნტი 2017 წლისთვის 588 მილიონად იქცევა, თუმცა ჯერ სადა ხართ. მას მერე, რაც გლეიზერებმა ვალის დაფარვის წესები დაარღვიეს, ისედაც დიდი პროცენტი კიდევ უფრო გაიზარდა მთელი 2 პროცენტით და 2017 წლისთვის გადასახდელად 662 მილიონი ფუნტი გამოუვიდათ. ახლა გამოაკელითთ 662-ს 588 და რონალდოს გაყიდვით შემოსულ თანხას მიიღებთ. ფინანსისტებმა შეიძლება მითხრან, რომ მე ძალიან მარტივად ვმსჯელობ, მაგრამ ეს იმიტომ, რომ თავად არიან გულუბრყვილო კლიენტის გამოჭერის ბიზნესში. აბა, თვითონ თუ შეყოფდნენ ასეთ პროცენტიან კრედიტში თავს. თუმცა ისტორია ჯერ არ დასრულებულა. საკუთრივ „მანჩესტერ იუნაიტედის" დასაფარავი თანხა ყველაფრის გათვალისწინებით 700 ათას ფუნტს აღემატება, რაშიც შედის თავიდან აღებული 138 მილიონი, რომელიც პროცენტის გათვალისწინებით უკვე 200 ათასს გაუტოლდა. კეთილი, ეს თანხა ზემოთ ნახსენებ 662 მილიონშიც შედის, ამიტომ შეგვიძლია 700-ს გამოვაკლოთ 200 და მივიღებთ 500-ს, რაც 662-ს უნდა მივამატოთ და გამოგვივა, რომ 2017 წლისთვის გლეიზერებს გადასახდელი აქვთ არც მეტი, არც ნაკლები... ან უკეთესი იქნება თუ ვიტყვით, სულ მცირე 1,1 მილიარდი ფუნტი", - წერს სტივენ ჰოვარდი და ასკვნის, რომ ასეთ ვალთან გუნდის ის შემოსავალი, რომლითაც „მანჩესტერ იუნაიტედის" ბოსები ასე ტრაბახობენ, ვერაფერს გახდება.

**ილია ბაბუნაშვილი**

სატრანსფერო ამბები

# საქმეში ჩელსი ჩაერია

„ჩელსი" „ასტონ ვილას" ნახევარმცველ **ჯეიმს მილნერის** გადაბირებაში „მანჩესტერ სიტის" შეეცილება. შეგახსენებთ, რომ საქმე ასეა: ისტლენდელებმა „ვილას" თავდაპირველად 25 მილიონი ფუნტი შესთავაზეს, მაგრამ უარი მიიღეს და თანხა 30 მილიონამდე ასწიეს. ამის შემდეგ თითქოს ყველაფერი უნდა მოგვარებულიყო, მაგრამ ასპარეზზე „ჩელსი" გამოჩნდა და ბანქო არია - დასავლეთლონდონელების მწვრთნელის **კარლო ანჩელოტის** თქმით, მილნერს ჩემპიონთა ლიგის ფეხბურთი მოხიბლავს და მანჩესტერში კი არ წავა, „სტემფორდ ბრიჯზე" გადავა.

შეგახსენებთ, რომ როგორც „მანჩესტერ სიტი", ასევე „ასტონ ვილა" გასულ სეზონში პრემიერლიგის ოთხეულს, ესე იგი ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩნენ. მათ **ჰარი რედნაპის** „ტოტენჰემ ჰოთსპურმა" აჯობა.

და როგორია საკუთრივ მილნერის რეაქცია მის გარშემო ამტყდარ ამბებზე? 24 წლის ნახევარმცველი კომენტარისგან თავს იკავებს. ამბობენ, მას მერე, რაც **ფაბიო კაპელომ** ინგლისის ნაკრებში მიიწვია, მეტისმეტად ამბიციურიც გახდაო. შესაბამისად, მისი მოჭარბებული ამბიცია შეიძლება სწორედ ისეთი ვარსკვლავების თანაგუნდელობამ დააკმაყოფილოს, როგორებიც არიან **ჯონ ტერი, ეშლი კოული** და **ფრენკ ლემპარდი.**

მილნერს, რომელიც ნახევარმცველობის გარდა დაცვის მარცხენა ფრთაზეც კარგად თამაშობს, „ასტონ ვილაში" ხელშეკრულების თანახმად, კიდევ ორი წელიწადი დარჩა გასატარებელი. მას ბირმინგემელები კვირაში 40 ათას ფუნტს უხდიან და მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ განახლებულ კონტრაქტზეც უპირებენ დალაპარაკებას, მაგრამ „ჩელსის" გამოჩენის შემდეგ გუნდის მწვრთნელ **მარტინ ონილს** ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის დაკარგვის დიდი შანსი აქვს. დასავლეთლონდონელები ამბობენ, რომ მას მერე, რაც „მანჩესტერ სიტიმ" ორი წლის წინ ბრაზილიელი **რობინიო** სატრანსფერო ბაზრის დახურვის დღეს ზედ ცხვირწინ ააცალა, ისტლენდელთათვის არაფრის დათმობას არ აპირებენ. „ლურჯების" კლუბის ერთ-ერთმა წევრმა თქვა:

„ორი წლის წინ ჩვენს კლუბში რობინიოს ასე დაკარგვა ძალიან განიცადეს და შეურაცხყოფადაც კი მიიღეს. სხვა საქმეა, რომ ამით გუნდი უნებლიეთ გადარჩა და „სიტიმ" ბრაზილიელის თავისთან ყოლით რაც მოიგო, ყველამ კარგად ნახა. ახლა კი ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ მილნერი უნდა ვიყიდოთ და ამაში ვერავინ შეგვიშლის ხელს".

**ილია ბაბუნაშვილი**



ჯეიმს მილნერი

გაიხსნა
სპორტლენდი სპორტ ბარი & ბუკმეკერები




სპორტლენდი-
სპორტ ბარი & ბუკმეკერები
დიდი სპორტის & აზარტის ატმოსფერო,

13 დიდი ეკრანი - პლაზმური და LSD ტელევიზორები,

ექსკლუზიური სატელიტური სისტემა,

სატელიტური არხები:
ESPN America,
Fox Sports და Sky Sports,

10 სხვადასხვა თამაშის ერთდროულად ტრანსლაცია

ფსონის დადება შესაძლებელია თამაშის მსვლელობის დროსაც!

უგემრიელესი ბარ მენიუ.

,,კაზინო აჭარაში''

დამატებითი ინფორმაციისათვის და დაჯავშნისათვის დარეკეთ: (+995 32) 33 44 76

26 მაისის მოედანი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიძინა ზარიათაშვილი წარმოგიდგენთ

# იქ, ამერიკაში...

### ურუგვაის ნაკრები

# ძლიერი დაცვა და ოთხი სუპერფორვარდი

**მუნდიალისთვის მზადება დაიწყო ურუგვაის ნაკრებმა. ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესმა 30 კაცის ნაცვლად 26 დაასახელა. ვინ იქნება ზედმეტი? ამ კითხაზე პასუხის გაცემა ჯერ რთულია. მოდით, ახლო გავეცნოთ „სელესტეში" მიწვეულებს და ჩვენი ვარაუდი ისე ჩამოვაყალიბოთ.**

მეკარეები (3): ფერნანდო მუსლერა (ლაციო იტალია, 23 წლის. 5 მატჩი, +3=1-1, გაუშვა 4 გოლი, დებიუტი: 10.10.09 ეკვადორთან შესარჩევ მატჩში), **ხუან კასტილიო** (დეპორტივო კალი კოლუმბია, 32 წ. 11 მატჩი +4=5-2, გაუშვა 10 გოლი, დებიუტი: 12.09.07 სამხრეთ აფრიკასთან ამხანაგურ მატჩში), **მარტინ სილვა** (დეფენსორი, 27 წ. 1 მატჩი +0=0-1, გაუშვა 1 გოლი, დებიუტი: 12.08.09. ალჟირთან ამხანაგურ მატჩში);

ტიტულარი უეჭველად **ფერნანდო მუსლერა** იქნება, რომელმაც წელს მარტომ ათრია რომის „ლაციო" და სერია A-ში ადგილი შეუნარჩუნა. საკმაოდ გამოცდილია მისი დუბლიორი **ხუან კასტილიოც.** მესამე მეკარე კი მუნდიალზე ისედაც ტურისტად მიემგზავრება, ამიტომ „ვილიარეალიდან" ბერძნულ „ლარისაში" გადასულ **სებასტიან ვიერას** არყოფნას დიდ დანაკლისად ვერ მივიჩნევთ.

მცველები (7): მარტინ კასერესი (იუვენტუსი იტალია, 23 წ. 18 მატჩი +6=9-3, დებიუტი: 12.09.07 სამხრეთ აფრიკასთან ამხანაგურ მატჩში), **მაურისიო ვიქტორინო** (უნივერსიდად დე ჩილი ჩილე, 27 წ. 4 მატჩი +2=1-1, დებიუტი: 27.09.06 ვენესუელასთან ამხანაგურ მატჩში), **დიეგო ლუგანო** (ფენერბაჰჩე თურქეთი, 42 მატჩი +14=17-11, 4 გოლი, 29 წ. დებიუტი: 01.02.03 ჰონკონგთან ამხანაგურ მატჩში), **ანდრეს სკოტი** (კოლო კოლო ჩილე, 34 წ. 25 მატჩი +13=7-5, 1 გოლი, დებიუტი: 21.05.06 ჩრდ. ირლანდიასთან ამხანაგურ მატჩში), **ხორხე ფუჩილე** (პორტუ პორტუგალია, 25 წ. 24 მატჩი +12=6-6, დებიუტი: 01.03.06 რუმინეთთან ამხანაგურ მატჩში), **დიეგო გოდინი** (ვილიარეალი ესპანეთი, 24 წ. 38 მატჩი +16=12-10, 3 გოლი. დებიუტი: 26.10.05 მექსიკასთან ამხანაგურ მატჩში), **მაქსიმილიანო პერეირა** (ბენფიკა პორტუგალია, 25 წ. 36 მატჩი +12=14-10. დებიუტი: 26.10.05 მექსიკასთან ამხანაგურ მატჩში);

დაცვა ურუგვაელთა ერთ-ერთი ძლიერი ხაზია. ვფიქრობთ, მუნდიალზე ტაბარესი შვიდივე დასახელებულ მცველს წაიყვანს. ძირითადში კი ადგილი დაჯავშნილი აქვთ გუნდის კაპიტან **დიეგო ლუგანოს, მაქსიმილიანო პერეირას** და **დიეგო გოდინს**. მარჯვნივ ან გამოცდილი **ხორხე ფუჩილე** ითამაშებს, ან სწრაფად პროგრესირებადი **მარტინ კასერესი**.

ერთადერთი დანაკლისია 19 წლის ამომავალი ვარსკვლავი **სებასტიან კოატესი** („ნასიონალი"), რომელსაც ჯერ უფროსებში არ უთამაშია, მაგრამ ურუგვაელი ჟურნალისტების აზრით, „სელესტესთან" წინასამუნდიალო ვარჯიში წაადგებოდა.

ნახევარმცველები (10): **ნიკოლას ლოდეირო** (აიაქსი ჰოლანდია, 21 წ. 3 მატჩი +2=1-0. დებიუტი: 14.11.09 კოსტა რიკასთან შესარჩევ მატჩში), **ალვარო პერეირა** (პორტუ პორტუგალია, 25 წ. 14 მატჩი +6=4-4, 1 გოლი, დებიუტი: 19.11.08 საფრანგეთთან ამხანაგურ მატჩში), **ხორხე როდრიგესი** (რივერ პლეიტი, 25 წ. 7 მატჩი +5=0-2, დებიუტი: 19.08.08 იაპონიასთან ამხანაგურ მატჩში), **იგნასიო გონსალესი** (ვალენსია ესპანეთი, 28 წ. 16 მატჩი +7=5-4, 1 გოლი, დებიუტი: 01.03.06 ინგლისთან ამხანაგურ მატჩში), **ალვარო გონსალესი** (ნასიონალი, 25 წ. 11 მატჩი +7=2-2, დებიუტი: 24.05.06 რუმინეთთან ამხანაგურ მატჩში), **სებასტიან ეგურენი** (აიკ შვედეთი, 29 წ. 26 მატჩი +13=7-6, 5 გოლი, დებიუტი: 13.07.01 ბოლივიასთან „კოპა ამერიკას" მატჩში), **ალვარო ფერნანდესი** (უნივერსიდად დე ჩილი ჩილე, 24 წ. 7 მატჩი +1=3-3, დებიუტი: 01.04.09 ჩილესთან შესარჩევ მატჩში), **ეგიდიო არევალო რიოსი** (პენიაროლი, 27 წ. 4 მატჩი +2=1-1, დებიუტი: 27.09.06 ვენესუელასთან ამხანაგურ მატჩში), **დიეგო პერესი** (მონაკო საფრანგეთი, 27 წ. 45 მატჩი +21=14-10, დებიუტი: 13.07.01 ბოლივიასთან „კოპა ამერიკას" მატჩში), **ვალტერ გარგანო** (ნაპოლი იტალია, 25 წ. 26 მატჩი +10=9-7, დებიუტი: 30.05.06 ლიბიასთან ამხანაგურ მატჩში);

ძალიან რთული იქნება ნახევარმცველთა გაცხრილვა. არადა, სწორედ აქ ჩანს რეზერვი. სავარაუდოდ, ტაბარესს მოუწევს ათელიდან „შესანიშნავი შვიდეულის" არჩევა. მოდით, ჩვენც ვცადოთ ამის გაკეთება. **ნიკოლას ლოდეირო** ურუგვაული ფეხბურთის მთავარ



დიეგო ფორლანი ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის მთავარი იმედია

იმედად ითვლება. შემთხვევითი არაა, რომ იანვარში გაზეთ „ელ პაისის" მიერ მოწყობილი გამოკითხვის შედეგად ურუგვაელთაგან მხოლოდ ის მოხვდა კონტინენტის სიმბოლურ ნაკრებში და უმალ გაცვალა „ნასიონალი" „აიაქსზე". მართალია, იქ მას ჯერ თადარიგში ამყოფებენ, მაგრამ მუნდიალზე მაინც უნდა წაიყვანონ. წესით, არც ნეაპოლელ **ვალტერ გარგანოს** უნდა გაუჭირდეს ძირითადში მოხვედრა - ის ხომ „ნაპოლის" წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია.

სამშობლოში დარჩენილი სამეულიდან **ალვარო გონსალესს** და **ხორხე როდრიგესს** ახლად დასრულებულმა პირველობამ ხასიათი გაუფუჭა - მათი „ნასიონალი" და „რივერ პლეიტი" საპრიზო სამეულშიც კი ვერ მოხვდნენ და იქნებ ეს გახდეს საბოლოო ვერდიქტის საბაბი. აი, **ეგიდიო არევალო რიოსი** კი ბედნიერია - „პენიაროლმა" „კლაუსურას" ჩემპიონობა სარეკორდო მაჩვენებლით მოიპოვა და ამაში რიოსს მიუძღვის ლომის წილი.

გვრჩება კიდევ 5 პრეტენდენტი. ამათგან, **ალვარო პერეირა** და **დიეგო პერესი** „პორტუსა" და „მონაკოს" ძირითადში თამაშობენ, რაც სიაში მოსახვედრად საკმარისი უნდა იყოს. **სებასტიან ეგურენი** მართალია, ესპანეთიდან შვედეთში გადაბარგდა, მაგრამ ძალიან გამოცდილია. გამოდის, რომ შინ ან „ვალენსიას" სათადარიგო **იგნასიო გონსალესს** დატოვებენ, ან ჩილეში მოთამაშე **ალვარო ფერნანდესს**.

მოულოდნელად ამოვარდა შემადგენლობიდან ნაკრების საკვანძო ნახევარმცველი **კრისტიან „სებოლა" როდრიგესი** („პორტუ", პორტუგალია), რომელმაც არგენტინასთან შესარჩევში უხეშობისთვის 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო და მიუხედავად იმისა, რომ 2 თამაში (კოსტა რიკასთან) უკვე გამოტოვა, შინ დარჩება.

თავდამსხმელები (6): **დიეგო ფორლანი** (ატლეტიკო ესპანეთი, 30 წ. 55 მატჩი +20=19-16, 22 გოლი, დებიუტი: 27.03.02 საუდის არაბეთთან ამხანაგურ მატჩში), **სებასტიან აბრეუ** (ბოტაფოგო ბრაზილია, 33 წ. 54 მატჩი +21=17-16, 24 გოლი, დებიუტი: 17.07.96 ჩინეთთან ამხანაგურ მატჩში), **ლუის სუარესი** (აიაქსი ჰოლანდია, 23 წ. 29 მატჩი +12=10-7, 10 გოლი, დებიუტი: 07.02.07 კოლუმბიასთან ამხანაგურ მატჩში), **ედისონ კავანი** (პალერმო იტალია, 23 წ. 13 მატჩი (+5=4-4, 2 გოლი, დებიუტი: 06.02.08 კოლუმბიასთან ამხანაგურ მატჩში), **სებასტიან ფერნანდესი** (ბანფილდი არგენტინა, 24 წ. 6 მატჩი +4=1-1, დებიუტი: 24.05.06 რუმინეთთან ამხანაგურ მატჩში), **ხორხე მარტინესი** (კატანია იტალია, 27 წ. 13 მატჩი +7=1-5 1 გოლი, დებიუტი: 08.06.03 სამხრეთ კორეასთან ამხანაგურ მატჩში).

დღეს „სელესტეს" 4 სუპერფორვარდი ჰყავს. **დიეგო ფორლანს** წარდგენა არ სჭირდება - იგი 8 წელია სამართლიანად ატარებს ნაკრების ლიდერის სახელს და ერთნაირად კარგად ართმევს თავს შეტევების ორგანიზებასაც და დაგვირგვინებასაც. ახალგაზრდა **ლუის სუარესი** მეორე წელია ფანტასტიკურ რეზულტატურობას ავლენს „აიაქსში". შარშან საერთოდ საუკეთესო შედეგი ჰქონდა მსოფლიოს ბომბარდირთა შორის და არც წელს იყო შორს იმავე ნიშნულისგან. იუნიორთა ნაკრებიდან მოვიდა გუნდში **ედისონ კავანი**, რომელიც „პალერმოში" ჩინებულად გარჯამ „ინტერისა" და „იუვენტუსის" სამიზნედ აქცია. არც **სებასტიან „ლოკო„** (გიჟი) **აბრეუს** დაუკარგავს გოლის ალღო. წელს მან უკვე მოასწრო რიოს ჩემპიონატის მოგება და ფინალში „ფლამენგოსაც" გაუტანა გადამწყვეტი ბურთი. შესაძლოა ტაბარესმა აფრიკაში დანარჩენი ორი ფორვარდიც იახლოს. მით უმეტეს, რომ კატანიელ **ხორხე „მალაკა" მარტინესსაც** და მეზობელ არგენტინაში გაჩემპიონებულ **სებასტიან ფერნანდესს** კარგი სეზონი ჰქონდათ.

სიის მიღმა დარჩნენ არგენტინული „ველესის" ბომბარდირები **სანტიაგო სილვა** და **ერნან როდრიგო ლოპესი**, იქვე „ნიუელსში" მოთამაშე სომეხი **ანტონიო ბოგოსიანი** და კავანის პალერმოელი პარტნიორი **აბელ ფერნანდესი.** არადა, ყველანი შესაშურ ფორმაში არიან. სილვა და ბოგოსიანი დეკემბერში დასრულებული „აპერტურას" სნაიპერები გახდნენ (მიმდინარე „კლაუსურაში" მათ, შესაბამისად 5 და 6 გოლი გაიტანეს), მაგრამ სილვამ ცოტა ითამაშა, რადგან კოპა ლიბერტადორესზე უფრო იყო გადართული, ლოპესმა ბოლო ტურში პოკერი შეასრულა, ფერნანდესს კი სათადარიგო სტატუსის მიუხედავად რეგულარულად გააქვს გოლები და ჩვენებური **ლევან მჭედლიძის** უსაქმოდ დარჩენაც სწორედ მისი ბრალია.

კოპა ლიბერტადორესი — 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

# დამუნჯებული მარაკანა

**ჩივასი (მექ)–ლიბერტადი (პარ) 3:0**

გოლები: 1:0 ბრავო (7), 2:0 ვასკესი (29), 3:0 ბრავო (80)

ჩივასი: ვისენტე სანჩესი, რეინოსო, არაუხო, დე ლუნა, კრისტიან პერესი, ბაესი, ნავა (სოლისი), კორონადო (ესპარსა), ბრავო, არელანო (ვასკესი), ფაბიანი.

ლიბერტადი: მედინა, სარაბია, ვერა, რომანი, ოლმედო, აკინო, კასერესი, სამუდიო (მასიელი), აიალა (ველასკესი), რობერტო გამარა (მორეირა), როდოლფო გამარა.

„ჩივასმა" გვადალახარაშივე გადაწყვიტა შემდეგ ეტაპზე გასვლის საკითხი. ამაში ლომის წილი ფორვარდ **ომარ ბრავოს** მიუძღვის. **ხავიერ აგირეს** მიერ სამუნდიალოდ დაწუნებულმა თავდამსხმელმა ჯერ ეფექტური თავურით დააგვირგვინა მექსიკელთა პირველივე სახიფათო შეტევა, მატჩის მიწურულს კი ბოლომდე სდია პარაგვაელთა დემორალიზებულ მცველ **ადალბერტო რომანს**, საჯარიმოში ბურთი აართვა და დუბლი გაიფორმა. შუალედში კი **რიკარდო მიჩელ ვასკესმა** გახვრიტა ცხრიანი მას მერე, რაც **მარკო ფაბიანმა** ბურთი მცველს თავზე გადაავლო და მას მიუგორა.

**ინტერნასიონ. (ბრა)–ესტუდიან. (არგ) 1:0**

გოლი: 1:0 სორონდო (88)

ინტერნასიონალი: აბონდანსიერი, სორონდო, ბოლივარი, ნეი (გლეიდსონი), კლებერი, დ'ალესანდრო (ჟულიანო), გუინასუ, ანდრეზინიო, სანდრო, ალესანდრო, ვალტერი (ტაისონი).

ესტუდიანტესი: ორიონი, დესაბატო, სელაი, რე, კლემენტე როდრიგესი, ფედერიკო ფერნანდესი, ვერონი, ენცო პერესი (სტეფანატო), სოსა (ლეანდრო ბენიტესი), მატიას სანჩესი, ბოსელი.

ხორხე ფოსატისა და ალეხანდრო საბელას დუელი. აქ ყველაფერი ენდშპილში გაირკვა. 88-ე წუთზე ურუგვაელმა არბიტრმა **რობერტო სილვერამ** „გამოიგონა" არარსებული ჯარიმა **ალესანდროსა** და წაქცეული **მატიას სანჩესის** ორთაბრძოლისას. თუ ვინმე არღვევდა წესებს - ალესანდრო! მაგრამ მსაჯი მასპინძლებს მიემხრო, მისმა თანამემამულე **გონსალო სორონდომ** კი **ლეანდრო დესაბატოს** დაასწრო და **ანდრეზინიოს** ჩაწოდებულს თავი დაჰკრა - 1:0.

**კრუზეირო (ბრა)–სან პაულუ (ბრა) 0:2**

გოლები: 0:1 დაგობერტო (23), 0:2 ერნანესი (65)

კრუზეირო: ფაბიო, ჟონატანი, ტიაგო ელენო, დიეგო რენანი (გუერონი), ჟილი, ჟილბერტუ (როჟერი), მარკინიოშ პარანა, ენრიკე, ფაბრისიო (ფაბიო სანტოსი), კლებერი, ტიაგო რიბეირუ.

სან პაულუ: როჟერიო სენი, სისინიო (ჟანი), ჟუნიორ სეზარი (ვაშინგტონი), ალექს სილვა, ქსანდაო, როდრიგო სოუტუ, რიჩარლისონი, ერნანესი, მარლოში, ფერნანდაო (ჟორჟე ვაგნერი), დაგობერტო.

ბრაზილიურ დუელში სანპაულუდან ჩამოსულმა სტუმრებმა იმარჯვეს. ჯერ **ერნანესისა** და **დაგობერტოს** სამსვლიანი კომბინაცია აღმოჩნდა მოულოდნელი მეკარისა და 6 (!!!) მცველისთვის - 0:1; მერე კი ერნანესმა დაუფასა **ფერნანდაოს** ქუსლით მიცემული გენიალური პასი - 0:2.

**ფლამენგო (ბრა)–უნივერ. დე ჩილი (ჩილ) 2:3**

გოლები: 0:1 ვიქტორინო (5), 0:2 ოლარა (24), 1:2 ადრიანო (39), 1:3 ალვარო ფერნანდესი (47), 2:3 ჟუანი (90)

ფლამენგო: ბრუნო, ლეო მოურა, ჟუანი, რონალდო ანჟელიმი, დავიდი, კლებერსონი (დენის მარკეში), რომულო (მიხაელი), მალდონადო (პეტკოვიჩი), ვილიანსი, ადრიანო, ვაგნერ ლავი.

უნივერსიდად დე ჩილი: მიგელ პინტო, მატიას როდრიგესი, ოლარა, ხოსე როხასი, ვიქტორინო, იტურა, მონტილიო (პუჩი), სეიმური, ალვარო ფერნანდესი, ედუარდო ვარგასი (ნელსონ პინტო), ოლივერა (რივაროლა).

გაძევება: იტურა (45. უნივერსიდად დე ჩილი)

„მარაკანაზე" შეკრებილი 72 442 მაყურებელი დამუნჯებული უყურებდა ჩილიელთა ტრიუმფს! გაუგებარია, საერთოდ როგორ ახერხებს ასეთი უსუსური დაცვის მქონე „ფლამენგო" ქულების დაგროვებას?! სტუმართაგან მარტო არგენტინელ **ვალტერ მონტილიოს** მართებდა 4 გოლის გატანა!

ანგარიში ურუგვაის ნაკრების სამუნდიალო განაცხადში მოხვედრილმა მცველმა **მაურისიო ვიქტორინომ** გახსნა, რასაც მისი 4 ბრაზილიელი კოლეგა მშვიდად ადევნებდა თვალს (0:1). მერე „ფლას" მეკარე-კაპიტან **ბრუნოს** სულელური გამოსვლა დასრულდა **რაფაელ ოლარას** თავურით ცარიელ კარში (0:2). მართალია, ტაიმის ბოლოს **ადრიანომ** თავურითვე შეცვალა ანგარიში, მაგრამ რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილმა ჩილელებმა მეორე ტაიმშიც შეინარჩუნეს უპირატესობა. დაცვის მორიგი შეცდომის წყალობით მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა (მუნდიალზე წასვლის კიდევ ერთმა ურუგვაელმა პრეტენდენტმა) **ალვარო ფერნანდესმა** აღადგინა ორბურთიანი სხვაობა (1:3). ბოლოს უკვე ჩილეს ნაკრების მეკარე **მიგელ პინტომ** „იყოჩაღა" და **ჟუანის** მიერ ლამის მოედნის ცენტრიდან დარტყმული ბურთი გაუშვა - 2:3.

**საპასუხო მატჩები**

**ესტუდიანტესი–ინტერნასიონალი 2:1**

გოლები: 1:0 გონსალესი (19), 2:0 პერესი (19), 2:1 ჯულიანო (88)

**სან პაულუ–კრუზეირო 2:0**

გოლები: 1:0 ერნანესი (24), 2:0 დაგობერტო (54)

გაძევება: კლებერი (2. კრუზეირო)

**ლიბერტადი–ჩივასი 2:0**

გოლები: 1:0 რომანი (20), 2:0 მასიელი (68)

**უნივერ. დე ჩილი–ფლამენგო 1:2**

გოლები: 0:1 ვაგნერ ლავი (45), 1:1 მონტილიო (73), 1:2 ადრიანო (78)

გაძევება: უილიამსი (89. ფლამენგო), ვაგნერ ლავი (90. ფლამენგო)

ნახევარფინალში გავიდნენ **უნივერსიდად დე ჩილი, ინტერნასიონალი, სან პაულუ** და **ჩივასი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალბურთი

საერთაშორისო ტურნირი

# გიხაროდენ! ახალი ათვლა წარმატებით დაიწყო!


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**ისევ წარსულს დავესესხები: წყალბურთელთა ევროპის B ჩემპიონატი შვეიცარიულ ლუგანოში საქართველოს ნაკრებმა სენსაციით დაიწყო - ბებერი კონტინენტისთვის უცნობმა გუნდმა ტურნირის ფავორიტად შერაცხულ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელთა ნაკრებს 10:9 სძლია...**

**მას შემდეგ რვა თვე გავიდა. ბრიტანელებმა თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ქართველთა მოწვევა სიამოვნებით მიილეს. მით უმეტეს, რომ ლუგანოში განცდილი მარცხისთვის რევანშის შანსი ეძლეოდათ. გუშინ „ოლიმპიკის" რეკონსტრუირებულ აუზში დაუპირისპირდნენ სტუმარ-მასპინძლები ერთმანეთს. ინგლისელებს შეჯიბრების მთავარი პრიზის მოსაპოვებლად ფრეც აძლევდათ ხელს, ქართველებს კი საამისოდ მატჩის მოგება სჭირდებოდათ.**

**საქართველო-დ. ბრიტანეთი 10:7**

2:2, 2:3, 3:1, 3:1

საქართველო: **ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქენქაძე, გურამ კოტარია, იოვან პოპოვიჩი, მარკო კორდიჩი, ვლადიმირ მარკოვიჩი, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბალათურია, ზურაბ რურუა (კ), კოტე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, ბექა ქავთარაძე, ალექსანდრე ნამორაძე.** მთავარი მწვრთნელი **ზვიად დავითიანი,** მწვრთნელი **მირიან ასათიანი.**

დიდი ბრიტანეთი: **მეთიუ ჰოლანდი, მაიკ ბორნი, გლენ რობინსონი, სკოტ კარპენტერი, ჯეიკ ვინსენტი, ჯეკ ვოლერი, ალექს პარსონეიჯი, კრის ვანგი, რობ პარკერი, ადამ სკოლფილდი, შონ კინგი, შონ რაიდი, სიარან ჯეიმსი.**

პაექრობის დასაწყისმა დაგვარწმუნა, ბრიტანელები სარევანშო შემართებით გამოვიდნენ სარბიელზე, თუმცა პირველი ბურთი თავად მიიღეს საკუთარ კარში - გოლი გუნდის კაპიტანმა **რურუამ** გაიტანა. **სკოლფილდმა** მალევე აღადგინა წონასწორობა. მერე **პოპოვიჩმა** გამოიჩინა თავი. პირველმა პერიოდმა უძლიერესი მაინც ვერ გამოავლინა, რადგან **კარპენტერმა** მეორე ბურთი მოათავსა **ჭუმბურიძის** კარში. გავუსწრებთ მოვლენებს და ისევ გამოვყოფთ ქართველთა კარის დარაჯის შესანიშნავ თამაშს. მან გუშინაც რამდენჯერმე იხსна თანაგუნდელები გოლისგან და სამართლიანადაც დაიმსახურა ტურნირის საუკეთესო გოლკიპერის პრიზი.

მატჩის მეორე პერიოდში სტუმრებმა დაწინაურება (**პარკერი,** კარპენტერი) შეძლეს, მაგრამ **ნიკოლეიშვილმა** ორჯერ მოახერხა ინგლისელთა დამწუხრება. ამის მიუხედავად, ტაიმი მაინც წავაგეთ - **პარსონეიჯის** გოლის წყალობით სტუმრები ერთბურთიანი უპირატესობით წავიდნენ შესვენებაზე.

მესამე და მეოთხე პერიოდებში მასპინძლებმა აშკარად იმძლავრეს. ჩვენი ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ ტურნირზე მესამედ მოახერხეს პაექრობის თავიანთ სასარგებლოდ შემობრუნება: მესამე პერიოდში 3 გოლი გაიტანეს (**ხვედელიანი,** ნიკოლეიშვილი, **მარკოვიჩი**) სტუმართა ერთის (კარპერტნერი) წილ და საერთო ანგარიშში ერთი ბურთითაც დაწინაურდნენ - 7:6. ბოლო რვაწუთიან მონაკვეთშიც ჩვენების უპირატესობა აშკარა იყო: **ქენქაძის, ბალათურიას** და ხვედელიანის გოლებმა (სტუმართაგან ერთი ბურთი პერსონეიჯმა გაიტანა) წარმატება მოუტანა ჩვენს გუნდს (10:7) არა მარტო ბრიტანელებთან მატჩში, არამედ ოცი წლის შემდეგ აღდგენილ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე.

გუშინვე უკრაინელებისა და ბელარუსების მატჩი ფრედ - 5:5 (2:2, 1:1, 1:2, 1:0) დამთავრდა.

ტურნირის საუკეთესო მეკარედ, როგორც ვთქვით, ზურაბ ჭუმბურიძე აღიარეს, მცველად - გიორგი ხვედელიანი, ფორვარდად - ბელარუსი **კირილ ნოკოლაენკო.** 13 გატანილი გოლით ბომბარდირი გახდა ბრიტანელი რობ პარკერი, რომელიც ტურნირის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს.

გამარჯვებულებსა და პრიზიორებს თასები და მედლები თბილისის მერმა **გიგი უგულავამ,** საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით **ნამგალაურმა** გადასცეს.

**გიგი უგულავა:** *„ჩემი ბავშვობა და ახალგაზრდობა წყალბურთთან არის დაკავშირებული, ამიტომ ძალიან მიყვარს სპორტის ეს ლამაზი სახეობა. სამი დღეა, ჩვენს გუნდს ვქომაგობ და უზომოდ ვარ გახარებული საქართველოს ნაკრების წარმატებით. ახლა ქართულ წყალბურთში დიდი გამოცოცხლებაა. კარგი გუნდი გვყავს, რომელიც ვაჟკაცურად გაუმკლავდა გამოცდილ მეტოქეებს. პერსპექტიული ახალგაზრდები მოდიან. ხელშეწყობას არ მოვაკლებთ. მჯერა, რომ ნაკრებში მოსახვედრად მალე კონკურენცია იქნება და წარმატებებიც იმრავლებს".*

**გია ნაცვლიშვილი:** *„აღფრთოვანებას ვერ ვმალავ. ყველას ვულოცავ ამ გამარჯვებას. თბილისის ტურნირმაც დაადასტურა, რომ არჩევანში არ შევმცდარვართ და სწორი გზით მივდივართ. ეს არის მომავალი წარმატებების დასაწყისი. მერწმუნეთ, მალე კონკურენტუნარიანი გუნდი გვეყოლება და გულშემატკივრებსაც ბევრჯერ გაახარებს. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წყალბურთს დიდ დახმარებას უწევს და ეს თანადგომა მომავალშიც გაგრძელდება".*

**დავით ნამგალაური:** *„სასწაული მოხდაო, ნამდვილად ვერ ვიტყვით. უბრალოდ, ბიჭებმა გულიანად, შემართებით ითამაშეს და ვაჟკაცურ ბრძოლაში სძლიეს მეტოქეებს. გამართლდა ჩვენი და გულშემატკივრების მოლოდინი. მათ ხომ მთელი ორი ათეული წელი ენატრებოდათ დიდი ქართული წყალბურთი, აი, ისეთი, გასულ საუკუნეში ლაგუნა ვერეზე რომ უნახავთ. მადლობა ბიჭებსა და მათს მწვრთნელებს, რომლებმაც სიხარული გვაჩუქეს".*

**სერგო რატიანი,** ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: *„სერიოზული ტურნირი იყო ძლიერი გუნდების მონაწილეობით. ჩვენმა ნაკრებმა ღირსეულად გაიმარჯვა. სასიამოვნოა, რომ ქართველმა წყალბურთელებმა მატჩში გარდატეხის შეტანა და თავის სასარგებლოდ შემოტრიალება ისწავლეს. ეს კი მათს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სიმტკიცეზე მეტყველებს. მიხარია, რომ ამ წარმატებაში ჩვენი უნივერსიტეტის საწყლოსნო კლუბ ლიგამუსის წევრთა წვლილიც ურევია".*

**მარკ კოგანოვი,** საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი: *„ახალგაზრდული და პერსპექტიული ნაკრები გყავთ. პირველად ვნახე თქვენი ბიჭების თამაში, მოხიბლული დავრჩი. გამოცდილებას რომ შეიძენენ, ნაკლებად ინერვიულებენ და საერთაშორისო სარბიელზე წარმატებებიც მოვა. რაც შეეხება თბილისის ტურნირს, გულახდილად გეტყვით - შესანიშნავად იყო ორგანიზებული. არა მგონია, ევროპის ბევრმა ქვეყანამ შეძლოს ამგვარი შეჯიბრების ასეთ დონეზე გამართვა".*

**საბოლოო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 2 | 1 | 0 | 27-22 | 5 |
| 2. ბრიტანეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 28-21 | 4 |
| 3. ბელარუსი | 3 | 0 | 2 | 1 | 18-25 | 2 |
| 4. უკრაინა | 3 | 0 | 1 | 2 | 18-23 | 1 |

ვაჟა **დანელია**

ზუკას თასი

## მეოთხედ ლაგუნა ვერეზე



**ზუკა სახელაშვილი** საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების წევრი იყო, მრავალი საერთაშორისო ტურნირის მონაწილე. 1999 წელს ტუაფსეში საერთაშორისო ტურნირზე იგი დსთ-ს ქვეყნების საუკეთესო მეკარედ აღიარეს. სამწუხაროდ, უდროოდ დაიღუპა. მისმა ახლობლებმა და მეგობრებმა ოთხი წლის წინათ მინიწყალბურთში ზუკას თასი დააწესეს და პირველი ტურნირიც გამართეს. შარშან შეჯიბრებამ საერთაშორისო სტატუსი შეიძინა. რიგით მე-4 ასპარეზობა ლაგუნა ვერეს აუზში 22-23 მაისს ჩატარდება. მთავარი პრიზისთვის საქართველოს, ბელარუსის, ჩერნოგორიის ნაკრებები, ასევე, თბილისის 5 გუნდი იბრძოლებს.

პაექრობები დღეს - 12, ხვალ კი 15 საათზე დაიწყება.

ვაჟა **დანელია**

პროფესიული კრივი



## ხურციძემ ტიტულები შეინარჩუნა

გუშინ, კიევის სპორტულ კომპლექს „ფრისტაილში" **ავთანდილ ხურციძემ** სატიტულო ბრძოლა მოუგო უნგრელ **მიჰალი კოტაის.** ეს 12-რაუნდიანი ორთაბრძოლა ორი სარტყლისთვის იყო - WBA-ს ვერსიით საშუალო წონაში ინტერკონტინენტალური ჩემპიონის ქამრისთვის და ამ ორგანიზაციის ევროპული ფილიალის, EBA-ს კონტინენტის ქამრისთვის. ორივე ეს ტიტული ხურციძის საკუთრება იყო, მან ნოემბერში **კუვანიჩ ტოიგონბაევთან** კრივში მოიპოვა ისინი, ახლა კი უნგრელი მოკრივის ხელყოფისგან დაიცვა.

31 წლის ქართველმა მერვე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნა უნგრელი პრეტენდენტი. „ტორნადოს" 24 მატჩიდან 21 გამარჯვება აქვს მოპოვებული, 2 კი ფრედ დასრულდა, მხოლოდ ერთხელ წააგო ჩვენებურმა.

ნიკოლოზ **ნეფარიძე**

ჭადრაკი

## ლიდერობა შეინარჩუნა

თბილისის მერიის თასის გათამაშებაში გუშინ მოჭადრაკეებმა VII ტურის პარტიები გამართეს. მთავარი პრიზის მოსაპოვებლად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა **მერაბ გაგუნაშვილმა,** რომელმაც შავი ფიგურებით **დავით არუთინიანი** დაამარცხა და 6.5 ქულით ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. მეწინავეთა დანარჩენი პარტიები ასე დასრულდა:

**ლუკა პაიჭაძე-ლევან ფანცულაია** 0.5:0.5, **ნინო ბაციაშვილი-თორნიკე სანიკიძე** 0.5:0.5, **ტიგრან კოტანჯიანი-დავით ჯოჯუა** 1:0, **დავით ბენიძე-დავით მალალაშვილი** 1:0, **ხვიჩა სუპატაშვილი-მიხეილ მჭედლიშვილი** 0:1, **თამაზ გელაშვილ-გიორგი ბალათუროვი** 1:0, **კონსტანტინე შანავა-შოთა აზალაძე** 0:1, **მალხაზ სულაშვილი-დავით ზარქუა** 0.5:0.5, **სოფიკო ხუხაშვილი-გაიოზ ნიგალიძე** 1:0, **დავით ლომსაძე-არსენ ეგიზარიანი** 0:1, **სალომე მელია-ნარგიზ უმუდოვა** 1:0, **ლევონ ბაბუჯიანი-პაატა მაჩაიძე** 1:0, **სოფიკო ნიკოლაძე-ანა მუზიჩუკი** 1:0.

7 ტურის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, **გაგუნაშვილი** ლიდერობს. ნახევარ-ნახევარი ქულით მას **ბენიძე** და **კოტანჯიანი** ჩამორჩებიან. 5.5-5.5 ქულა აქვთ **ფანცულაიას, პაიჭაძეს, ბაციაშვილს, მჭედლიშვილს, აზალაძეს, სანიკიძეს, გელაშვილს, ხუხაშვილს, ეგიზარიანსა** და **მელიას.**

დღეს VIII ტურში ითამაშებენ: **გაგუნაშვილი-კოტანჯიანი, მჭედლიშვილი-ბენიძე, აზალაძე-გელაშვილი, ფანცულაია-მელია, სანიკიძე-პაიჭაძე, ეგიზარიანი-ხუხაშვილი, ჯოჯუა-ბაციაშვილი.**

ვაჟა **დანელია**






ოლიმპიური ფესტივალი 2015

## თბილისური აქციები გრძელდება

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური სპორტული ღონისძიებაა, საყოველთაოდაა ცნობილი. ამიტომ მისი მასპინძლობაც პრესტიჟულია. ჩეხური ქალაქი ბრნო უკვე მესამედ ცდილობს ევროპის ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტის გულის მოგებას და ამ უფლების მოპოვებას, ადრე მას ტრაბზონმა და უტრეხტმა აჯობეს. ვის ერგება 2015 წლის თამაშები? ამ კითხვას პასუხი გაეცემა წლეულს, ნოემბერში, ბელგრადში დანიშნულ ეოკ-ის გენერალურ ასამბლეაზე. კონკურენტი ორია – ბრნო და თბილისი.

მანამდე კი „თბილისი 2015"-ის პროექტი ნელ-ნელა გადამწყვეტ ფაზაში შედის. გუშინ I გიმნაზიის მიმდებარე ტერიტორიაზე სეოკ-ის, ქალაქის მუნიციპალიტეტისა და ტანვარჯიშის ფედერაციის ორგანიზებით კიდევ ერთი მხარდამჭერი აქცია ჩატარდა ახალგაზრდა და ვეტერანი სპორტსმენების, ოლიმპიელების მონაწილეობით.

სპეციალურ სტენდზე ხელმოწერები დააფიქსირეს სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა **დავით გობეჯიშვილმა,** ტანვარჯიშის ფედერაციის პრეზიდენტმა **კობა სვინტრაძემ,** ვეტერანმა ტანმოვარჯიშემ **როზა ბერიკაშვილმა,** წარსულში გამოჩენილმა ბატუტზე მხტომელმა **რუსუდან ხოფერიამ** და მისმა უნიჭიერესმა მემკვიდრემ **ლუბა გოლოვინამ,** „ლონდონი 2012"-ის სავარაუდო კანდიდატებმა სპორტულ ტანვარჯიშში **გიორგი ნოზაძემ** და ბატუტზე მხტომელმა **თენგიზ კოშკაძემ.**

მორიგი მხარდასაჭერი აქცია დღეს მთაწმინდის პარკში ჩოგბურთში გაიმართება.

სეოკ-ის პრესსამსახური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ლეგიონერები

# მარკოიშვილი-სანიკიძე 1:0

## დღეს მეორე მატჩია

ქართული კალათბურთის ისტორიაში მორიგი ფურცელი გადაიშალა: იტალიის ჩემპიონატის მეოთხედფინალში ერთმანეთის წინააღმდეგ ორმა ქართველმა ითამაშა. თანაც, **ვიქტორ სანიკიძე** და **მანუჩარ მარკოიშვილი** სასტარტო ხუთეულში იყვნენ, რაც მიგვითითებს, რომ კლუბებში მათ მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრიათ.

ტიტულოვანი „ვირტუსის" ხუთეულში მოხვედრა ცოტას არ ნიშნავს. მართალია, მანუჩარის „კანტუ" ჯილდოებით სანიკიძის კლუბს ვერ შეედრება, მაგრამ პირველ მეოთხედფინალში „ვირტუსს" აშკარად აჯობა - 75:64.

კანტუში გამართული შეხვედრის დაწყებამდე ადგილობრივი გუნდის დამრიგებელ **ანდრეა ტრინჩიერის** რეგულარული ეტაპის საუკეთესო მწვრთნელის ჯილდო გადასცეს. მან მეოთხედფინალშიც დაამტკიცა, რომ ძლიერი სპეციალისტია - შეგირდები ისე მოამზადა, რომ მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველ პერიოდში გადაწყვიტა. თავად განსაჯეთ: მეშვიდე წუთისთვის „კანტუ" 17:2-ს იგებდა.

მეორე პერიოდის დასაწყისში ბოლონიელებმა სხვაობის ერთნიშნა რიცხვამდე შემცირება სცადეს, მაგრამ მარკოიშვილმა არ დაანება: სამქულიანით ტაბლოზე 36:23 დააფიქსირა. ამას „კანტუს" მცირე ჩავარდნა მოჰყვა და სანიკიძის საჯარიმოს შემდეგ სხვაობამ 7 ქულა შეადგინა (33:40), თუმცა ამჯერადაც მანუმ იყოჩაღა და ორქულიანით პირველი ტაიმის საბოლოო ანგარიში 42:33 გახადა.

„კანტუმ" მეორე ნახევარიც სტაბილურად ჩაატარა, ფარქვეშიდან ჩაგდებულ ბურთებს სამქულიანებს უნაცვლებდა და საბოლოოდ 11 ქულის სხვაობით გაიმარჯვა.

მარკოიშვილის მონაგარი ასეთი იყო: 30 წუთი, 9 ქულა (7-დან 1 ორქულიანი, 6-დან 2 სამიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 6 მოხსნა, 1 პასი.

გამოცემა „ბასკეტნეტმა" მანუს 6 ქულა დაუწერა და ასე შეაფასა: „კარგად ჩატარებული მეორე პერიოდის შემდეგ შეტევისას ჩრდილში მოექცა, თუმცა დაცვაში კარგად იმუშავა."

ახლა სანიკიძის სტატისტიკას გავეცნოთ: 28 წუთი, 3 ქულა (3-დან 1 ორქულიანი, 2-დან 0 სამიანი, 2-დან 1 საჯარიმო), 7 მოხსნა, 2 პასი. მან 5 მოხსნა „კანტუს" ფარზე მიითვალა. ვიქტორს „ბასკეტნეტისგან" 5 ბალი ერგო.




საინტერესოა მწვრთნელების მატჩის შემდგომი კომენტარებიც. ანდრეა ტრინჩიერი, ცხადია, კმაყოფილი იყო:

- პირველი, რაც თავში მომდის, ბენ ორტნერის ჯანმრთელობის მდგომარეობაა. მან დღეს ტრავმა მიიღო და მომდევნო მატჩში ვერ დაგვეხმარება. ეს ტაქტიკურ გადაადგილებებს გამოიწვევს. რაც შეეხება მატჩს, თავიდან კარგად დავიწყეთ, შემდეგ ცოტა დავილალეთ, რაც გასაკვირი სულაც არ არის - ეს ხომ პლეი ოფია. თუმცა სტაბილურობა ბოლომდე შევინარჩუნეთ და სერიაში 1:0 დავწინაურდით.

„ვირტუსის" მწვრთნელმა **ლარდო ლინომ** ხაზი გაუსვა შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებს:

- აარონ ჯექსონი და კრისტიან კანგური ახლახან დავიმატეთ. ისინი გუნდთან ჯერ არ შეთამაშებულან. ამასთან, ტრავმების გამო სათანადოდ ვერ ვარჯიშობდნენ დუშან ვუკჩევიჩი და დევიდ მოსი. დღეს მეტოქემ გამარჯვება დაიმსახურა, მაგრამ შევეცდებით, მდგომარეობა მომდევნო მატჩში გამოვასწოროთ.

მეორე შეხვედრა ისევ კანტუში დღეს, 22 მაისს შედგება. სერია სამ მოგებამდეა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. ქალები
V ტური. თბილისი.
18-20 მაისი

# თსუ ჩემპიონია

თსუ-ს ქალთა გუნდმა ბოლო წლების ტრადიცია არ დაარღვია და წლეულსაც საქართველოს ჩემპიონი გახდა.

**ელდარ კაპანაძის** შეგირდებმა 15-დან მხოლოდ 2 მატჩი წააგეს. მათ მცირე ხნით მეორე ადგილზე ჩამოინაცვლეს, თუმცა ჩემპიონატის დასკვნით ეტაპს სათანადო ფორმაში შეხვდნენ, ტრავმამოშუშებული კალათბურთელებიც დაუბრუნდნენ და პირველობა დამსახურებულად მოიგეს.

ქალთა ჩემპიონატში პლეი ოფები არ გამართულა, გამარჯვება იმას დარჩებოდა, ვინც ხუთი წრის შემდეგ სატურნირო ცხრილს პირველ ადგილზე დაასრულებდა. თსუ-ს ბოლო წრის წინ ჩემპიონობამდე ერთი მოგებაღა აშორებდა და ქუთაისის ძლევით პირველობა ოფიციალურად გაინაღდა. თუმცა არც მომდევნო მატჩებში დაუთმია რამე, „ზესტაფონსაც" სძლია და „გორსაც".

ტრადიციისამებრ ქვეყნის ჩემპიონი და მეორეადგილოსანი თასის ფინალში თამაშობენ, ასე რომ თასისთვის ერთმანეთის წინააღმდეგ თსუ და „ზესტაფონი" წარდგებიან. მატჩი 25 მაისს 11:30 საათზე სპორტის სასახლეში გაიმართება.

| 18 მაისი | |
|---|---|
| თსუ-ქუთაისი | 92:83 |
| გორი-ზესტაფონი | 54:73 |
| **19 მაისი** | |
| თსუ-გორი | 64:36 |
| ქუთაისი-ზესტაფონი | 46:49 |
| **20 მაისი** | |
| თსუ-ზესტაფონი | 76:54 |
| ქუთაისი-გორი | 74:43 |

| | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თსუ | 15 | 13 | 2 | +278 | 28 |
| 2. ზესტაფონი | 15 | 10 | 5 | +101 | 25 |
| 3. ქუთაისი | 15 | 7 | 8 | +144 | 22 |
| 4. გორი | 15 | 0 | 15 | -523 | 15 |

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი

# აქაც რუსთავი

**ფინალი**

**რუსთავი-ჰიუნდაი 85:83**

23:21, 19:24, 23:18, 20:20

რუსთავი: მაჭავარიანი (8ქ, 5პ), მებურიშვილი (6ქ, 3პ), არაბული (3ქ), გ. ბერუაშვილი (4ქ, 5პ), ჩაჩანიძე (8ქ), დვალიშვილი (35ქ, 22მ, 3პ), ხმელიძე (17ქ, 8მ), გუგავა (4ქ)

ჰიუნდაი: მაღრაძე, გურაბანიძე (6ქ), სანაძე (27ქ, 6მ, 4ჩ), ჩერქეზიშვილი (4ქ, 3პ), მაჩალაძე (1ქ, 7მ), ღუდუშაური (4ქ), ბერუაშვილი (18ქ, 15მ, 8ჩ, 2დ), ჯიშიაშვილი, ფერიაშვილი (9ქ, 6მ)

**ჰიუნდაი-რუსთავი 69:75**

15:16, 20:23, 16:18, 18:18

ჰიუნდაი: მაღრაძე, გურაბანიძე (6ქ), სანაძე (27ქ, 6მ, 4ჩ), ჩერქეზიშვილი (4ქ, 3პ), მაჩალაძე (1ქ, 7მ), ღუდუშაური (4ქ), ბერუაშვილი (18ქ, 15მ, 8ჩ, 2დ), ჯიშიაშვილი, ფერიაშვილი (9ქ, 6მ)

რუსთავი: მაჭავარიანი (9ქ, 5პ), მებურიშვილი (1ქ), გ. ბერუაშვილი (3ქ, 4პ), ჩაჩანიძე (2ქ), დვალიშვილი (39ქ, 15მ, 4ჩ, 4დ), ხმელიძე (17ქ, 11მ, 3პ), გუგავა (4ქ)

**III ადგილისთვის**

**სამედიცინო-ნიკე 87:79**

27:14, 22:19, 20:27, 18:19

სამედიცინო: ლეჟავა (7ქ, 3ჩ), ჩქარეული (3ქ), ლომოური (11ქ, 3პ, 3ჩ, 2დ), ბოქოლიშვილი (33ქ), თენიეშვილი (9ქ, 13მ, 2დ), ჯავახიშვილი (1ქ, 7მ), მუმლაძე (19ქ, 9მ, 4ჩ, 3დ), ჭიჭველიშვილი (4ქ)

ნიკე: კუპატაძე (2ქ), ტეტელაშვილი (33ქ, 11მ, 6პ), ჭოხონელიძე (22ქ, 9მ), ხომასურიძე (5მ), ბეშქენაძე (4ქ), ძიძიშვილი (10ქ, 16მ, 3პ), ლაშქარაძე (8ქ)

თხა თხაზე ნაკლებიო... ამ პრინციპს უერთგულეს რუსთაველმა ახალგაზრდებმა, „ენერჯის" მაგალითს მიბაძეს და საქართველოს ჩემპიონები გახდნენ.

20-წლამდელმა რუსთაველებმა ფინალურ სერიაში „ჰიუნდაის" 2:0 აჯობეს. გაცილებით საინტერესო გამოდგა ქიმიკოსების დარბაზში გამართული პირველი შეხვედრა, რომელშიც გამარჯვებული უკანასკნელ წამებზე გამოვლინდა. ტაბლოზე 81:81 ეწერა, როცა ორმხრივი შეცდომების შემდეგ ბურთი თბილისელებმა მოიპოვეს და სირენამდე 30 წამით ადრე **დუდა სანაძემ** ახლო მანძილიდან ჰიუნდაელები 83:81 დააწინაურა. რუსთაველებმა მალევე წამოიწყეს იერიში და მათმა ლიდერმა **აკაკი დვალიშვილმა** სირენამდე 15 წამით ადრე ანგარიში გაათანაბრა.

„ჰიუნდაის" საპასუხო შეტევისას **ირაკლი ჩერქეზიშვილი** ფარქვეშ შეიჭრა, თუმცა მატჩის დასრულებამდე 4 წამით ადრე მის ნასროლს **ბაჩო გუგავა** გადაელობა, ბურთი რუსთაველმა **ლაშა მებურიშვილმა** მოიხელთა, შეტევაში გაქცეულ **ლევან ხმელიძეს** გრძელი პასი დააწია და ამ უკანასკნელმა საფინალო სირენის გაჟღერებასთან ერთად გამარჯვების ბურთი ჩააგდო.

ამ შეხვედრაში შეუჩერებელი იყო აკაკი დვალიშვილი, რომელმაც 35 ქულა და 22 მოხსნა მოაგროვა. თბილისელთა მხრიდან თითქმის სამმაგი დუბლი მიითვალა **ვასილ ბერუაშვილმა** - 18 ქულა, 15 მოხსნა, 8 ჩაჭრა. დუდა სანაძემ კი 27 ქულას მოუყარა თავი.

ახალგაზრდების ფინალშიც თითქმის ისეთივე სიტუაცია შეიქმნა, როგორიც „ატლანტა"-„ორლანდოს" ნახევარფინალებისას. „ჰოქსის" მწვრთნელს ერთადერთი საფიქრალი ჰქონდა - როგორ გაეჩერებინა ორლანდოელი ცენტრი **დუაით ჰოვარდი**.

დვალიშვილს ჰოვარდს არ ვადარებთ (ჯერ **ტუჯანს** უნდა აჯობოს), თუმცა სიტუაცია მართლაც ნაცნობი იყო - ჰიუნდაიელებმა ვერაფერი მოუხერხეს დვალიშვილს, რომელმაც მეორე მატჩში 39 ქულას 15 მოხსნა და 4-4 ჩაჭრა-დაფარება მიამატა, თანაგუნდელებს კი ჩემპიონობა გაუფორმა.

20-წლამდელთა ჩემპიონატში დაწესებული იყო „ნიკეს" ტრაგიკულად დაღუპული ნევრის, რაჟიკო დარბაიძის სახელობის პრიზი, რომელიც ტურნირის საუკეთესო კალათბურთელს აკაკი დვალიშვილს გადაეცა.

**ვაჟა სიმონიშვილი**




# ელისის საჩუქარი ბურჯანაძეს

## ტაირონმა რეალს აჯობა, ბექამ ანდალუსიას

ესპანეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალში სენსაცია გამოაცხო **ტაირონ ელისის** „კახასოლმა" - მადრიდში ადგილობრივ „რეალს" 66:60 მოუგო. ელისმა 33 წუთში 9 ქულა (5-დან 3 სამქულიანი) და 2 პასი მიითვალა...

„კახასოლს" 16-წლამდელთა გუნდიც კარგი ჰყავს - ახლახან ანდალუზიის ჩემპიონატი მოიგო. სევილიელთა კადეტებში **ბექა ბურჯანაძე** თამაშობს, რომელმაც „კახასოლის" გაჩემპიონებაში ლომის წილი დაიდო.

- ანდალუსიის ჩემპიონატში 8 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც ორ ჯგუფად გაყვეს. ჯგუფში იოლად გავიმარჯვეთ - მატჩები 60-70 ქულის სხვაობით მოვიგეთ.

**- შეხვედრების მიხედვით შენი მონაგარი გაგვაცანი.**

- პირველი მატჩი სათანადოდ ვერ ვითამაშე, 10 ქულა და 13 მოხსნა მქონდა. მეორეში - 20 ქულა და 9 მოხსნა, ხოლო მესამეში - 24 ქულა და 13 მოხსნა. ყველაზე მეტი ქულა მეოთხედფინალში მოვაგროვე - 35 (10 მოხსნა). ის მატჩი „ალგესირას" მოვუგეთ.

**- ნახევარფინალში?**

- შეჯიბრება მალაგაში ჩატარდა და „უნიკახასთან" მძიმე ბრძოლა გადაგვხდა. მასპინძლებს საბოლოოდ 11 ქულის სხვაობით ვაჯობეთ. 22-22 ქულა-მოხსნა ჩავიწერე. ფინალში „ხაენი" გველოდა, რომელსაც მანამდე სუსტი მეტოქეები შეხვდა და გადამწყვეტ მატჩში ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაგვიწია. ფინალში 24 ქულა და 11 მოხსნა მოვაგროვე.

**- რომელ პოზიციაზე თამაშობდი?**

- მსუბუქი ფორვარდის ამპლუაში. პერიმეტრიდანაც ვუტევდი და ფარქვეშიდანაც. ესპანელები სისწრაფეზე დამატებით მავარჯიშებენ.

**- ანდალუსიის ჩემპიონატის მოგების შემდეგ რა ეტაპზე გადახვედით?**

- ჩვენ, „ხაენი" და „უნიკახა" ინტერსექტორის ჩემპიონატში ვითამაშებთ, სადაც ესპანეთის საუკეთესო გუნდები მოიყრიან თავს. იქ წარმატების შემთხვევაში ესპანეთის ჩემპიონატში გამოვალთ. ინტერსექტორისთვის აქტიურად ვემზადებით და იმედი გვაქვს, რომ ფინალურ სტადიაზე მოვხვდებით. შეჯიბრება ერთ კვირაში დაიწყება.

**- „კახასოლის" 18-წლამდელთა გუნდშიც ვარჯიშობ?**

- არა. იუნიორები 18-წლამდელთა ინტერსექტორისთვის ემზადებოდნენ და ბოლო დროს მხოლოდ კადეტებში მიწევდა ვარჯიში. სექტემბრიდან მხოლოდ ჭაბუკებში ვითამაშებ, რადგან ასაკის მიხედვით 16-წლამდელებში ასპარეზობის უფლება აღარ მექნება.

**- ტაირონ ელისთან ხშირი ურთიერთობა გაქვს?**

- ინგლისურის გაკვეთილებზე კლუბის ოფისში დავდივარ. ელისს იქ ვხვდები ხოლმე. ერთ დღესაც მივედი და ჩემს მაგიდაზე ახალთახალი სპორტული ეკიპირება დამხვდა. ვიკითხე, ეს ვისიამეთქი. მითხრეს, შენია, ელისმა დაგიდოო. ოთახიდან გამოვედი და ელისი დამხვდა, მადლობა გადავუხადე... შესანიშნავი პიროვნებაა. მანამდე სავახშმოდ დამპატიჟა და ქართულ ამბებზე მელაპარაკა. გავახსენე, სპორტის სასახლეში მოედნის ცენტრში რომ იდგა და ხალხი მის სახელს ყვიროდა. გული სწყდება, წლეულს რომ ვერ დაგვეხმარება. ნაკრების თემაზე თავჩაღუნული ლაპარაკობდა... მაგრამ ოჯახზე წინ გუნდს ვერ დააყენებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**




ჩოგბურთი

როლან გაროსი

# როლან გაროსი უჩვენოდ

ორშაბათს პარიზში „დიდი სლემის" წლის მეორე ტურნირი, საფრანგეთის ღია პირველობა იწყება. სამწუხაროდ, ტურნირის ძირითადი ბადე ისევ ქართველის გარეშე ჩაივლის, არადა, ისტორიაში პირველად ერთბაშად სამ ქართველს ჰქონდა იქ მოხვედრის შანსი, მაგრამ სამმა საკვალიფიკაციო ეტაპმა თითო მათგანი შეიწირა: ჯერ **მაკა ჩახნაშვილი** (193) დაემშვიდობა ბატალიებს, შემდეგ **ანა ტატიშვილი** (154) და ბოლოს **ოქსანა კალაშნიკოვა** (163).

გუშინდელ ფინალურ წრეში ოქსანა კალაშნიკოვა და რუსი **ეკატერინა ივანოვა** (151) „როლან გაროსის" მე-10 კორტზე გავიდნენ სათამაშოდ. მათ რეიტინგში უშველებელი სხვაობა არ არის (ქართველი 12 ადგილით ჩამორჩება რუსს), ივანოვა 22 წლისაა და 134-ე ჩოგანზე მაღლა რეიტინგში არ ყოფილა, მოკლედ, ვარსკვლავურ თანამემამულეებში არაფრით გამორჩეულია, მაგრამ დაიწყო თამაში და ჩვენს იმედებს წყალი გადაესხა, პირველი სეტი ივანოვამ პირწმინდად მოიგო 24 წუთში! ივანოვა აწვდიდა ცუდად, მან 4 ორმაგი შეცდომაც დაუშვა, მაგრამ უფრო ცუდად თავის მოწოდებას კალაშნიკოვა იყენებდა. შედეგად, მეტოქემ სამჯერ მოუგო გეიმი მისსავე მოწოდებაზე - 6:1.

მეორე სეტი პირველს არ ჰგავდა, თანაბარი თამაში გაჩაღდა, რომელიც ტაიბრეიკში გადავიდა. აი, აქ კი ისევ გამოავლინა სისუსტე ჩვენებურმა და ტაი-ბრეიკი მშრალზე (!) წააგო - 0:7. მეორე სეტი 41 წუთს გაგრძელდა, ივანოვამ ოთხი ეისი ჩაუგდო ქართველს - 1:6, 6:7 (0).

მარცხის მიუხედავად, საფრანგეთის ღია პირველობის დებიუტანტს ეს ტურნირი პოზიტივში უნდა ჩავუთვალოთ. ოქსანამ პირველად შეძლო „დიდი სლემის" ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში ფინალამდე მისვლა. თან ის სულაც არ არის ძლიერი თიხნარის კორტებზე, ახალგაზრდულ ასპარეზზეც კი, სადაც მსოფლიოს მე-11 ჩოგნობამდე ალზევდა, მხოლოდ ერთხელ ითამაშა „როლან გაროსზე" და მეორე წრეში წააგო. ოქსანამ 8 ათასი ევრო მოიპოვა, ყველაზე მეტი ჰონორარი კარიერის განმავლობაში, თან 19 წლის ჩოგბურთელმა 50 სარეიტინგო ქულა მიითვალა (რომელიც მას საფრანგეთის ღია პირველობის მერე დაერიცხება). შარშან ამ დროს კალაშნიკოვამ ხარკოვის ტურნირის (25 ათასი დოლარი) ფინალში გააღწია, რისთვისაც 34 ქულა მიიღო. ეს ქულები ჩვენებურს ორშაბათის რეიტინგში ჩამოაკლდება და დროებით 10 ადგილით დაიხევს, თუმცა მალე კალაშნიკოვა დაახლოებით 156-ე - 158-ე ჩოგანი გახდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი



ლოკომოტივის შეტევა. ბურთით ზვიად მაისურაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# დაუმარცხებელი ლოკომოტივიღა დარჩა

21.05 თბილისი

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 15 |
| აია | 9 |

ლოკომოტივი (15-9) კობერიძე, შიოშვილი, ქავთარაძე, ბერძენიშვილი, ჭამუტაშვილი, კვინიხიძე, ღვინჯილია, (1-8) ნაცარაშვილი, გენებაშვილი, ელოშვილი, ჩიტიძე, ოზგებაშვილი, ნიშნიანიძე (ბერიშვილი 65), ახვლედიანი, მაისურაძე.

*4ს,ა: კვინიხიძე*

აია (15-9) ხამაშურიძე, გოგლიჩიძე, აშვეთია (გუდავა 70), სინაურიძე (გოშაძე 66), ჩხიკვაძე, შარვაშიძე, როხვაძე (გოგია 68), (1-8) ნარიაშვილი, სხულუხია (გურეშიძე 58), ლომიძე, ძაგნიძე, იობიძე (ცირეკიძე 59), რევიშვილი, შალამბერიძე, თხელიძე.

*3ს: სინაურიძე, შარვაშიძე*

სიმბინი: ხამაშურიძე

მსაჯი: ნ. რობიტაშვილი

საქართველოს ჩემპიონატში დღემდე ორი დაუმარცხებელი გუნდის მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული, უშეღავათო გამოდგა. ვაკეში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე მასპინძელს, თბილისის „ლოკომოტივს“ ქუთაისის „აიასთან“ მატჩში დიდი ჯაფა დაადგა, თუმცა მეტოქის დამარცხება მაინც შეძლო - 15:9

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ქუთაისელთა თამაშში ისევ იჩინა თავი შარშანდელმა სენმა. დამრტყმელმა **გაგა სინაურიძემ** სამი საჯარიმო ვერ გაიტანა, მის ლოკომოტიველ ვიზავის **ბობა კვინიხიძეს** კი ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს.

თამაში თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. გამარჯვება ორივე გუნდზე ალალი იქნებოდა, თუმცა რკინიგზელებმა სტუმრებზე ნაკლები შეცდომა დაუშვეს და დამსახურებულადაც მოიგეს.

ქუთათურთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საინტერესო, გაშლილი რაგბის თამაშს ცდილობდნენ, მეტოქეს საკმაო თავსატეხს უჩენდნენ, თუმცა „ლოკომოტივმა“ დაცვაში, ფაქტობრივად, უშეცდომოდ ითამაშა. ნათლად გამოჩნდა, რომ „აიას“ ჯერ კიდევ ბევრი აქვს სამუშაო დერეფანში და ცენტრიდან დაკიდებულ ბურთებზე თამაშის დასახვეწად.

„ლოკომოტივს“ წლეულს სათამაშო დისციპლინა გაცილებით უკეთესი აქვს, თუმცა არბიტრმა თბილისელები კამათისთვის ორჯერ მაინც დააჯარიმა. რკინიგზელები გაცილებით ორგანიზებულად, უფრო სოლიდურად გამოიყურებიან. რაც მთავარია, ჰარმონიულადაა შერწყმული შერკინებისა და უკანა ხაზის თამაში.

ერთადერთი, რაც ორივე გუნდის ნაკლია, ესაა ხშირი შეცდომები ხელდახელ და რაკში თამაშისას. მორაგბეებს ხშირად უვარდებოდათ ბურთი ხელიდან და არც წინ პასების რაოდენობა იყო მცირე. უფრო მეტად ამ კომპონენტში ქუთაისელები სცოდავდნენ, რაც ბუნებრივიცაა, რადგან მეტოქეზე ხშირად ისინი ცდილობდნენ ხელდახელ თამაშს.

ანგარიში „ლოკომოტივმა“ პირველივე შეტევისას გახსნა. ცენტრიდან დაკიდებულ ბურთზე „აიამ“ ცუდად ითამაშა და ის რკინიგზელთა ნადავლი გახდა. თამაში რაკში გადავიდა, თუმცა მალევე სტუმართა სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა. „ლოკომოტივმა“ მოწინაალმდეგის შერკინება დაძრა და ბურთი აართვა. ღია თამაშში კი ქუთაისელები დაჯარიმდნენ და რკინიგზელთა მგეზავმა **ბობა კვინიხიძემ** შანსი ხელიდან არ გაუშვა - 3:0.

მომდევნო 25 წუთში ბობამ კიდევ ერთი საჯარიმო და ერთიც დიდოსტატურად დარტყმული არეკნი გაიტანა, რაც ლოკომოტიველთა საკმაოდ ხანგრძლივ, მრავალფაზიან შეტევას მოჰყვა. შუალედში გაგა სინაურიძემ ორი საჯარიმოდან მხოლოდ ერთი გაიტანა - 3:9.

ანგარიშში დაწინაურება, უფრო ზუსტად კი, ლელოს გატანა „აიას“ 27-წუთზე შეეძლო. რკინიგზელები საკუთარ ოცდაორმეტრიან ზონაში დაჯარიმდნენ. ქუთაისელებმა ჯარიმა აუტში გადაიტანეს. დერეფანი სუფთად ვერ მოიგეს, მაგრამ შეტევის გაგრძელება მაინც მოახერხეს. სტუმრები ლელოს მჭიდროდ მიუახლოვდნენ. მათი მორკინალების შეჩერება „ლოკომოტივმა“ წესის დარღვევით შეძლო. ჯარიმა „აიამ“ ისევ აუტში გადაიტანა. ამჯერად დერეფანში ბურთი უკეთესად აიგდეს, მაგრამ მერე წინ გაუვარდათ და შეტევაც ჩაიშალა.

ტაიმის ბოლო ათ წუთში გუნდებმა თითო საჯარიმო გაცვალეს - 12:6 „ლოკომოტივის“ სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ვითარება დიდად არ შეცვლილა. სტუმართა მორიგი შეცდომა კვინიხიძემ ისევ გამოიყენა და 49-ე წუთზე საჯარიმოთი თავისიანები ცხრა ქულით დააწინაურა - 15:6. სამ წუთში სინაურიძემ კარის პირდაპირ, ოცდაორი მეტრიდან დაარტყა საჯარიმო და ვერ გაიტანა.

ცხრაქულიანი სხვაობა 75-ე წუთამდე შენარჩუნდა. ქუთაისელთა მორიგი შეტევა მასპინძლებმა ისევ წესის დარღვევით შეაჩერეს და ამჯერად საჯარიმო ახლო მანძილიდან მგეზავმა **ლევან შარვაშიძემ** გაიტანა - 9:15.

„აიას“ მატჩის გადარჩენის შანსი გაუჩნდა. თამაშის მოსაგებად გარდასახული ლელო კმაროდა, მაგრამ „ლოკომოტივი“ არაფრის დათმობას აპირებდა. რკინიგზელებმა მატჩის ბოლო ხუთი წუთი მეტოქის მოედნის ნახევარზე გაატარეს და ყველანაირად ცდილობდნენ, ქუთაისელებისთვის შეტევის წამოწყების საშუალება არ მიეცათ.

ერთ-ერთ ეპიზოდში კვინიხიძემ არეკნით სცადა ცხრაქულიანი სხვაობის აღდგენა, მაგრამ არ გამოუვიდა. აიელების მცდელობა კი, მასპინძელთა ნახევარზე ეთამაშათ და ბოლო წუთებზე შტურმი მოეწყოთ, უშედეგო გამოდგა.

მიმდინარე გათამაშებაში დაუმარცხებელი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივიღა“ დარჩა. ტურის სხვა მატჩებიდან გამოვყოფდით თბილისის „აკადემიას“ გამარჯვებას სტუმრად ვიცე-ჩემპიონ „ბათუმი XV“-სთან - 20:14. დაგეგმილი ორი ქულა ჩაიწერეს აქტივში „ლელომ“ და „ვისოლი/ყოჩებმა“.

**თემურ ბენდიაშვილი,** „ლოკომოტივის“ *მწვრთნელი:*

*„ვიცოდით, რომ ძნელი თამაში გვექნებოდა. მართალია, რაც დაგეგმილი გვქონდა, ყველაფერი ვერ გავაკეთეთ, მაგრამ მიზანს მაინც მივაღწიეთ. „აია“ კარგი გუნდია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს თამაში მისი მოსაგები იყო. ჩვენ ნაკლები შეცდომა დავუშვით და მოვიგეთ“*

**ბესიკ ხამაშურიძე,** „აიას“ *მწვრთნელი:*

„ამ წაგებისგან ტრაგედიას არ ვქმნით. ცუდად არ გვითამაშია და მოგებაც შეგვეძლო. წინ მეორე წრეა და „ლოკომოტივს“ ქუთაისში მოუთმენლად ველით“.

**VII ტური**

| | |
|---|---|
| ვისოლო/ყოჩები-არმაზი | 29:12 |
| ბათუმი XV-აკადემია | 14:20 |
| ხარები-ლელო | 6:33 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 5 | 5 | 0 | 0 | +70 | 10 |
| 2. აია | 6 | 5 | 0 | 1 | +51 | 10 |
| 3. ყოჩები | 5 | 4 | 0 | 1 | +46 | 8 |
| 4. ლელო | 5 | 3 | 0 | 2 | +80 | 6 |
| 5. აკადემია | 5 | 2 | 0 | 3 | -4 | 4 |
| 6. არმაზი | 6 | 2 | 0 | 4 | -45 | 4 |
| 7. ბათუმი XV | 6 | 1 | 0 | 5 | -84 | 2 |
| 8. ხარები | 6 | 0 | 0 | 6 | -117 | 0 |

**III ტური (გამოტოვებული)**

**25 მაისი**

ლოკომოტივი-ლელო

აკადემია-აია

ხარები-ვისოლი\ყოჩები

**29 მაისი**

არმაზი-ბათუმი XV

ზე 14

# მარადიული კითხვა: ბულზი თუ კრუსეიდერზი?

ზე 14-ის გათამაშებაში ბოლო, დასკვნითი ეტაპი დაიწყო. დღეს სამხრეთი აფრიკის ორ ქალაქში ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება. იოჰანესბურგთან ახლოს ჩემპიონი პრეტორიის „ბლუ ბულზი“ ზე 14-ის შვიდგზის გამარჯვებულს, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზს“ უმასპინძლებს. კეიპთაუნში კი „სთორმერზი“ სიდნეის „ვორათაზს“ დაუპირისპირდება.

„ბლუ ბულზისა“ და „კრუსეიდერზის“ მატჩი, გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებულ, საყოველთაო ინტერესს იწვევს. პრეტორიელებმა, იმის გარდა, რომ ჩემპიონები არიან, წლევანდელი რეგულარული გათამაშება მოიგეს და ნახევარფინალში ფავორიტის სტატუსით არიან.

მატჩი, წესით, პრეტორიაში, „ბლუ ბულზის“ მშობლიურ სტადიონზე „ლოფტუს ვერსფილდზე“ უნდა გამართულიყო, მაგრამ მალე ფეხბურთის მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და სტადიონიც მრგვალ ბურთს დაუთმეს. ასე რომ, თამაში იოჰანესბურგთან ახლოს „ორლანდო სთედიუმზე“ გაიმართება, რომელიც 40 ათას მაყურებელს იტევს. გამარჯვების შემთხვევაში „ბლუ ბულზი“ ფინალსაც აქვე ითამაშებს.

„ბლუ ბულზი“ და „კრუსეიდერზი“ ბოლოს ერთმანეთს ორი კვირის წინ შეხვდნენ „ლოფტუს ვერსფილდზე“. ულამაზესი მატჩი, რომელშიც შვიდი ლელო გავიდა, ჩემპიონმა გაჭირვებით მოიგო - 40:35. მაშინ ორივე გუნდმა უმაღლესი დონის თამაში აჩვენა და ახლა ყველა იმის მოლოდინშია, შეძლებენ თუ არა ისინი იმავეს გამეორებას.

პრეტორიელები მატჩს დასვენებულები ხვდებიან. მათ ბოლო ტურში, სტუმრად „სთორმერზთან“ მეორე შემადგენლობით ითამაშეს, რითაც მასპინძლებს გამარჯვების და მეორე ადგილზე გასვლის შანსი მისცეს. ასეთი გადაწყვეტილების გამო „ბლუ ბულზის“ მწვრთნელი **ფრენს ლუდეკი** კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ, შესაძლოა, ეს მისი მხრიდან სწორი ტაქტიკური ნაბიჯიც გამოდგეს.

ბოლო ტურის მატჩისგან განსხვავებით, პრეტორიელები, ცხადია, უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებენ. ერთადერთი დანაკლისი მეორეხაზელი **ბაკის ბოთაა,** რომელსაც ახლახან ოთხკვირიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. ტრავმა მოიშუშა და შუამარბის პოზიციაზე **ვინანდ ულფიეს** შეუნყვილდება **იაკო პრეტორიუსი.**

პრობლემები შემადგენლობაში არც კრუსეიდერზელებს აქვთ. მიკროტრავმები მგეზავ **დენი კარტერს** და შერკინების ბურჯ **ბენ ფრენკს** აწუხებთ, თუმცა, სავარაუდოდ, თამაშს მაინც შეძლებენ.

ბოლო ოთხ სეზონში ეს გუნდები ნახევარფინალში სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორჯერ გამარჯვება „ბლუ ბულზს“ დარჩა.

ბლუ ბულზი (15-9): **კირშნერი, ფან დერ ვესტჰოიზენი, პრეტორიუსი, ულფიე, ჰაუგარდი, სტეინი, დუ პრი. (1-8) სტინკამპი, გ.ბოთა, კრუხრეი, როსუ, მეთფილდი, სტეგმანი, პოთგიტერი, სპისი**

კრუსეიდერზი (15-9): **სლედი, მიტლანდი, ფრუენი, ბოუდენი, გუილდფორდი, კარტერი, ელისი. (1-8) ო.ფრენკსი, ტიი, ბ.ფრენკსი, თორნი, ს.ვაითლოქი, გ. ვაითლოქი, მაკქოუ, რიდი.**

მეორე ფინალისტი, როგორც უკვე ვთქვით, კეიპთაუნში, „სთორმერზისა“ და სიდნეის „ვორათაზის“ დაპირისპირებაში გაირკვევა. გამარჯვების შემთხვევაში მასპინძლები ზე 14-ის ფინალში პირველად ითამაშებენ. ცხადია, ეს ფაქტორი კეიპთაუნელებისთვის დიდი ფსიქოლოგიური ტვირთი იქნება, თუმცა მათ რიგებში საკმაოდ არიან ისეთი მორაგბეები, ვისაც ფინალურ მატჩებში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ პლეი ოფის შეხვედრებში ვორათაზელებს სამხრეთ აფრიკაში არასდროს მოუგიათ. სიდნეელებს 20-საათიანმა დამღლელმა მგზავრობამ მოუწიათ მაშინ, როცა „სტორმერზს“ მაისში ქვეყანა ერთხელაც არ დაუტოვებია.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქომაგობასაც. კეიპთაუნის „ნიულენდზე“ შეკრებილი 50 ათასი გულშემატკივარი “სთორმერზის“ მე-16 მოთამაშე იქნება.

რეგულარულ გათამაშებაში „სთორმერზმა“ სიდნეელებს მე-2 ტურში, 20 თებერვალს უმასპინძლა და 27:6 მოუგო. მაშინ კეიპთაუნელებიდან თავი გამოიჩინა გარემარბმა **ბრაიან ჰაბანამ,** რომელმაც მეტოქეს ორი ლელო გაუტანა. მან ტრავმა ორი კვირის წინ მოიშუშა და ახალა ისევ მწყობრშია.

ნახევარფინალს გუნდები ოპტიმალური შემადგენლობებით და დიდი იმედებით ხვდებიან.

სთორმერზი (15-9): **პიტერსენი, ეფლონი, ფური, დე იონგი, ჰაბანა, გრანტი, დუვენაგე. (1-8) ბლაავი, ლიბენბერხი, ჰარისი, ფონდსი, ბეკერი, ბურხერი, ლოუ, ვერმულენი**

ვორათაზი (15-9): **ბეილი, ტერნერი, ჰორნი, კარტერი, მიტჩელი, ბარნსი, ბარჯესი. (1-8) ბაქსტერი, პოლოტანაუ, პელმერი, მამი, დაგლასი, მაკკუტჩონი, ვოგი, მოვენი**

გვერდი მოამზადა

**ბესიკ ჯანგავაძემ**



ფური დუ პრი

www.sport.gov.ge

# ქართული სპორტი

ძიუდო — რიო დე ჟანეიროს ტურნირი

## დღეს არა, ხვალ...

JUDO GRAND SLAM

დღეს რიო დე ჟანეიროში ძიუდოისტთა „დიდი მუზარადის" მორიგი ტურნირი იწყება, რომელშიც სამი ქართველიც იჭიდავებს - **დავით ქევხიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი** (90) და **ლომერ ჟორჟოლიანი** (100). როგორც ვხედავთ, ქევხიშვილი საბოლოოდ გადაბარგდა 81-ში, რასაც დიდი ხანია, აპირებდა. ბოლო დროს ის კანადაში ცხოვრობს და ბრაზილიაშიც იქიდან ჩავიდა. რიოში მიმავალ გუნდს გზაში, კონკრეტულად, გერმანიაში დაუხვდა ლიპარტელიანი, რომელიც იქ ბუნდესლიგაში ჭიდაობს, თბილისიდან კი მხოლოდ ჟორჟოლიანი და მწვრთნელი **გურამ მოდებაძე** წავიდნენ. აღსანიშნავია, რომ სამივე ფალავანი მოდებაძის პირადი შეგირდია.

დღეს რიოში პირველი სამი წონითი კატეგორიის ჯერია, ჩვენი ყურადღება კი ხვალინდელი დღისკენ იქნება მიპყრობილი, როცა ქართული სამეული იჭიდავებს.

ძიუდოს სამყაროში ამ რანგის ტურნირი ერთ-ერთი პრესტიჟულია როგორც ქულების დარიცხვის თვალსაზრისით, ისე - საპრიზო ფონდით, რაც 150 000 დოლარს შეადგენს. თუ გახსოვთ, ასეთივე საპრიზო ფონდი იყო ტუნისის „დიდ პრიზზეც", რომელიც დაბალი რანგისაა 100 000-იანი ფონდით, მაგრამ მაშინ ორგანიზატორებმა 50 000 წაამატეს და „მუზარადს" გაუტოლეს. ახლანდელი საპრიზო ფონდიდან ჩემპიონი 5 000 დოლარს, ვიცე-ჩემპიონი 3 000, ბრინჯაოს პრიზიორები კი 1500-1500 დოლარს მიიღებენ. ქულების განაწილების მხრივ ასეთი მდგომარეობაა - პირველი ადგილი 300 ქულას იძლევა, მომდევნოები, შესაბამისად, 180, 120, 60 და ასე შემდეგ.

გერმანული ბუნდესლიგა ვახსენეთ და, ლიპარტელიანი იქ **დავით ასუმბანთან** ერთად „ესლინგენში" გამოდის. საბედნიეროდ, კლუბიც და ჩვენებურებიც წარმატებით გამოდიან - უკვე ორი წრეა გამართული და ორ-ორივე შეხვედრა მოიგეს. საინტერესოა, რომ ლიპარტელიანმა პირველი შეხვედრა 100 კილოში ჩაატარა და მასპინძელი **დინო პფაიფერი** დაამარცხა. ახლა ჩვენებურთა კლუბი ევროპაში უძლიერეს „აბენსბერგთან" ერთად ლიდერობს თავის ქვეჯგუფს. აქვე ლამის იგივე სახელწოდების კიდევ ერთი გუნდი გამოდის და ჩვენთვის ისიც ძალზე საინტერესოა - „ეტლინგენი", სადაც **ლევან ნიკლაური** ჭიდაობს. თავისი წილი ორივე შეხვედრა ნიკლაურმაც მოიგო, მაგრამ კლუბმა ერთი წააგო და ისიც „ესლინგენთან". ბუნდესლიგაში მომდევნო შეხვედრები 5 ივნისს გაიმართება. „ესლინგენი" მშობლიურ არენაზე „ვისბადენს" მიიღებს, „ეტლინგენს" კი ურთულესი შეხვედრა ელის „აბენსბერგთან". იმ დღეებშივე ჩვენი ნაკრები მადრიდში მსოფლიოს თასზე უნდა გამოვიდეს და როგორ იქნება ლიდერთა საქმე, ვერ გეტყვით. სავარაუდოდ, ნაკრების ინტერესები საკლუბოზე მაღლა დადგება.

თავისუფალი ჭიდაობა — პოზნანის ტურნირი

## თითო მედალი და საგზური პოზნანში



ირაკლი მოსიძე

EUROPEAN WRESTLING QUALIFIER FOR THE YOUTH OLYMPIC GAMES
POZNAŃ 21-23.05.2010

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ერთი წარმომადგენლით იჭიდავებს აგვისტოში, სინგაპურში გასამართ ახალგაზრდობის პირველ მსოფლიოს ოლიმპიურ თამაშებში. ეს გუშინ პოლონურ პოზნანში გაირკვა, სადაც ევროპული ზონის შესარჩევი შეჯიბრება გაიმართა, საგზური კი 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **ირაკლი მოსიძემ** მოიპოვა - მეორე ადგილზე გავიდა. მთლიანობაში მან ტურნირი ძლიერად ჩაატარა და წინასწარ შეხვედრებში ერთმანეთის მიყოლებით დამაჯერებლად დაამარცხა გერმანელი **ალექსანდრ სემისოროვი** და მოლდოველი **იონ პლამადეალა**, ნახევარფინალში კი ძალზე იოლად და რაც მთავარია, ოსტატურად მოუგო აზერბაიჯანელ **ნურლან ჰაჯიევს**. ფინალში ჩვენებურმა რუს **აზამატბი პშნალოვთან** წააგო, მაგრამ რაც ყველაზე საშიშია, საკმაოდ მძიმედ დაშავდა - შეხვედრის დასაწყისშივე. ტრავმის ხარისხზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, თუმცა რამდენიმე წუთი კისერს ვერ ამოძრავებდა და ლეიბზე ჩამხობილს ფეხზე წამოდგომა უჭირდა - ეს მხოლოდ ექიმების დახმარებით მოახერხა, იმედია, სინგაპურშიც იჭიდავებს. ღმერთმა ნუ ქნას, იქ წასვლა ვერ შეძლოს, მაგრამ თუ ეს მოხდა, ჯერ ვერც იმას გეტყვით, შეგვიცვლიან თუ არა მონაწილეს.

ჩვენმა ნაკრებმა პოლონეთში კიდევ ერთი მედალი მოიპოვა - ბრინჯაო, რომელიც **გენო პეტრიაშვილმა** (100) დაიმსახურა. მასპინძელ **სტანისლავ პაზეკთან** ძირითად დროში მოგების შემდეგ ის რუს **რომან კოჩიევთან** დამარცხდა, მოგვიანებით კი წარმატებით გადაერთო სანუგეშოში - ჯერ ლატვიელ **იანის კოგუტისს** აჯობა, რის შემდეგაც ბრინჯაოსთვის ბრძოლაში იოლად დაჯაბნა გერმანელი **დომინიკ სტერაიხი**.

ჩვენი ინფორმაციით (რაც ყველა სათანადო ინსტანციაში დაგვიდასტურეს), სინგაპურის საგზურს მხოლოდ ფინალისტები ილებდნენ. თუ ეს ინფორმაცია მართალია, მაშინ პეტრიაშვილი სინგაპურში ვერ იჭიდავებს, მაგრამ დაველოდოთ ჩვენი ნაკრების პოლონეთიდან დაბრუნებას - ნამდვილ ამბავს მათგან შევიტყობთ, ისე კი ქვეყანაზე ორი კვოტაა დაშვებული.

გენოს მოგვარე **იაკობ პეტრიაშვილმა** (76) პირველივე შეხვედრა წააგო საბერძნეთის სახელით მოასპარეზე **ლევან რეხვიაშვილთან**. სანუგეშოში გადავიდა **ლაშა ბიტარაშვილიც** (54), რომელმაც მანამდე ძირითად ბადეში ორი შეხვედრა მოიგო - იტალიელ **ალესანდრო კანგიანოსთან** და ბულგარელ **აჰმედ ალისთან**, მერე კი მომავალ ფინალისტთან, აზერბაიჯანელ **კანან გულიევთან** წააგო. სამწუხაროდ, ის დამამშვიდებელშიც მალევე დამარცხდა - რუს **ჰუსეინ შახბაევთან** და მეშვიდეზე დარჩა. პოლონეთში **ბექა ბუჯიაშვილსაც** (46) უნდა ეჭიდავა, მაგრამ არ წასულა. ყოველ შემთხვევაში, არ აწონილა.

ამდენად, ჩვენი ნაკრები პოლონეთში საკმაოდ სუსტად გამოვიდა. ეტყობა, მართალია ამ გუნდის თავკაც **თამაზ ბენდიაშვილის** პესიმიზმი, როცა ამბობს, თაობათა ცვლის შემდეგ გუნდში ძალზე სუსტი თაობა მოვიდა, ასეთი ჩავარდნა ბოლო წლებში არ გვქონიაო.

ტყვიის სროლა



მსოფლიოს თასი

## ჯერ მხოლოდ სუპერფინალზე ფიქრობს

წუხელ ჩვენი ტყვიის მსროლელები - ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** და **ლევან ქადაგიძე** ამერიკულ ფორტ ბენინგში გაფრინდნენ, სადაც მაისის ბოლო კვირა მსოფლიოს თასის რიგით მესამე ეტაპს დაეთმობა. სალუქვაძე, ტრადიციულად, ტყვიის სროლის ჩვენთვის საინტერესო ორივე დისციპლინაში გამოვა - პნევმატურშიც და სპორტულშიც, ქადაგიძე კი მხოლოდ - პნევმატურში. სალუქვაძე სტარტზე ლამის ჩასვლისთანავე დადგება - ამერიკაში 23 მაისს ჩაფრინდებიან, ტურნირის გახსნის დღეს, ნინო კი 24-ში პნევმატური იარაღით იასპარეზებს. ქადაგიძე 25-ში მოსინჯავს ძალებს, სალუქვაძე კი სპორტული პისტოლეტით შეჯიბრების დახურვის წინა დღეს, 29 მაისს ისვრის.

ამ სახეობის ქომაგს კარგად ემახსოვრება, რომ ამ დროს ანუ ოლიმპიადამდე საკმაო ხნით ადრე სალუქვაძე და, ზოგადად, ტყვიის მსროლელები უკვე იბრძოდნენ ხოლმე ოლიმპიური ლიცენზიებისთვის, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ამჯერად ამ საზრუნავისგან თავისუფალნი არიან. სოკ-მა საგზურების განაწილების სისტემა შეცვალა და ყველა სახეობა ერთ ჩარჩოში მოაქცია - სალიცენზიო ტურნირები ოლიმპიადამდე ორწელიწად ნახევრით ადრე არ უნდა გაიმართოს. კაცმა რომ თქვას, ამაზე ადრე ტყვიის სროლის გარდა სხვა სახეობებში თითქმის არც იმართებოდა, მაგრამ რამდენიმეგან ცოტათი მაინც უსწრებდა ახლად დადგენილ ვადას. სოკ-ი არ ერევა საერთაშორისო ფედერაციების შიდა საქმეებში, ანუ არ კარნახობს მათ, როგორ და რა პრინციპით, სად და რომელ ტურნირებზე გაანაწილონ საგზურები, მაგრამ ამ საერთო წესის დაცვა ყველას მოსთხოვა. ვინაიდან წლეულს სროლაში ამ დადგენილ ვადას მხოლოდ მსოფლიოს პირველობა მიესადაგა, აქაურებისთვის სწორედ ის იქნება პირველი სალიცენზიო შეჯიბრება, მსოფლიოს თასები კი მანამდე იმართება და ამიტომ იქ საგზურები არ გაიცემა. აი, გაისად და 2012 წელს უკვე ყველა მათგანი კვლავაც სალიცენზიო იქნება, საგზურებს კი მხოლოდ ცალკეული ეტაპების გამარჯვებულები მიიღებენ. შეგახსენებთ, რომ სეზონში მსოფლიოს თასის ოთხი ეტაპი ტარდება, მაგრამ თუ ჩემპიონს უკვე ექნება ლიცენზია, მაშინ ის მომდევნოს გადაეცემა. იმასაც თუ ექნება, კიდევ იმის მომდევნოს და ასე შემდეგ. ამდენად, საგაისო თასებზე საგზურის მისაღებად ჩემპიონობა იქნებ არც იყოს აუცილებელი პირობა. 2011-2012 წლებში ლიცენზიები ევროპის ჩემპიონატებზეც გაიცემა.

მსოფლიოს ჩემპიონატი სპორტის ყველა სახეობაში ისედაც უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებაა, მაგრამ სროლაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ოლიმპიური ფორმატით ტარდება - ოთხ წელიწადში ერთხელ. თან იგი ყოველთვის შედიოდა სალიცენზიო ტურნირთა ნუსხაში, რაც მის ავტორიტეტს კიდევ უფრო ზრდიდა. პლანეტის წლევანდელი პირველობა 29 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით მიუნხენში ტარდება და იქ პნევმატურში ექვსი, სპორტულში კი ხუთი საგზური გაიცემა.

ამდენად, სალუქვაძეს ამერიკაში მთავარ საზრუნავად მსოფლიოს თასის სუპერფინალის საგზურის მოპოვება რჩება, რასაც ოქროს ან ვერცხლის მედალი მოუტანს. თუმცა ადგილმონაცვლეობის ის წესი, ზემოთ რომ ლიცენზიებთან დაკავშირებით ვთქვით, აქაც ვრცელდება, ანუ, თუ, ვთქვათ, სალუქვაძე მესამეზე გავიდა, მაგრამ მის წინ მდგომთაგან ერთს მაინც ექნება სუპერფინალის საგზური, მაშინ იგი ჩვენებურს გადაეცემა. შეგახსენებთ იმასაც, რომ სუპერფინალში მოსახვედრად ორივე დისციპლინაში ცალ-ცალკე უნდა იბრძოლო და, ადრინდელისგან განსხვავებით, ერთში მოპოვებული კვოტა მეორეში გამოსვლის უფლებას აღარ იძლევა.

ჭიდაობა — ოქროს დიდი პრიზი

## მიშინი, ტაგავი, სორიანი... და სხვები თბილისში

ახლოვდება კარტოზია-ბალავაძის ტურნირად წოდებული შეჯიბრება, რომელიც წლეულს "ოქროს დიდი პრიზის" სტატუსითაა საერთაშორისო კალენდარში შეტანილი და ნელ-ნელა იკვეთება მონაწილეთა შემადგენლობა. სადღეისოდ ჩამოსვლაზე მყარი გარანტია 12 ქვეყნისგანაა მიღებული - რუსეთი, ირანი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, იაპონია, უზბეკეთი, ყაზახეთი, ინდოეთი, უკრაინა, კანადა, მონაკო. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მონაწილეთა რაოდენობა არ გაიზრდება. ეს ამ რანგის ბოლო - მეორე შესარჩევი შეჯიბრებაა ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად, იქ გასვლა კი მაღალი საპრიზო ფონდის გამო ბევრის სურვილია. ჩამოსვლა და ამ ტურნირში მონაწილეობა ნიგერიასაც სურდა, მაგრამ რაკილა იქაურები მსგავს შეჯიბრებებს ძირითადად ევროპაში მოსახვედრად და აქ დასარჩენად იყენებენ, მათ უარი უთხრეს.

უკვე ცნობილი გახდა რამდენიმე გუნდის წინასწარი შემადგენლობა. თავს ვერ დავდებთ, რომ ის არ შეიცვლება, მაგრამ მათი ნაწილიც რომ ჩამოვიდეს, მაინც ძალიან მაღალი დონის შეჯიბრება გამოვა. მით უფრო, მასპინძლები უძლიერესი გუნდებით გავლენ საჭიდაოდ. ერთადერთი, ვისი ჭიდაობაც გამორიცხულია, ბერძნულ-რომაულში ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველიაა** (74), სხვები კი, წინასწარი მონაცემებით, უნდა გამოვიდნენ.

ახლა კი უცხოელებზე და ჯერ რუსებზე, რომლებიც, როგორც ამბობენ, თავისუფალ ჭიდაობაშიც გამოვლენ, მაგრამ ახლა ლაპარაკი ძირითადად იქაურთა ბერძნულ-რომაულ გუნდზეა. მათ თბილისში მთავარი მწვრთნელი **გოგი კოლუაშვილი** ჩამოიყვანს, მის მიერ წარმოდგენილ სიაში კი მთავარი ფიგურა მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპის ხუთგზის ჩემპიონი **ალექსეი მიშინია** (84), რომელსაც, ვინძლო, **ბადრი ხასაიასთან** ისევ მოუწიოს ფიცხელმა ბრძოლამ. შემადგენლობაშია ევროპის პრიზიორი **ევგენი პოპოვიც** (74), რუსეთის მასშტაბით კი ანგარიშგასაწევი ფალავნები არიან **ალექსეი ივანოვი** (74), **ალექსეი ანუშინი** (120) და სხვები. ქუთაისელ კოლუაშვილს ყველაზე ტიტულოვანი თანამემამულე და თანაქალაქელი, ევროპის ზედიზედ ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **ამბაკო ვაჩაძე** (66) არ მოჰყავს, თუმცა ჩვენებურთა გარეშე მაინც არ ჩამოდის - **თეიმურაზ ეჯიბაძე** (66) და **ზურაბ ლებანიძე** (120) იახლა.

კიდევ უფრო სოლიდურია ირანელთა შემადგენლობა, რომლებიც ორივე გუნდით ჩამოდიან და ლიდერები ორივეში ბლომად არიან. უპირველესად აღვნიშნავთ ბერძნულ-რომაული ნაკრების უპირობო ლიდერს, მართლაც რომ ფანტასტიკური შედეგების მქონე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ **ჰამიდ სორიანს**, რომელიც ამჯერად ერთი წონითი კატეგორიით მაღლა - 60-ში იჭიდავებს. 25 წლის ფალავანმა ზედიზედ მოიგო მსოფლიოს ოთხი პირველობა - 2005 წლიდან (მაშინ 20 წლისა იყო) 2009-ის ჩათვლით. ამ პერიოდში ორჯერ აზიის პირველობაზეც იმარჯვა, პირველხარისხოვან ტურნირთაგან კი ხელი მხოლოდ პეკინის ოლიმპიადაზე მოეცარა - მეხუთეზე გავიდა. ოღონდ ეს ყველაფერი 55 კილოგრამ წონით კატეგორიაში ხდებოდა, ახლა კი, საბოლოოდ გადმოინაცვლა 60-ში თუ დროებით, ვერაფერს გეტყვით. ამავე გუნდშია **ჰაბიბოლაჰ აკლაგიც** - მსოფლიოს შარშანდელი მესამე პრიზიორი, რომელმაც მაშინ დანიაში ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ხასაია დაამარცხა. **მოჰამად ბანას** გუნდშია შარშანდელი მსოფლიოს პირველობის კიდევ ერთი ბრინჯაოს მედალოსანი და ისიც ზედა წონაში - **ამირ ალიაკბარიმ** ის მედალი 96 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოიპოვა, თბილისის სპორტის სასახლეში კი მძიმე წონაში იჭიდავებს.

ძლიერი შემადგენლობით ჩამოდიან ირანელი „თავისუფლებიც" - **გოლამრეზა მოჰამადის** განკარგულებაშია მსოფლიოს შარშანდელი პირველობის სამივე მედალოსანი - ჩემპიონი **მეჰდი კერმან ტაგავი** (66), ვიცე-ჩემპიონი **ფარდინ მასოუმი ვალადი** (120) და ბრინჯაოს პრიზიორი **სადეგ გოუდარზი** (74). გუნდშია მსოფლიოს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **საიედ მურად მოჰამადიც** (60). სიაშია **ჰასან რაჰიმიც**, თუმცა ამ ფალავანთან დაკავშირებით ცოტა გაუგებრობაში აღმოვჩნდით. ირანელებს ამ გვარ-სახელის მოჭიდავე 55 კილოგრამ წონით კატეგორიაშიც ჰყავთ და ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონიცაა, მერე მსოფლიოს პირველობაზე უფროსებშიც აჭიდავეს, მაგრამ ახლანდელ სიაში რატომღაც 84-ის ფალავნადაა შეყვანილი. შესაძლოა, ეს იქაურთა უბრალო კორექტურული შეცდომაა და 55 უნდა იყოს მითითებული, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, 84-შიც ჰყავდეთ ამ გვარსახელის ფალავანი.

ვინც ვიცით, მათგან ქართველებს ყველაზე კარგად ტაგავი გვახსოვს - შარშან ორჯერ დაგვიმარცხა **მალხაზ მუზიაშვილი**. ბოლოს - სწორედ მსოფლიოს პირველობაზე. მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენებურს ვალადიმაც მოუგო - **ლექსო მოდებაძეს**.

სხვა გუნდებიდან, რომლებმაც წინასწარი განაცხადები გამოაგზავნეს, ყურადღების შეჩერება არც ღირს, რადგან მათში ასე მჟღერი სახელები არაა, თუმცა ვიმეორებთ - შესაძლოა, ყველა არც ჩამოთვლილთაგან ჩამოვიდეს. უახლოეს დღეებში სხვათა შემადგენლობებიც გაცხადდება და მათ შესახებაც ოპერატიულად გაცნობებთ.

შეგახსენებთ, რომ თვითონ ტურნირი 5-7 ივნისს თბილისის გივი კარტოზიას სახელობის სპორტის სასახლეში გაიმართება. 5 ივნისს საჭიდაოდ „თავისუფალთაგან" 60 და 120 კილოგრამი წონითი კატეგორიის წარმომადგენლები გავლენ, ბერძენ-რომაელთაგან – 55-ის 66-ის და 96-ის ფალავნები. იმავე დღეს 16 საათზე გახსნის ცერემონიალია დანიშნული, ფინალები კი 18 საათიდან დაიწყება. მეორე დღეს ბერძენ-რომაელთაგან 74-ის და 120-ის წარმომადგენლები იჭიდავებენ, „თავისუფალთაგან" - 55-ის, 66-ის და 96-ის. ფინალები კვლავაც 18 საათზე დაიწყება. ტურნირის ყველაზე ხანმოკლე დღე 7 ივნისი იქნება, როცა ხალიჩაზე ორივე სტილის მოჭიდავეთა ორ-ორი წონითი კატეგორიების ფალავნები გავლენ - „თავისუფალთაგან" 74 და 84, ბერძენ-რომაელთაგან - 60 და 84, ფინალები კი 15 საათიდან დაიწყება. 16-18 ივლისს ბაქოში გასამართი „ოქროს დიდი პრიზის" ფინალური ტურნირის საგზურს რვა საუკეთესოს შორის მოხვედრილები მიიღებენ, მაგრამ აქაც ერთი შეზღუდვაა - ფინალში ყოველ ქვეყანაზე თითო წონაში სამ-სამი კვოტაა დაშვებული. ამდენად, თუ ფინალის საგზურს რომელიმე წონაში ქვეყნიდან სამზე მეტი ფალავანი მიიღებს, ბაქოში მათგან სამი საუკეთესო იჭიდავებს. ტრადიციულია ჩვენი ტურნირის საპრიზო ფონდიც - ჩემპიონი 1500 დოლარს მიიღებს, ვიცე-ჩემპიონი - 800-ს, ბრინჯაოს პრიზიორები - 500-500-ს მიითვლიან.

გვერდი მოამზადა **ირაკლი თავაძემ**

სუმო ნაცუ ბაშო. 9-23 მაისი. ტოკიო (იაპონია)



ცურიდაში ტოჩინოშინის შესრულებით

# ქართველის მესამე ცურიდაში ტიტულისთვის

## ჰაკუჰო ისევ იმპერატორის რჩეულია

ტოკიოში ზაფხულის ბაშოს მე-13 დღემ გამოავლინა იმპერატორის თასის გამარჯვებული - დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო**, რომელმაც ზედიზედ 30-ე ორთაბრძოლა მოიგო. კომუსუბის ტიტულისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა 22 წლის მე-2 მაეგაშირა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)**, ძურიოს დივიზიონს სათავეში ჩაუდგა **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)**, ხოლო **კოკაი (ლევან ცაგურია)** კვლავ იმის ცდაშია, ბაშოზე მოგება-წაგებათა პირადი ანტირეკორდი არ გაიმეოროს...

სუმოს დიდი დარტყმა მიაყენა იოკოძუნა **ასაშორიუს** სკანდალმა. ღამის ბარში დებოშისთვის იგი იძულებული გახდა, სპორტიდან წასულიყო. ამის შემდეგ ელიტის ელიტაში ბალანსი დაირღვა, მეორე დიდ მონღოლს, **ჰაკუჰოს** წინააღმდეგობას ვერავინ უწევს. ნაცუ ბაშოს დასრულებამდე კიდევ ორი დღე დარჩა და უკვე ცნობილია იმპერატორის თასის მფლობელის ვინაობა (რა თქმა უნდა, ჰაკუჰო), ეს კი სუმოს პოპულარობას კარგს არაფერს უქადის. 13 დღე ჰაკუჰოს ვერც ერთმა კონკურენტმა ვერ შეძლო სტაბილურად ასპარეზობა, რათა პირველობის შანსი ბოლომდე შეენარჩუნებინა. 25 წლის მონღოლმა კი გუშინ 34 წლის ოძეკი **კოტომიცუკი** დაამარცხა და 13-0 ბალანსით კონკურენტთათვის მიუღწეველი გახდა. სხვათა შორის, კოტომიცუკის უბრძოლველად არაფერი დაუთმია, მან მეტოქის მავაში მოიხელთა, ჰაკუჰოს ჩაჭიდებაც „განყვიტა", მაგრამ მიწოლით ვერაფერი დააკლო დიდ ჩემპიონს, მონღოლმა კი მშვიდად, კოტენაგეს ილეთით დააგდო მეტოქე. მე-10 მაეგაშირა **არანს**, რომელიც მეორე ადგილზეა, 10-3 ბალანსი აქვს. ოსი რიკიში ველარ დაეწევა იმპერატორის თასის (უკვე) 14-გზის გამარჯვებულს, სხვებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

ქართველ გულშემატკივართა მთელი ყურადღება კი ტოჩინოშინის ასპარეზობაზეა მიმართული - ელიტის ყველაზე ახალგაზრდა წევრს კონკრეტული ამოცანა აქვს გადასაჭრელი: დააგროვოს დადებითი ბალანსი და მიიპოვოს სუმოს იერარქიაში მე-4, კომუსუბის ტიტული. პირადად თქვენს მონამორჩილს ძალზე მოსწონს, როცა ტოჩინოშინი ცურიდაშით გადის ფონს. ამ ილეთის შესრულებას ენით აუწერელი ძალ-ღონე სჭირდება - ხუმრობა საქმე სულაც არ არის საშუალოდ ცენტნერნახევრიანი მეტოქის ჰაერში ატაცება და 4,5-მეტრიან რკალს მიღმა „გადადგმა". მიუხედავად ამ სიძნელისა (სუმოს ელიტის ნახევარზე მეტს მაკუუჩიში ეს ილეთი არასოდეს შეუსრულებია), ტოჩინოშინმა წლევანდელ ნაცუ ბაშოზე მე-3 ორთაბრძოლა მოიგო ცურიდაშით. თანაც სამივეჯერ მონღოლი დაამარცხა ამ ილეთით, ჯერ ოძეკი **ჰარუმაფუჯი**, შემდეგ მე-5 მაეგაშირა **ჰაკუბა**, ახლა კი მე-7 მაეგაშირა **კიოკუტენჰო**. კიოკუტენჰო მონღოლური სუმოს პიონერია, ის 35 წლისაა და ადრე სეკივაკეს ტიტულს ფლობდა. ქართველმა კი უბრალოდ... გადადგა რკალს იქით 192 სანტიმეტრი სიმაღლისა და 150 კილოგრამი წონის ტექნიკური მონღოლი.

ლევანს 7-6 ბალანსი აქვს და ბაშოს ბოლოსწინა დღეს აღმოსავლეთის მე-6 მაეგაშირა **ტოკიტენკუს (6-7)** ხვდება. ტოკიტენკუც მონღოლია, 30 წლისაა და სამი წლის წინათ კომუსუბის ტიტულს ფლობდა. ურთიერთშეხვედრებში 2:2-ია. თუ ქართველი მოიგებს, თავად დადებით ბალანსს გაიფორმებს, მეტოქეს კი უარყოფითი ბალანსით გაისტუმრებს დოჰიოდან. დღეს გაგვიჭირდება იმის თქმა, ეყოფა თუ არა მხოლოდ 8 მოგება ტოჩინოშინს კომუსუბის ტიტულისთვის, ვფიქრობთ, ეს ტურნირის ბოლო დღეს უფრო გამოჩნდება.

კოკაი 170 სანტიმეტრი სიმაღლის **ტოიონოშიმას** (3-9) ხვდებოდა. პირველმა მაეგაშირამ ორივე ხელით მოიგდო კოკაის მავაში და მიწოლით გავიდა ფონს. კოკაი ძალიან ცუდ ფორმაშია. ბოლო ორი ორთაბრძოლა კი მისთვის იმის შანსია, როგორმე ანტირეკორდის (3-12) გამეორება აირიდოს. „შავი ზღვა" ბოლოსწინა დღეს მე-3 მაეგაშირა **ვაკანოსატოს** (4-9) შეხვდება. ყოფილ სეკივაკესთან კოკაის ნულოვანი ბალანსი აქვს - 8:8.

გადავინაცვლოთ ძურიოს დივიზიონში, რომელსაც, იმედია, კარგა ხანი აღარ გავაშუქებთ (სანამ სხვა ქართველი არ გამოჩნდება პროფესიულ სუმოში) - ძურიოს პირველმა ნომერმა გაგამარუმ წინა დღეს გაინაღდა დადებითი ბალანსი და მაკუუჩიში აღზევება, ახლა კი ძურიოს ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვის, თანაც - წარმატებით. გუშინ მან ბეჭებზე გააკრა 133-კილოგრამიანი **მაცუტანი**, რომელიც აქამდე ლიდერობდა დივიზიონს. გაგამარუს 9-4 ბალანსი აქვს და კიდევ სამ რიკიშისთან ერთად (მათ შორის მაცუტანიცაა) ლიდერობს. შეგახსენებთ, რომ იანვრის ბაშოზე გაგამარუმ უკვე მოიგო ეს ტიტული და ახლა მეორედ გაჩემპიონებისთვის იბრძვის. დღეს ქართველი ძურიოს მე-5 ნომერ **მასაცუკასას** (7-6) შეხვდება, რომელსაც აქამდე ორჯერ ეჭიდავა (1:1).

### მაკუუჩი

**XIII დღე: ჰაკუჰო**-კოტომიცუკი (კოტენაგე), **კაიო**-კაკურიუ (ჰიკიოტოში), **ბარუტო**-კისენოსატო (ჰატაკიკომი), **კოტოოშუ**-ჰარუმაფუჯი (იორიკირი), **ამინიშიკი**-მიაბიამა (ცუკიოტოში), **კოტოშოგიკუ**-ასასეკირიუ (უვატენაგე), **ტოჩიოძანი**-კიტატაიკი (ოშიდაში), **ტოიონოშიმა**-კოკაი (იორიკირი), **ტოჩინოშინი**-კიოკუტენჰო (ცურიდაში), **ვაკანოსატო**-კაკიძოე (იორიკირი), **არანი**-ჰაკუბა (იორიკირი), **ტაკეკაძე**-ტოკიტენკუ (ცუკიოტოში), **ტამავაში**-ტოჩინონადა (ოშიდაში), **ტოიოჰიბიკი**-კიმურაიამა (ოშიდაში), **ტამანოშიმა**-ტოსაიუტაკა (იორიკირი), **გოეიდო**-შიმოტორი (შიტატენაგე), **ოკინოუმი**-იოშიკაძე (იორიკირი), **ჰოკუტორიკი**-მოკონამი (ოშიდაში), **ტოკუსეგავა**-ტაკამისაკარი (იორიკირი), **ვაკაკოიუ**-კორიუ (ოკურიდაში).

სატურნირო მდგომარეობა: **13-0: ჰაკუჰო** (იოკოძუნა). **10-3: არანი** (მაეგაშირა 10). **9-4: ჰარუმაფუჯი** (ოძეკი), **კოტოოშუ** (ოძეკი), **ბარუტო** (ოძეკი), **ჰაკუბა** (მ 5). **8-5: კოტოშოგიკუ** (კომუსუბი), **ასასეკირიუ** (მ 4), **ტოკუსეგავა** (მ 11), **იოშიკაძე** (მ 13), **კატამისაკარი** (მ 13), **ვაკაკოიუ** (მ 15), **შიმოტორი** (მ 15)... **7-6: ტოჩინოშინი** (მ 2)... **3-10: კოკაი** (მ 6).

### ძურიო

**მნიშვნელოვანი ბრძოლები: საგაცუკასა**-კიოკუნანკაი (ვატაშიკომი), **გაგამარუ**-მაცუტანი (ოშიტაოში), **შოტენრო**-ჩიოჰაკუჰო (ოშიდაში).

სატურნირო მდგომარეობა: **9-4: გაგამარუ** (ძურიო 1), **ბუშუიამა** (ძ 5), **კიოსეუმი** (ძ 10), **მაცუტანი** (ძ 12). **8-5: ტამაასუკა** (ძ 4), **დაიდო** (ძ 8), **საკაიზავა** (ძ 8).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული

# ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს

ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის თავკაცები არ შემცდარან, როცა გადაწყვიტეს საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის (1992-1993 წლებში დაბადებულები) ლეჩხუმის ცენტრში, ცაგერში მოეწყოთ. ჯერ ერთი, ასეთი ტურნირი, როგორც აკაკი ლეჩხუმზე იტყოდა, „სასიზმრო და საარაკო მხარში" პირველად ჩატარდა; მეორე, მთელი შეჯიბრების განმავლობაში მაყურებლებით იყო გადაჭედილი **გელა ხვადაგიანის** სახელობის ცაგერის სპორტული დარბაზი.

ტურნირს დაესწრნენ რაიონისა და სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელები, რომელთა მხარდაჭერამ შეჯიბრება ნამდვილ ზეიმად აქცია. გუნდები ყველა რეგიონმა მიავლინა, მესხეთ-ჯავახეთის გარდა.

ლეგენდარული **კოლია ქვარიანი** (1903-1980) წარმოშობით სოფელ ორხვიდან იყო. ამ კუთხის შვილი **ლადო ასათიანი** კი ამბობდა: „ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს"...

თუმცა აქაურები მარტო წარსულის საფალავნო საქმეებით არ იწონებენ თავს. მწვრთნელი **კობა ქომეთიანის** შეგირდებმა ახლაც ასახელეს რაიონი. ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **უშანგი ყურაშვილმა** იქვე, პირველობის შესვენებაზე საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის მოწმობა კობა ქომეთიანს. ფედერაციის საპატიო პრეზიდენტის მოწმობა მიიღო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სპორტის სამსახურის უფროსმა **ვალერი გიორგობიანმა**.

ამ ტურნირზე ჭიდაობის სახეობების მსგავსად ორი მესამეადგილოსანი დაჯილდოვდა.

შვიდ წონით კატეგორიაში ორ-ორი პირველი ადგილის მოპოვება შიდა ქართლისა და იმერეთის სპორტსმენებმა შეძლეს. თითო გამარჯვებული ჰყავთ მცხეთა- მთიანეთს, ლეჩხუმს და კახეთს.



ავტორის ფოტო

იმედისმომცემი შთაბეჭდილება დატოვა მძიმე წონითი კატეგორიის (+90 კგ) პირველადგილოსანმა **ბექა წყალობაშვილმა** (კახეთი). საუკეთესო მოჭიდავის თასი კი ფედერაციამ **ლაშა კვირიკაშვილს** (ლეჩხუმი) გადასცა.

კვარცხლბეკი. **55 კგ:** 1. ხვიჩა კოპალიანი (იმერეთი), 2. რომან თურქაძე (კახეთი), 3. ბექა ბუჟღულაშვილი (შიდა ქართლი), 3. მიხეილ ზოიძე (აჭარა). **60 კგ:** 1. ლაშა კვირიკაშვილი (ლეჩხუმი), 2. კახა ცაგარელი (კახეთი), 3. ასლან გურჩიანი (იმერეთი), 3. გოჩა გულბათაშვილი (მცხეთა-მთიანეთი). **65 კგ:** 1. ტრისტან ფეიქრიშვილი (შიდა ქართლი), 2. ნუგზარ ქურასბედიანი (რაჭა - ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი), 3. გაგა წულუკიძე (აჭარა), 3. იოსებ იარაჯული (მცხეთა-მთიანეთი). **70 კგ:** 1. გიორგი მახარაშვილი (მცხეთა-მთიანეთი), 2. ალექსი ნადირაშვილი (თბილისი), 3. გიორგი გუგულაშვილი (შიდა ქართლი), 3. ჯაბა ბიწაძე (კახეთი). 80 კგ: 1. შმაგი შარიფაშვილი (შიდა ქართლი), 2. ზვიად გერგედავა (თბილისი), 3. გურამ წულუკიძე (იმერეთი), 3. ვანო როსტიაშვილი (კახეთი). **90 კგ:** 1. ბადრი სირბილაძე (იმერეთი), 2. ნიკა შაქარაშვილი (შიდა ქართლი), 3. გიორგი სეტიელი (თბილისი), 3. გიორგი ქავთარაძე (კახეთი). **+90 კგ:** 1. ბექა წყალობაშვილი (კახეთი), 2. გიორგი კალაძე (თბილისი), 3. ლაშა ანთაძე (ლეჩხუმი), 3. ირაკლი ლაჭავა (იმერეთი).

**გაბრიელ ზარჯაძე**
ცაგერი

ჰოკეი

# გერმანია, რომელიც რუსეთს ჰგავს

ბევრისგან მსმენია, სატელევიზიო ჩვენებით ყველაზე მეტი ხიბლი ყინულის ჰოკეის აკლდებაო და ამიერიდან მეც ასე ვიტყვი. ბუნებრივია, ეს სახეობა ტელევიზორშიც საინტერესო სანახავია, მაგრამ, როცა უმაღლესი დონის ჰოკეის ტრიბუნიდან ადევნებ თვალს, ენით აუწერელი გრძნობა გეუფლება. ამ გრძნობის სიტყვებით გადმოცემა, უბრალოდ, შეუძლებელია – ეს საკუთარი თვალით უნდა ნახო და შეიგრძნო. უყურებ, როგორ დასრიალებენ ყინულზე მსოფლიო ვარსკვლავები და გინდა, ეს სანახაობა რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, თითოეული წამით ბოლომდე დატკბე.

კიოლნსა და მანჰაიმში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი 7 მაისს დაიწყო, მაგრამ ტურნირის ყველაზე მნიშვნელოვან მონაკვეთს, ანუ პლეი ოფს "ლელო" არ დაჰკლებია. სანამ მეოთხედფინალებზე გეტყოდეთ, მოკლედ ჯერ ის ვთქვათ, რომ ჩემპიონატის მთავარი სენსაცია ჯერჯერობით, მასპინძელი გერმანიის ნაკრებია, რომლისთვისაც ნახევარფინალში გასვლა უკვე უნიკალური მიღწევაა. ჩემპიონატის გახსნის მატჩში, რომელიც "შალკეს" საფეხბურთო სტადიონზე გაიმართა, ჰოკეისთვის სარეკორდო 77 800 მაყურებლის თვალწინ გერმანელებმა ამერიკელები დაამარცხეს. სწორედ აშშ-ის ნაკრებია ტურნირის უპირველესი იმედგაცრუება. ბოლო ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსნებმა მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლა პირველივე ეტაპზე შეწყვიტეს და იძულებულნი გახდნენ, ტურნირი მაჩანჩალათა ჯგუფში დაესრულებინათ. აშშ-ის ნაკრები არც იმდენად უსუსურია, ქვედა დივიზიონში რომ დაქვეითებულიყო. ამერიკელებმა და ფრანგებმა დამამშვიდებელ ეტაპზე იტალიასა და ყაზახეთს აჯობეს და ელიტიდან გაისტუმრეს.

"ლელოში" მსოფლიოს ჩემპიონატის სტატისტიკური მონაცემები აქამდეც რეგულარულად იბეჭდებოდა და ახლაც ასეა, ამიტომაც ყურადღებას იმ გარემოებებზე გავამახვილებთ, რომლებიც ტელეეკრანისა და თუ ინტერნეტ-გვერდებისთვის შეუმჩნეველი რჩება, არადა, ჰოკეის განუყოფელი ნაწილია.

უპირველესად, გულშემატკივარს ვგულისხმობთ. ჯერ უცნობია, ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ გულშემატკივართა შორის ჩემპიონები უკვე რუსები არიან. ჩეხეთ-ფინეთის მეოთხედფინალური დაპირისპირების დროსაც ტრიბუნაზე მსხდომთა აბსოლუტურ უმრავლესობას ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები შეადგენდნენ, ხოლო როცა კიოლნის "ლანქსეს არენას" ყინულზე რუსეთისა და კანადის ნაკრებები გავიდნენ, თავი არა გერმანიაში, არამედ რუსეთში გეგონებოდათ. მთელი მატჩის განმავლობაში ტრიბუნებზე თუ არენის სხვა ადგილებში კანადის დროშითა და მაისურით მაქსიმუმ ათი ადამიანი შევნიშნე, აი, რუსებს კი თვლა არ ჰქონდათ.

ოლიმპიადის შემდეგ თითქმის მთლიანად სახეცვლილ კანადას ბიკოვის გუნდმა ულაპარაკოდ აჯობა და ვანკუვერში განცდილი მწარე მარცხისთვის რევანში აიღო.

რუს ქომაგებს შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროშებს აფრიალებდნენ. ზოგს მილიციელისა თუ რუსი სამხედროს ფორმა ემოსა, ზოგსაც კი რუსული დროშის ფერებში მოხატული კავკასიური ნაბადი და ფაფახი.

გერმანელებს რომ მასშტაბური სპორტული ღონისძიების ჩატარება არავისგან ესწავლებათ, ცნობილი ამბავია და ამ ტურნირსაც სამაგალითოდ მასპინძლობენ, მაგრამ თვალსა და ყურს აშკარად ეხამუშება რუსული კაპიტალის აშკარა გავლენა გერმანიაზე. ამ ყველასთვის ცნობილმა ტენდენციამ ჰოკეის დარბაზშიც შეაღწია და არა მარტო მატჩებსა და პერიოდებს შორის, არამედ ტაიმ-აუტების დროსაც კი უზარმაზარ ეკრანზე რუსულ ენაზე გადის "გაზპრომისა" თუ რუსული არყის, პრეპარატისა თუ ბანკის რეკლამა. მართალია, ესენი ჩემპიონატის სპონსორები არიან და მათი ლოგოები მოედნის ბორტებზეცაა გამოსახული, მაგრამ ტურნირის მთავარი სპონსორი ჩეხური ავტოკონცერნი "შკოდაა" და ამის მიუხედავად, მის რეკლამას მხოლოდ გერმანულ და ინგლისურ ენებზე აჩვენებენ.

ხვალიდან ჩემპიონატი მთლიანად კიოლნში გადმოინაცვლებს, ნახევარფინალში ერთმანეთს გერმანიისა და რუსეთის ნაკრებები ხვდებიან და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ფაქტობრივი მასპინძლები ყველა ასპექტით რუსები იქნებიან...

რუსეთ-კანადამდე კიოლნურ მეოთხედფინალში ჩეხებმა ბულიტებით სძლიეს ფინელებს და იმის მიუხედავად, რომ მიზანს ლატარიით მიაღწიეს, ნახევარფინალში დამსახურებულად გავიდნენ, რადგან, იმის გარდა, რომ დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და ანგარიში გაათანაბრეს, შეტევაშიც უფრო დიდი დრო გაატარეს.

ჩეხებსა და ფინელებს გაცილებით მცირერიცხოვანი გულშემატკივარი ჰყავდათ. მარცხის მიუხედავად, თვალშისაცემნი უფრო ფინელი ქომაგები იყვნენ, რომლებიც ორიგინალური ჩაცმულობითაც გამოირჩეოდნენ და ბევრსაც ხმაურობდნენ. გუნდის ჩემპიონატიდან გამოვარდნის შემდეგ კი ალკოჰოლის ნამეტანი დოზა მიიღეს და მხიარულობა ღრეობაში გადაეზარდათ.

"ლანქსეს-არენაზე", რომელიც სხვა ღონისძიებებისას 20 ათას ადამიანს იტევს, ხოლო ჰოკეის დროს 18 500-ს, იდეალური პირობებია შექმნილი. ამ თემას "ლელოს" შემდეგ ნომერშიც მივუბრუნდებით, დღეს კი იმას გეტყვით, როგორ უწყობენ ხელს ჟურნალისტებს.

არენაზე მასმედიისთვის რამდენიმე სამუშაო დარბაზია. ჟურნალისტების განკარგულებაშია სამუშაო მაგიდები, კომპიუტერები, კაფე-ბარი და ეგრეთ წოდებული მიქს-ზონა, სადაც მატჩის შემდეგ ჰოკეისტებთან გასაუბრებაა შესაძლებელი. მედიას უშუალოდ თამაშის მსვლელობისასაც სამაგალითოდ ემსახურებიან. ყოველი პერიოდის შემდეგ მოდის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელი, რომელიც მატჩის სრულ სტატისტიკურ მონაცემებს გაწვდის. ჟურნალისტებისთვის უფასოა საქალაქო ტრანსპორტი, რაც ასევე დიდი შეღავათია.

მოკლედ, ასეთია პირველი კიოლნური შთაბეჭდილებები. "ლელო" მსოფლიოს ჩემპიონატის პერიპეტიებზე შემდეგ ნომრებშიც გიამბობთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**
კიოლნიდან



ფინელი ქომაგები

მსოფლიოს ჩემპიონატის ტექნიკური შედეგები იხილეთ მე-19 გვერდზე

ჩოგბურთი

როლან გაროსი 2010

# ვინ შეაჩერებს ნადალს?

მადრიდის მასტერსის ფინალმა ვერ გასცა პასუხი კითხვას - შეძლებს თუ არა **როჯერ ფედერერი** როლან გაროსზე მთავარი მეტოქის **რაფაელ ნადალის** დამარცხებას. თუმცა პრაქტიკულად არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ესპანელი ფინალამდე მიაღწევს.

სწორედ რაფა ითვლება მომავალი როლან გაროსის უმთავრეს ფავორიტად, თუმცა რამდენიმე თვის წინ ამას ბევრი ვერ იწინასწარმეტყველებდა. შარშან პარიზში **რობინ სიოდერლინგთან** წაგების შემდეგ, ნადალი უიმბლდონზე ვერ გამოვიდა და მხოლოდ ამერიკული ტურნირების სერიისას დაბრუნდა ტურში, თუმცა დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია. ახალი წელი რაფასთვის კარგად დაიწყო - დოჰას ტურნირის ფინალი, სადაც ესპანელს მატჩ-ბოლი ჰქონდა **ნიკოლაი დავიდენკოსთან**. მაგრამ ავსტრალიის ღია პირველობაზე ნადალს მორიგი იმედგაცრუება ელოდა - **ენდი მიურეისთან** წაგების გარდა მან მუხლის ტრავმა გაიმიზეზა და ისევ გამოეთიშა ტურნირებს, ხოლო მისმა უტიტულო სერიამ თითქმის წელიწადს მიაღწია.

რაფაელი სტაბილურად გამოდიოდა ამერიკის მასტერსებზე, სადაც ორივეგან ნახევარფინალს მიაღწია. მიუხედავად ამისა, სათიხნარო სეზონის წინ იყო გარკვეული ეჭვი ესპანელის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მზადყოფნის შესახებ. მაგრამ სკეპტიკოსების ვარაუდი არ გამართლდა - ნადალმა მოიგო მონტე კარლოს მასტერსი, თანაც მთელი ტურნირის განმავლობაში მხოლოდ 14 გეიმი დათმო. ამის შემდეგ რაფაელმა ბარსელონაში ტიტულის დაცვაზე უარი განაცხადა და ერთი კვირა დაისვენა.

ამ სვლამ გაამართლა: რომსა და მადრიდში რაფაელის შემჩერებელი არავინ იყო. მართალია, ესპანელი მთლად უნაკლოდ ვერ თამაშობდა და ორი პარტიაც წააგო, მაგრამ მაინც გახდა ისტორიაში პირველი მოთამაშე, რომელმაც სეზონში პირველად მოიგო ყველა სათიხნარო მასტერსი.

ასე რომ, ნადალი როლან გაროსს თიხნარზე დაუმარცხებელი ხვდება - ზუსტად ასე მოხდა 2006 წელს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაფამ დაიბრუნა ბრწყინვალე ფორმა და ყველა შანსი აქვს, ისევ მოიპოვოს პარიზული ტიტული.

■ ■ ■

ასე რომ, ბუკმეიკერთა შეფასებით, ნადალი აშკარა ფავორიტია, თუმცა სპეციალისტები გვირჩევენ, რომ არ უნდა ვიჩქაროთ როჯერ ფედერერის ჩამოწერა. ავსტრალიის ღია პირველობის მოგების შემდეგ, ფედერერს ცუდი მგზავრობა ჰქონდა ეთიოპიაში, საიდანაც ფილტვის ინფექციით დაბრუნდა. ამან შედეგებზე იმოქმედა - როჯერმა ორჯერ მატჩბოლიდან წააგო მარტის მასტერსების საწყისი მატჩები, მადრიდამდე კი თიხნარზე მხოლოდ ორი მატჩი მოიგო. ფედერერმა ესტორილში მოკრძალებული შემადგენლობის ტურნირშიც კი ვერ გაიმარჯვა. თუმცა შვიეცარიელის ფანებს სჯერათ, რომ როჯერი მიზანმიმართულად ემზადებოდა როლან გაროსისთვის და მის ძალას სწორედ პარიზულ კორტებზე ვიხილავთ.

თუ ბუკმეიკერები ნადალს ფედერერზე მაღლა აყენებენ, მათ ეჭვი არ ეპარებათ, რომ ფინალში სწორედ ეს ორი ჩოგბურთელი ითამაშებს.

■ ■ ■

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** უნდა ჩაითვალოს როლან გაროსის ფარულ ფავორიტად. შარშან სერბი კვალდაკვალ მიჰყვებოდა ნადალს - ისინი სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს მასტერსების გადამწყვეტ ეტაპზე (ორჯერ ფინალში და ერთხელ ნახევარფინალში), მაგრამ როლან გაროსზე მათი დაპირისპირება არ შედგა - ორივე პირველივე კვირას გამოეთიშა ტურნირს, გამარჯვება კი ფედერერმა მოიპოვა.

ჯოკოვიჩი წელს შეეცდება როჯერის შარშანდელ შედეგის გამეორებას. სათიხნარო მასტერსებზე ნოვაკმა ორჯერ წააგო **ფერნანდო ვერდასკოსთან** (მონტე კარლოსა და რომში), მაგრამ ამას სენსაციას ვერ ვუწოდებთ, რადგან ესპანელი ბოლო დროს კარგ ფორმაში იმყოფება. ამის შემდეგ სერბმა მშობლიურ ბელგრადში მხოლოდ ერთი მატჩი ითამაშა და განაცხადი გამოიტანა მადრიდის მასტერსიდან. მიზეზი ალერგია და გაცივება გახდა.

საფრანგეთის ღია პირველობის წინ მისი ფორმა ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს, მაგრამ ერთი რამ ზუსტად შეიძლება ითქვას: ნოვაკი დაღლილი არ არის და როლან გაროსს დიდი ენერგიით ხვდება.

■ ■ ■

ტურნირის დანარჩენი მონაწილეებისგან გამარჯვებას არავინ ელის, მაგრამ არიან ისეთი ჩოგბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ გვარიანად ანერვიულონ დიდი სამეულის წევრები. ავსტრალიის ღია პირველობის ფინალის შემდეგ ენდი მიურეი სერიოზულ სათამაშო პრობლემებს წააწყდა და თითოეული გამარჯვება დიდ შრომად უჯდება. თანაც ბრიტანელისთვის თიხნარი არ არის საყვარელი საფარი. თუმცა ენდის მიაჩნია, რომ მადრიდში მეოთხედფინალის შემდეგ შეუძლია ღირსეული შედეგი აჩვენოს პარიზში.

უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია **დავიდ ფერერმა**. მან თავისი სათიხნარო სეზონი თებერვალში სამხრეთ ამერიკაში ორი ფინალით დაიწყო. უფრო პრესტიჟულ ტურნირზეც დავიდს საკმაოდ მაღალი შედეგები ჰქონდა - სამი ნახევარფინალი და ფინალი. ფერნანდო ვერდასკომ, მადრიდის გარდა, ასევე ყველა ტურნირზე მიაღწია მინიმუმ ნახევარფინალს. ამ ორი ესპანელისგან ბევრს უნდა ველოდოთ.

სეზონის აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს **ერნესტ გულბისი**. მისი უძლიერესი მოწოდება, ძლიერი ფორჰენდი და გათამაშებების სწრაფად დასრულების მანერა თიხნარს არ შეესაბამება. მიუხედავად ამისა, ლატვიელმა სენსაციურად მოუგო ფედერერს რომში და იქვე ნადალს სამი სეტი ებრძოდა და კინაღამ გაიმარჯვა. ერნესტმა მოასწრო როლან გაროსის განთესილებს შორის შესვლა და მესამე წრემდე სერიოზული მეტოქე არ ელოდება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## საფრანგეთის ღია პირველობა. კაცების ბადე

| 1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| ფედერერი (შვეიც, 1) | | | | | |
| ლუჩაკი (ავსტრა) | | | | | |
| ტიპსარევიჩი (სერ) | | | | | |
| ფალა (კოლ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ო. როხუსი (ბელ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ფ. ლოპესი (ესპ, 27) | | | | | |
| ვავრინკა (შვეიც, 20) | | | | | |
| პაიეკი (ჩეხ) | | | | | |
| ლორენცი (იტა) | | | | | |
| ა. ბეკი (გერ) | | | | | |
| მასუ (ჩილ) | | | | | |
| ფონინი (იტა) | | | | | |
| ფ. მაიერი (გერ) | | | | | |
| მონფილსი (საფ, 13) | | | | | |
| ჩილიჩი (ხორ, 10) | | | | | |
| მელო (ბრა) | | | | | |
| ტურსუნოვი (რუს) | | | | | |
| ხიმენო ტრავერო (ესპ) | | | | | |
| ლ. მაიერი (არგ) | | | | | |
| სტახოვსკი (უკრ) | | | | | |
| ბენეტო (საფ) | | | | | |
| გულბისი (ლატ, 23) | | | | | |
| მონტანიესი (ესპ, 29) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| რობერი (საფ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ლაპენტი (ეკვ) | | | | | |
| დენტი (აშშ) | | | | | |
| რეკუდერი (საფ) | | | | | |
| სიოდერლინგი (შვედ, 5) | | | | | |
| მიურეი (ბრიტ, 4) | | | | | |
| გასკე (საფ) | | | | | |
| ჩელა (არგ) | | | | | |
| სტივინგი (აშშ) | | | | | |
| მატიო (საფ) | | | | | |
| გრანოლერსი (ესპ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ბალდატისი (კვიპ, 25) | | | | | |
| ისნერი (აშშ, 17) | | | | | |
| გოლუბევი (ყაზ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ჩიუდინელი (შვეიც) | | | | | |
| როჟე ვასელენი (საფ) | | | | | |
| ანდერსონი (ს. აფრ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ბერდიხი (ჩეხ, 15) | | | | | |
| იუჟნი (რუს, 11) | | | | | |
| პრსიეჟნი (პოლ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ლაჩკო (სლოვაკ) | | | | | |
| პეტცშნერი (გერ) | | | | | |
| ბოლი (ავსტრა) | | | | | |
| ტროიცკი (სერ) | | | | | |
| რობრედო (ესპ, 21) | | | | | |
| გარსია ლოპესი (ესპ, 32) | | | | | |
| შუტლერი (გერ) | | | | | |
| დე ბაკერი (ჰოლ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| უანა (საფ) | | | | | |
| კუბოტი (პოლ) | | | | | |
| ბრანდსი (გერ) | | | | | |
| ცონგა (საფ, 8) | | | | | |



| 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64 |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| | | | | | როდიკი (აშშ, 6) |
| | | | | | ნიემინენი (ფინ) |
| | | | | | შვანკი (არგ) |
| | | | | | კავჩიჩი (სლოვენ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | კოლერერი (ავსტრია) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | მონაკო (არგ, 26) |
| | | | | | მელცერი (ავსტრია, 22) |
| | | | | | სელა (ისრ) |
| | | | | | ზვერევი (გერ) |
| | | | | | მაუ (საფ) |
| | | | | | მალისე (ბელ) |
| | | | | | გროილი (გერ) |
| | | | | | გუეზი (საფ) |
| | | | | | ფერერი (ესპ, 9) |
| | | | | | ფერერო (ესპ, 16) |
| | | | | | კუევასი (ურუ) |
| | | | | | ჟიკელი (საფ) |
| | | | | | რიბა (ესპ) |
| | | | | | სტარაჩე (იტა) |
| | | | | | მარჩენკო (უკრ) |
| | | | | | ჯინეპრი (აშშ) |
| | | | | | კუერი (აშშ, 18) |
| | | | | | ჰანესკუ (რუმ, 31) |
| | | | | | ერნანდესი (ესპ) |
| | | | | | რამი (აშშ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | ნიშიკორი (იაპ) |
| | | | | | ხირალდო (კოლ) |
| | | | | | კოროლიოვი (ყაზ) |
| | | | | | ჯოკოვიჩი (სერ, 3) |
| | | | | | ვერდასკო (ესპ, 7) |
| | | | | | კუნიცინი (რუს) |
| | | | | | სერა (საფ) |
| | | | | | რასელი (აშშ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | სეპი (იტა) |
| | | | | | კ. ბეკი (სლოვაკ) |
| | | | | | კოლშრაიბერი (გერ, 30) |
| | | | | | ალმაგრო (ესპ, 19) |
| | | | | | ჰაასე (ჰოლ) |
| | | | | | ვლიგენი (ბელ) |
| | | | | | დარცისი (ბელ) |
| | | | | | კლემანი (საფ) |
| | | | | | დოლგოპოლოვი (უკრ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | გონსალესი (ჩილ, 12) |
| | | | | | ლუბიჩიჩი (ხორ, 14) |
| | | | | | ლუ (ტაივ) |
| | | | | | ბერერი (გერ) |
| | | | | | ფიში (აშშ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | ლოდრა (საფ) |
| | | | | | ბელუჩი (ბრა, 24) |
| | | | | | ჰიუიტი (ავსტრა, 28) |
| | | | | | შარდი (საფ) |
| | | | | | ისტომინი (უზბ) |
| | | | | | ბეკერი (გერ) |
| | | | | | სებალიოსი (არგ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | მინა (საფ) |
| | | | | | ნადალი (ესპ, 2) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# ჯექსონს ხელფასს დაუკლებენ



ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი მწვრთნელი **ფილ ჯექსონი** მომავალ სეზონშიც აპირებს „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" გაწვრთნას. თანაც კლუბის ხელმძღვანელობა ვეტერანი სპეციალისტისთვის ხელფასის შემცირებას აპირებს. მწვრთნელმა „ფინიქსთან" სერიის მეორე მატჩის შემდეგ დაადასტურა მოლაპარაკების ფაქტი.

მიმდინარე ხელშეკრულების თანახმად, ჯექსონი სეზონში 12 მილიონ დოლარს იღებს. ამ კონტრაქტს ზაფხულში ეწურება ვადა. უფრო ადრე ფილი აცხადებდა, რომ მას ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება მომავალი კარიერის შესახებ.

„ლეიკერსის" მფლობელ **ჯერი ბასის** ქალიშვილმა **ჯინი ბასმა**, რომელიც ფილ ჯექსონის მეგობარია, ასევე დაადასტურა ხელფასის შემცირების ფაქტი. რაც შეეხება „ლეიკერსთან" მომავალ თანამშრომლობას, ჯინი ბასმა განაცხადა, რომ NBA-ის ათგზის ჩემპიონი მომავალ წელსაც გააგრძელებს სამწვრთნელო კარიერას, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ფილი მიმდინარე სეზონში ჩემპიონის მორიგ ტიტულს მოიგებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახალი კონტრაქტის გაფორმების შანსები მცირდება.

■ ■ ■

როგორც ჩანს, „ფილადელფია სიქსერზმა" მომავალი სეზონისთვის ახალი მწვრთნელი იპოვნა. სააგენტო AP-ის არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად, კლუბის ხელმძღვანელობამ კონტრაქტის დეტალები შეათანხმა **დაგ კოლინზთან**. ამ საკითხთან დაკავშირებით კლუბის ოფიციალურ განცხადებას დღეისთვის ელოდებიან. სავარაუდოდ, კოლინზთან ოთხწლიანი ხელშეკრულება გაფორმდება.

შეგახსენებთ, რომ ადრე ეს სპეციალისტი „ჩიკაგოს", „დეტროიტსა" და „ვაშინგტონს" წვრთნიდა.

■ ■ ■

„დეტროიტ პისტონზი" სულ მალე მფლობელს შეიცვლის. ამჟამინდელმა მეპატრონემ **კარენ დევიდსონმა** დაადასტურა ახალი მყიდველის ძებნის ფაქტი.

*„დიახ, კლუბი ახალი მფლობელის ძიებაშია"*, - განაცხადა დევიდსონმა.

ჟურნალ „ფორბსის" შეფასებით, „პისტონზის" ღირებულება 479 მილიონ დოლარს შეადგენს, რაც მეოთხე მაჩვენებელია ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბებს შორის.

NBA-ის საბჭოს ცალსახა პირობა ისაა, რომ ახალმა მფლობელმა კლუბი დეტროიტში უნდა დატოვოს.

## მსოფლიოს ჩემპიონატი

**1/4 ფინალი**

**ფინეთი-ჩეხეთი 1:2 (ბ)**

1:0, 0:0, 0:1, 0:0, 0:1

**გოლები**: 1:0 კონტიოლა-3 (ნისკალა-2, ნუმელინი-6), 1:1 კლეპიში-2 (ბლატაკი-1).

**ბულიტები გაიტანეს**: კასპარი (ჩეხეთი), იმონენი (ფინეთი), მარეკი (ჩეხეთი).

**შვედეთი-დანია 4:2**

1:0, 2:1, 1:1

**გოლები**: 1:0 ნილსონი-1 (იოჰანსონი-1, მარტენსონი-3), 2:0 ანდერსონი-4 (კარლსონი-2, ბეკლუნდი-1), 3:0 ვალინი-1 (ენკვისტი-3, იოჰანსონი -2), 3:1 დამგაარდი-1 (ელერი-3, ფ. ნილსენი-3), 4:1 უმარკი-1 (პერსონი-4, ჰარიუ-1), 4:2 მადსენი-2 (დ. ნილსენი-3, დამგაარდი-3).

**რუსეთი-კანადა 5:2**

1:0, 2:0, 2:2

**გოლები**: 1:0 აფინოგენოვი-3 (კულიკოვი-2, ატიუშოვი-3), 2:0 დაციუკი-4 (გონჩარი-2, კოვალჩუკი-6), 3:0 მალკინი-3 (კალინინი-1, კოვალჩუკი-7), 4:0 ფიოდოროვი-2 (ატიუშოვი-4), 4:1 ტავარესი-7 (ბერნსი-5), 5:1 მალკინი-4 (კოვალჩუკი-8, ნიკულინი-2), 5:2 დუშენი-4 (კამისკი-3, მიერსი-2).

**შვეიცარია-გერმანია 0:1**

0:0, 0:1, 0:0

**გოლი**: 0:1 გოგულა-1 (ჰოსპერტი-2, ზულცერი-2).

**1/2 ფინალი**

**22 მაისი**

შვედეთი-ჩეხეთი
რუსეთი-გერმანია

**სტატისტიკა**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| ბრენდონ დუბინსკი (აშშ) | 10 (3+7) |
| ილია კოვალჩუკი (რუს) | 10 (2+8) |
| მაგნუს პააიარვი სვენსონი (შვედ) | 8 (4+4) |
| რეი უიტნი (კან) | 8 (2+6) |
| ჯონ ტავარესი (კან) | 7 (7+0) |
| მეტ დუშენი (კან) | 7 (4+3) |
| მაქსიმ აფინოგენოვი (რუს) | 7 (3+4) |
| პეტერ რეგინი (დან) | 7 (2+5) |
| პეტერი ნუმელინი (ფინ) | 7 (1+6) |

| გოლები | |
|---|---|
| ჯონ ტავარესი (კან) | 7 |
| ალექსანდრ ოვეჩკინი (რუს) | 5 |

| პასები | |
|---|---|
| ილია კოვალჩუკი (რუს) | 8 |
| ბრენდონ დუბინსკი (აშშ) | 7 |
| პეტერი ნუმელინი (ფინ) | 6 |
| რეი უიტნი (კან) | 6 |

ჰოკეი

NHL პლეი ოფი. 1/2 ფინალი

# მონრეალმა გაიღვიძა

„მონრეალ კანადიენსმა" პლეი ოფის საიუბილეო, მე-700 მატჩი ჩაატარა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია ლიგის კლუბებს შორის. ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში კანადელებს წაფორხილების უფლება არ ჰქონდათ, მით უმეტეს, რომ აღმოსავლეთის ფინალის პირველი ორი მატჩის შემდეგ 0:2-ს აგებდნენ სერიას.

მონრეალელებმა, როგორც იქნა, მოიხსნეს **ლეიტონის** კომპლექსი. „ფილადელფიას" მეკარე ორი მატჩი „მშრალად" ინახავდა კარს, მაგრამ ამჯერად ის საკუთარმა მცველებმა დაალალატეს.

„კანადიენსმა", როგორც იქნა, თავის სტილში ითამაშა - პრესინგი, ბრძოლა, მეტოქის გოლკიპერის კართან აქტიურობა, მოედნის ცენტრში შაიბის ჩაჭრა და კონტრშეტევების ორგანიზება... მაგრამ მანამდე იყო „ფილადელფიას" სასტარტო შვიდწუთიანი აქტიურობა. „მონრეალის" ფორვარდების მცდელობებს იოლად უვნებელყოფდნენ **პრონგერი** და კომპანია, სტუმრების წინა ხაზი კი უსიამოვნო დარტყმებით მოდუნების საშუალებას არ აძლევდა მასპინძლების მეკარე **იაროსლავ ჰალაკს**.

„ფილადელფიას" აწყობილი მექანიზმი **მაიკლ კამალერის** გოლის შემდეგ დაირღვა. სტუმრებს დაბნეულობა დაეტყოთ, იმატა საკუთარ ზონაში შაიბის გაუმართლებელმა დაკარგვამ, რისი გაკეთებაც მონრეალის არენაზე დაუშვებელია. შეუძლებელია ერთმა გოლმა გატეხოს გუნდი, რომელმაც 0:3-დან მოიგო სერია „ბოსტონთან", მაგრამ გუშინ სწორედ ასე მოხდა - „ფილადელფიამ" გუნდური თამაშის ჩვენება მეშვიდე წუთიდან შეწყვიტა.

**მონრეალი-ფილადელფია 5:1**

2:0, 1:0, 2:1

**გოლები**: 1:0 კამალერი-13 (სუბანი-4, ჰამრლიკი-7), 2:0 პიატი-2 (ლაპიერი-1, დ. მური-1), 3:0 დ. მური-4 (პიატი-2, გორჯესი-2), 4:0 ჯონტა-8 (ჰამრლიკი-8, სუბანი-5), 4:1 საიმონ განიე-7 (კარჩილო-4, პრონგერი-9), 5:1 მ-ა. ბერჟერონი-2 (სუბანი-6, გომესი-11).

**სერია: 1:2**




სხვადასხვა

**ველოსპორტი**

# არმსტრონგი ისევ ტრავმირებულია

ლეგენდარულ ამერიკელ ველომრბოლ **ლენს არმსტრონგს** ბოლო ორი დღეა უსიამოვნებები სდევს თან. უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი თანამემამულე **ფლოიდ ლენდისმა** დოპინგის მიღებაში დაადანაშაულა.

სხვათა შორის, არმსტრონგი უკვე გამოეხმაურა ლენდისის ბრალდებებს და მის განცხადებებს ბოდვა უწოდა. ლენსის თქმით, ფლოიდი განაწყენებული ადამიანის პოზიციიდან ლაპარაკობს, რომელსაც დასაკარგი არაფერი აქვს.

ლენსის უსიამოვნებები ამით არ დასრულებულა. არმსტრონგი ამ დღეებში კალიფორნიის ტურში მონაწილეობდა, მაგრამ ეს რბოლა მისთვის ნაადრევად შეწყდა. ლენსი გუშინ მეხუთე ეტაპის დროს დაეცა და რამდენიმე დაზიანება მიიღო. ამერიკელმა კალიფორნიის ტურის გაგრძელება ვერ შეძლო. სამედიცინო შემოწმება გაარკვევს, რამდენად სერიოზულია მისი ტრავმები.

**ფორმულა 1**

# ფოლკსვაგენი დიდ ცირკს უახლოვდება

გერმანული ავტოგიგანტი „ფოლკსვაგენი" ფორმულა 1-თან თანამშრომლობას აპირებს. სავარაუდოდ, ეს კომპანია „სამეფო რბოლებში" „აუდის" ან „პორშეს" ბრენდით შევა.

„ფოლკსვაგენის" წარმომადგენელმა **კრის ნისენმა** ასეთი კომენტარი გაუკეთა შექმნილ სიტუაციას: *„ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ „აუდის" ან „პორშეს" ბრენდები. არ მგონია, რომ „შკოდას", „სეატის" ან „ბენტლის" ვარიანტი უფრო წარმატებული იყოს"*.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2010**

**Under 17**

| | |
|---|---|
| ესპანეთი-შვეიცარია | 4:0 |
| საფრანგეთი-პორტუგალია | 1:0 |
| თურქეთი-ჩეხეთი | 1:1 |
| საბერძნეთი-ინგლისი | 0:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ესტონეთი-ფინეთი | 2:0 |
| კონგო-ს. არაბეთი | 0:2 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლანდსკრონა-სუნდსვალი | 0:0 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ჰაკა-ოულუ | 2:0 |

**ავსტრია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალტახი-ზალცბურგი A | 2:0 |
| ავსტრია A-დორნბირნი | 2:1 |
| ლუსტენაუ-გრატკორნი | 0:1 |
| ადმირა-ვენა | 3:0 |
| ტიროლი-ჰარტბერგი | 1:0 |
| სტ. პოლტენი-ავსტრია (ლ) | 1:1 |

**შვეიცარია**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ბელინცონა-ლუგანო | 2:1 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბრეი-დროგედა | 2:2 |
| დანდალკი-სლიგო | 1:0 |
| გალვეი-უნივერსიტი | 2:2 |
| სტ. პატსი-ბოჰემიანსი | 3:1 |
| შემროკი-სპორტინგი | 1:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სოლტჰილი-ფინ ჰარპსი | 0:1 |
| ლონგფორდი-მონეგანი | 0:3 |
| დერი-ლიმერიკი | 0:0 |
| უოტერფორდი-კორკი | 1:1 |
| შელბურნი-უექსფორდი | 1:2 |

**ჩეხეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| იჟლავა-ტრშინეცი | 4:2 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლუჩ ენერგია-დინამო (ბრ) | 0:3 |
| სკა ენერგია-შინიკი | 2:3 |
| როტორი-ნიჟნი ნოვგოროდი | 0:2 |
| კამაზ-ურალი | 1:1 |
| ავანგარდი-კრასნოდარი | 1:2 |
| სალიუტი-ჟემჩუჟინა | 1:0 |
| გაზპრომი-მორდოვია | 0:3 |
| ხიმკი-ბალტიკა | 1:0 |
| ვოლგა-ირტიში | 3:0 |
| ყუბანი-დინამო (ს-პ) | 2:0 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| ვიტებსკი-მინსკი | 0:3 |
| ნაფტანი-შახტიორი | 0:2 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| გეტინგენი-ბერემრჰავენი | 78:79 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბასკონია-ესტუდიანტესი | 92:76 |
| ბარსელონა-გრან კანარია | 85:53 |
| ვალენსია-უნიკახა | 82:83 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| კაზერტა-რომა | 70:65 |

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| პარიზი-ლე მანი | 70:80 |
| პუატიე-შოლე | 82:89 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ნიცა**

| | |
|---|---|
| ვერდასკო-ლ. მაიერი | 7:6, 7:5 |
| გასკე-სტარაჩე | 7:6, 7:6 |

**ATP. მს. ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ა. ბეკი-კრაინოვიჩი | 7:5, 6:4 |
| **ბერდიხი**-ისნერი | 1:6, 6:1, 7:6 |

**WTA. ვარშავა**

| | |
|---|---|
| ნა ლი-**დულგერუ** | 4:6, 6:3, 4:6 |
| ჟიე ჟენგი-არნი | 6:4, 7:5 |

**WTA. სტრასბური**

| | |
|---|---|
| შარაპოვა-გორჯესი | 7:6, 6:1 |
| **მედინა გარიგესი**-არვიდსონი | 6:2, 7:5 |
| კინგი-**ბაროისი** | 6:2, 2:6, 6:7 |
| **შარაპოვა**-მედინა გარიგესი | 4:6, 6:2, 6:2 |

TV პროგრამა

**22 მაისი. შაბათი**

**I არხი**

**22:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ბაიერნი-ინტერი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

**15:55** მოტოსპორტი. მოტოგრანპრი. კვალიფიკაცია. საფრანგეთი (LIVE).
**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ბაიერნი-ინტერი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**22:30** ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. ბაიერნი-ინტერი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**16:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
**18:00** ფარიკაობა. მსოფლიოს თასი. სანკტ-პეტერბურგი. რუსეთი (LIVE).
**19:55** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ფინალი. ბიარიტცი (საფრანგეთი)-ტულუზა (საფრანგეთი) (LIVE).
**04:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ბოსტონი-ორლანდო. III მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**17:25** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიოს ტური. ქალები. 1/2 ფინალი. იტალია (LIVE).

**EUROSPORT**

**13:45** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ვარშავა. პოლონეთი (LIVE).
**15:30** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XIV ეტაპი. იტალია (LIVE).
**19:45** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (23-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. კოტ დ'ივუარი-საფრანგეთი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
**01:35** ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. VII ეტაპი. აშშ (LIVE).

**EUROSPORT-2**

**11:00** ფეხბურთი. იაპონიის თასი (LIVE).
**13:00** ავტოსპორტი. ფორმულა 2. I რბოლა. მონტა. იტალია (LIVE).
**14:00** ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. ოთხთა ფინალი. ჰამბურგი (გერმანია)-პოლო დე ბარსელონა (ესპანეთი) (LIVE).
**16:30** ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. ოთხთა ფინალი. ამსტერდამი (ჰოლანდია)-როტერდამი (ჰოლანდია) (LIVE).
**19:45** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (23-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. იაპონია-კოლუმბია. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).

**23 მაისი. კვირა**

**I არხი**

**19:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**რუსთავი 2**

**14:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**15:00** მოტოსპორტი. მოტოგრანპრი. საფრანგეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**16:00** მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა. ჩინეთის გრან-პრი (LIVE).
**23:00** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. ჩიკაგო-სან ხოსე. IV მატჩი (LIVE).
**04:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ფინიქსი-ლეიკერსი. III მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**13:00** ჩოგბურთი. როლან გაროსი. I დღე (LIVE).

**EUROSPORT**

**11:00** ავტოსპორტი. პორშეს სუპერთასი. მონაკო (LIVE).
**13:00** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. გასახურებელი წრე. მონცა. იტალია (LIVE).
**13:00** ჩოგბურთი. როლან გაროსი. I დღე (LIVE).
**14:45** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. I რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
**15:45** ავტოსპორტი. ფორმულა 2. II რბოლა. მონტა. იტალია (LIVE).
**16:45** ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. II რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
**17:45** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XV ეტაპი. იტალია (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. როლან გაროსი. I დღე (LIVE).
**01:35** ველოსპორტი. კალიფორნიის ტური. VIII ეტაპი. აშშ (LIVE).

**EUROSPORT-2**

**12:30** ავტოსპორტი. სეატის ევროთასი. II რბოლა. მონცა. იტალია (LIVE).
**14:30** ბალახის ჰოკეი. ევროპის ლიგა. ოთხთა ფინალი. მე-3 ადგილისთვის (LIVE).
**16:00** ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XV ეტაპი. იტალია (LIVE).
**19:30** სუპერბაიკი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. II რბოლა (LIVE).
**20:15** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი (23-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. კატარი-რუსეთი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



# ლებრონის დედამ შვილის თანაგუნდელთან გაატარა ღამე

**ლებრონ ჯეიმსი** და „კლივლენდ კავალიერზი" მიმდინარე პლეი ოფს მეოთხედფინალური ეტაპიდან გამოეთიშა. ბევრი ამ ფიასკოს მიზეზს „კლივლენდის" ლიდერის დედის საწოლში (!) ეძებს. როგორც ამერიკული პრესა წერს, **გლორია ჯეიმსმა** თავისი ვაჟის თანაგუნდელ (!) **დელონტე უესტთან** გაატარა ღამე. ამ სენსაციურ ამბავთან დაკავშირებული პირველი ჭორი ჯერ კიდევ გასულ კვირას გავრცელდა.

ლებრონის იურისტმა ამ ამბავს „იდიოტიზმი" და „სულელური ჭორი" უწოდა, მაგრამ ყველა არ არის დარწმუნებული ჯეიმსის დედისა და უესტის პატიოსნებაში. ასე მაგალითად, NBA-ის დიდების დარბაზის წევრმა **კელვინ მერფიმ** განაცხადა, რომ ეს ყველაფერი „სრული სიმართლე" და „საშინელებაა".

*„სამწუხაროდ, NBA-ში ჩემი წყაროები მატყობინებენ, რომ მთელი ეს სკანდალი წმინდა წყლის სიმართლეა,* - განაცხადა მერფიმ. - *მათ მითხრეს, რომ მთელ ასოციაციაში თავად ლებრონი იყო ერთადერთი ადამიანი, ვინც ეს ამბავი არ იცოდა".*

თუმცა მერფის ნდობა მაინცდამაინც არ შეიძლება. ის თავის დროზე, საკუთარი 14 ქალიშვილიდან ცხრის მიმართ სექსუალურ ძალადობაში იყო ექვმიტანილი. ერთი რამ სავსებით ცხადია - ლებრონს კიდევ დიდხანს შეაწუხებენ ჟურნალისტები. ასევე გაუგებარია, ამის შემდეგ რა ურთიერთობა ექნება მას უესტთან. გამოსავალი მხოლოდ ერთია - „კლივლენდიდან" წასვლა, მით უმეტეს, რომ ჯეიმსს მთხოვნელი საკმარისად ჰყავს.




კრივი

# პაკიაო მეივეზერს მიუახლოვდა



როგორც ჩანს, **მენი პაკიაოსა** და **ფლოიდ მეივეზერის** „საუკუნის ბრძოლა" მაინც გაიმართება. თუ ამერიკულ პრესას დავუჯერებთ, ფილიპინელი მოკრივე დათანხმდა ნებისმიერ მომენტში შემთხვევითი დოპინგტესტის გავლას. ეს პროცედურა ბრძოლამდე 14 დღით ადრე შეწყდება.

შეგახსენებთ, რომ წინა მოლაპარაკებები იმის გამო ჩავარდა, რომ პაკიაო სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს არ იზიარებდა. ფილიპინელი ბოლოს იმ დათმობაზე წავიდა, რომ დოპინგტესტებს დათანხმდა, მაგრამ შემოწმებები ბრძოლამდე 24 დღით ადრე უნდა დასრულებულიყო. ახლა ორივე მხარემ მოისურვა მოლაპარაკებების განახლება და როგორც ჩანს, ეს ბრძოლა უკვე ნოემბერში გაიმართება.

*„თუ ისინი მთელ სისხლს არ გამომწოვენ, მზად ვარ, ბრძოლამდე ორი კვირით ადრე გავიარო შემოწმება",* - განაცხადა პაკიაომ.

მენის ჩხუბის თარიღად 13 ნოემბრის დანიშვნა სურს, ბრძოლის ჩატარების ადგილი კი ტექსასი ან ლას ვეგასი იქნება. თუ მხარეებმა ამჯერადაც ვერ შეძლეს მოლაპარაკება, პაკიაო ახალ მეტოქედ **ანტონიო მარგარიტოს** აირჩევს.

ავტოსპორტი

# ავსტრალია პირველია

ჩვენ უკვე ვწერდით ახალ და მეტად საინტერესო პროექტზე - სარბოლო რეიტინგის სისტემაზე, რომელიც პლანეტის ყველა სარბოლო სერიის ყველა პილოტის მიღწევებს ითვალისწინებს.

2009 წლის შედეგების მიხედვით პირველ ადგილს ფორმულა 1-ის მოქმედი ჩემპიონი **ჯენსონ ბატონი** იკავებდა, მაგრამ რეიტინგში ითვალისწინებენ ბოლო კალენდარული წლის მიღწევებს და როცა ბრიტანელმა შარშან გაზაფხულზე მოპოვებული ქულების დაკარგვა დაიწყო, მას „რედ ბულის" პილოტმა **სებასტიან ფეტელმა** გაუსწრო.



ახალ რეიტინგში, რომელიც მონაკოს გრან-პრის შემდეგ გამოქვეყნდა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა - მონტე კარლოში **მარკ უებერის** გამარჯვების შემდეგ, ქვეყნების კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე ავსტრალიამ გადაინაცვლა. აქ ითვალისწინებენ თითოეული სახელმწიფოდან ორი საუკეთესო წარმომადგენლის შედეგს. და „რედ ბულის" პილოტს ძალიან დაეხმარა „ინდიკარის" სერიის მონაწილე **რაიან ბრისკო**. ავსტრალიის შემდეგ მოდის გერმანია, რომელიც ფეტელითა და **ნიკო როსბერგით** არის წარმოდგენილი, ყოფილი ლიდერები - ბრიტანელები (ბატონი და **ლუის ჰემილტონი**) მესამე ადგილზე იმყოფებიან.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

